

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრა

თამარ კბილაძე

**საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის განსაზღვრის
პრობლემები საქართველოში**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
ხათუნა ბარბაქაძე

თბილისი

2014

შინაარსი

შესავალი	3
თავი 1. გადასახადების ზემოქმედება საზოგადოების მდგრად გავეითარებასა და კეთილდღეობაზე	10
1.1 მდგრადი განვითარების თანამედროვე დეფინიცია და გადასახადების როლი მის უზრუნველყოფაში	10
1.2 გადასახადების კავშირი შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან	29
1.3 საქართველოს საგადასახადო შემოსავლების ჰარმონიზაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლებთან	46
თავი 2. საქართველოში საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ტვირთის დონის ანალიზი	76
2.1 საგადასახადო ტვირთის ცნება, გაანგარიშებისა და ოპტიმიზაციის მეთოდები	76
2.2 საქართველოში მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი	82
2.3 საქართველოს საწარმოების (კორპორაციების) დონეზე და საქმიანობის სახეების მიხედვით საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი	92
2.4 საქართველოში მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი	99
თავი 3. საქართველოში საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონე და მისი მიღწევის ღონისძიებები	111
3.1 საქართველოში მაკრო და მიკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ღონისძიებები	111
3.2 პირდაპირი გადასახადის განაკვეთის გაანგარიშების ალგორითმი და მისი გამოცდა არაფინანსურ კორპორაციებში (მოგების გადასახადის მაგალითზე)	140
3.3 საბიუჯეტო გადასახადების მიმოხილვა საქართველოში	144
დასკვნა	176
გამოყენებული ლიტერატურა	188
დანართი	194

შესავალი

გლობალიზაციის მაღალმა ტემპებმა დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ამოცანა, რაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს. ეს კი თავის მხრივ საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტია. თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა განვითარების მრავალი თავისებურებითა და წინააღმდეგობრივობით ხასიათდება. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი (გარდამავალი) პერიოდი განვითარების ორ ეტაპად შეიძლება დაგვეთ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან 2003 წლამდე და 2003 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე. თუ პირველი ეტაპი ძირითადად ეკონომიკის ძველი სტრუქტურის დემონტაჟსა და ახალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ძირითადი პოსტულატების (საკანონმდებლო ბაზა, ახალი საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება) შექმნის პროცესს მიეძღვნა, რაზეც თავისთავად არახელსაყრელი გავლენა იქონია, როგორც სამოქალაქო ომმა ისე ქონების მიტაცებისა და არასამართლიანი გადასაწილების პროცესმა, აგრეთვე კორუფციის მაღალმა დონემ, მის მეორე ეტაპზე, ეკონომიკისა და ქვეყნის ბიუჯეტის გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი, რასაც თან ახლდა ეკონომიკის განვითარებაში არასამართლიანი ჩარევისა და მეწარმეებზე ზეწოლის გავლენის არასახარბიელო ფაქტები. ასეთ ვითარებას დაემატება მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგად გამოწვეული ზარალი. ყოველივე აღნიშნულის შედეგად თუ 2003-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ წელიწადში 3,3 პროცენტით იზრდებოდა, მას თან არ ახლდა დასაქმებულთა შესაბამისი ზრდა. ამ პერიოდში, ადგილი ჰქონდა მის ყოველწლიურ შემცირებას, საშუალოდ, წელიწადში 1,2 პროცენტით. პროდუქციისა და მომსახურების იმპორტი ჯერადობით (4-5 ჯერ) სჭარბობდა პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტს, საიმედოდ ვერც ინფლაციის მაჩვენებელი გამოიყურებოდა (იგულისხმება მისი სანდოობის ხარისხი). ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა იმდენად არასახარბიელოა, რომ მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხრივ გასული საუკუნის 90-იანი წლების მხოლოდ 80%-ი უჭირვას და ამ მაჩვენებლით იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებს შორის.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ამოცანა დღის წესრიგში განსაკუთრებით 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დადგა. ეკონომიკის მდგრადი განვითარების და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია ქვეყანაში საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის უზრუნველყოფისა და მისი მიღწევის დონისძიებების გატარება. სწორედ მოცემული პრობლემატიკის შესწავლა-გამოკვლევას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

საკვლევი თემის აქტუალობა. საქართველოში საგადასახადო ტვირთის კვლევის პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ერთიანი მიდგომა დღემდე არ არსებობს. „საგადასახადო ტვირთის“ სინონიმებად განიხილება „საგადასახადო წნეხი“. საგადასახადო ტვირთი, დაბეგვრის კოეფიციენტი მოცემული ტერმინის ქვეშ მოიაზრება ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში. სწორედ გადასახადების მეშვეობით ახდენს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, რადგანაც იგი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ძირითად ინსტრუმენტს. საგადასახადო ტვირთი იანგარიშება როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე მას ანგარიშობენ ინსტიტუციური ერთეულების (კორპორაცია, საწარმო) მიხედვით. საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე დიდად არის დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მდგომარეობისადმი ხელის შეწყობა. ამდენად მისი ოპტიმალური ზომის დადგენა მნიშვნელოვანი და ერთობ რთული მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემაა. მსოფლიოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო განაკვეთების ზომის განსაზღვრის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, რაც ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის ფორმირების ამოსავალი თეზაა.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური ზომის დადგენის პრობლემატიკას როგორც პრაქტიკული ისე მეცნიერული ასპექტით მრავალი უცხოელი მეცნიერის (ტ. ბიონკე, ბ. იოჰიმსენი, ფ. ჰოლმი, ე. ბალაცკი, ნ. ეკიმოვა, მ. ჰაინემანი, კ. ებეკი, დ. ოლსერი, შ. ბახი, ა. აკაი, ო. ბარგანი, მ. დოლსი, დ. ნოიმანი, თ. ბიუტნერი, ი. ვერნერი, ს. შტენი, ა. ფედელინი და სხვ.) ნაშრომი ეძღვნება. ქართველი მეცნიერებიდან საგადასახადო შემოსავლებისა და საგადასახადო ტვირთის მეცნიერული კვლევის საკითხებს უძღვნიან თავიანთ ნაშრომებს: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები: იური ანანიაშვილი, იაკობ მესხია, რევაზ ბასარია, ვლადიმერ ბასარია, ნოდარ ხაღური,

გიორგი მაღაშხია, დავით ნარმანია, ელგუჯა კოსრიშვილი, ემზარ ჯგერენია, რევაზ კაკულია, მიხეილ ჩიკვილაძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი, იოსებ არჩვაძე, ლელა ბახტაძე, აკაკი გაბელაია, ნარიმან ტერაშვილი, ნაირა ყირიმლიშვილი და სხვები. ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ სიღრმისეულად არის გამოკვლეული გადასახადები ზოგადად, სხვადასხვა ასპექტით. თუმცა, ვხვდებით ცალკეული გადასახადებისა და მთლიანად საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობისადმი მიძღვნილ კვლევებსაც. ამასთან ერთად, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე საქართველოში ჯერ-ჯერობით კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება გადასახადების და მთლიანად საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური ზომის დადგენის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის შემუშავებისა და მისი საგადასახადო პრაქტიკასთან შეჯერება და გამოცდა. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის, მისი პროგნოზირებისა და მიკრო და მაკრო დონეებზე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება-რეფორმირების საკითხებში მისი მონაწილეობა სამომავლოდ აუცილებლად გახდება ჩვენი და ასევე, ალბათ სხვა უცხოელი და ქართველი მკვლევარის დაინტერესების საგანი.

კვლევის მიზნები და ამოცანები. თანამედროვე ინტერაქტიულ მსოფლიოში ეკონომიკის მდგრადი განვითარება მიჩნეულია მსოფლიოში კაცობრიობის გადარჩენის პრიორიტეტად. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რომლის ეკონომიკური განვითარების მიზანია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, მის მიღწევაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს და მთლიანობაში ოპტიმალურ საგადასახადო ტვირთს. ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია და მის მისაღწევად კვლევის პროცესში შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი ამოცანები:

1. საზოგადოების მდგრად განვითარებასა და კეთილდღეობაზე გადასახადების ზემოქმედების შესწავლა სათანადო კვლევების ჩატარებით. მოცემული ამოცანის გაშუქებისას მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით განვმარტეთ მდგრადი განვითარების თანამედროვე დეფინიცია და ჩამოვაყალიბეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ეკონომიკის განვითარებისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდის მახასიათებლებს შორის. ამ მიზნით გამოვიკვლიეთ, ერთის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტისა და საგადასახადო შემოსავლების და მეორეს მხრივ, მშპ-სა და წმინდა შიდა პროდუქტის მაჩვენებლების კორელაცია. შევეცადეთ

ავგეგო მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსი, რომელიც თავისთავად ეკონომიკური განვითარების, სოციალური მდგომარეობისა და ეკოლოგიური მდგომარეობის სუბინდექსებს მოიცავს. ამავე ამოცანას დაუქვემდებარეთ გადასახადების კავშირის შესწავლა შემოსავლების მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობაზე. მოცემული ამოცანის გადაწყვეტაში მოვიშველიეთ ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორც არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და გარდა ამისა, ჩავატარეთ მშპ-სა და წმინდა განკარგვადი ეროვნული შემოსავლის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი;

2. მაკრო და მიკრო დონეებზე საგადასახადო ტვირთის სიმძიმე – სიმსუბუქის განსაზღვრა სათანადო ანალიზით და ტრადიციული ფორმულის გათანამედროვეებით. მოცემული ამოცანის დასმისას კვლევაში ცალ-ცალკე მოვახდინეთ მაკრო და მიკრო დონეებზე საქართველოში საგადასახადო ტვირთის ანალიზი, მოსახლეობის ტვირთის ჩათვლით და ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის განსაზღვრის მიზნით შევიმუშავეთ ტრადიციული ფორმულის გათანამედროვეებული ვარიანტები;

3. ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების გამოყენებითა და ემპირიული კვლევების ჩატარებით. ამოცანის ჩამოყალიბებისას აქცენტი გავაკეთეთ საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობაზე და მისი მიღწევის დონისძიებებზე, რისთვისაც ავაგეთ ლაფერის მრუდები საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. აგრეთვე, სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების, საწარმოთა ტიპების და მოსახლეობის მიხედვით ვიანგარიშეთ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი. მოვახდინეთ ჩვენი ქვეყნის საგადასახადო ტვირთის შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ამავე ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ წამყვან საკითხად დავისახეთ პირდაპირი გადასახადის განაკვეთის (მოგების მაგალითზე) ოპტიმალური ზომის დადგენა, რისთვისაც შევიმუშავეთ მისი გაანგარიშების ალგორითმი, რომელიც გამოვცადეთ ქვეყნის მსხვილ და საშუალო საწარმოებში. ამავე ამოცანაში მიმოვიხილეთ გადასახადები საქართველოში და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

კვლევის საგანი და ობიექტი. სადოქტორო ნაშრომის კვლევის საგანია საგადასახადო განაკვეთების და შესაბამისად, საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის განსაზღვრა. გადმოცემულია

გადასახადების განაკვეთის ოპტიმალურობის შეფასების ღონისძიებები და შესაბამისად საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის პრობლემები ქვეყნის მაკრო და მიკრო დონეებზე. კვლევის ობიექტია ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში მაკრო და მიკრო დონეებზე არსებული საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის მდგომარეობის გამოკვლევა და სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ტვირთის ოპტიმალური ზომის დასადგენად წინადადებების შემუშავება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია: გადასახადებზე საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური დეფინიციები და დებულებები, ეკონომიკური და ფინანსური თეორიები, საგადასახადო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მეთოდური მითითებები და ბრძანებები. ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევები, პერიოდული გამოცემების მასალები, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკვლევები და დასკვნა-რეკომენდაციები. ასევე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემები, ფინანსთა სამინისტროს, ევროსტატის (ევროკავშირის სტატისტიკური სამსახური), სხვა სამინისტროებში და უწყებებში არსებული ინფორმაცია, ინსტიტუციურ ერთეულებზე პირველადი ინფორმაცია, მათი კონფიდენციალობის დაცვით. გარდა ამისა, საგადასახადო განაკვეთების ოპტიმალურობის დადგენასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ჩატარებულია საწარმოთა ემპირიული კვლევა. წინამდებარე ნაშრომის კვლევის პროცესში გამოყენებულია გერმანიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების შესაბამისი კათედრებისა და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების გამოკვლევები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. სადოქტორო ნაშრომის კვლევაში კომპლექსურად არის შესწავლილი საქართველოში საგადასახადო განაკვეთების ზომის ოპტიმალურობასთან და მთლიანად საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქესთან დაკავშირებული საკითხები. ამდენად სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

- შემუშავებულია საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური ზომის გაანგარიშების კონცეფცია და გადმოცემულია ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ძირითადი ღონისძიებები.

- გაანალიზებული და შესწავლილია მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების მიერ შემოთავაზებული იდეა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის ერთ მანქანებელში გამოსახვის შესახებ, რისთვისაც შემოთავაზებულია ავტორისეული ფორმულა;
- შემოთავაზებულია წინადადება ქვეყნის მაკრო და მიკრო დონეებზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის აგების ახალი კონსტრუქციისა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ, ასევე აგებულია ლაფერის მრუდები საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე;
- ქვეყნის სხვადასხვა ტიპის 70 საწარმოს ემპირიული კვლევის საფუძველზე, გადასახადის ორადი ბუნებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია წინადადება მოგების გადასახადის ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ;
- სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული 7781 საწარმოს საგადასახადო ტვირთისა და ამ უწყებასა და ფინანსთა სამინისტროში არსებული 49 000 ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის მონაცემთა კვლევის შედეგად გამოვლენილია ტვირთისა და საშემოსავლო გადასახადის მიხედვით დეცილური უთანაბრობის სურათი და გაკეთებულია დასკვნა, რომ საგადასახადო განაკვეთები და მთლიანად საგადასახადო ტვირთი საწარმოების ზომების, მოსახლეობის შემოსავლებისა და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული, რითაც ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში გატარდება სამართლიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „ღარიბი იხდის ნაკლებს, ვიდრე მდიდარი“;
- შემუშავებულია წინადადებები საქართველოში მოქმედი გადასახადების სრულყოფის შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადოქტორო ნაშრომის კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოადგეს ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მუშაკებს საგადასახადო განაკვეთების და მთლიანად საგადასახადო ტვირთის სრულყოფის, პროგრესული გადასახადების შემოღებისა და გადასახადებთან დაკავშირებული სხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტისას.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევების სხვადასხვა საფეხურებზე. სადოქტორო ნაშრომში ასახული ზოგიერთი შედეგი ასევე შეიძლება გამოადგეს ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებს.

თავი 1. გადასახადების ზემოქმედება საზოგადოების მდგრად განვითარებასა და კეთილდღეობაზე

1.1 მდგრადი განვითარების თანამედროვე დეფინიცია და გადასახადების როლი მის უზრუნველყოფაში

ეკონომიკის მდგრადი განვითარება ამჟამად მსოფლიოში კაცობრიობის გადარჩენის ძირითად პრიორიტეტად არის აღიარებული. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის და ეროვნული თანხმობის მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გვესახება. ეკონომიკის მიზანი არის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რომლის მიღწევაშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს, რაც თავის მხრივ საზოგადოების მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელოვანი ბერკეტია. „ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ მოულოდნელად რატომ დადგა ფინანსური კრიზისი, მდგომარეობს იმაში, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თანამედროვე მაჩვენებელთა სისტემა არასრულყოფილია და ბაზრის მონაწილეები და მთავრობა არ იყო ორიენტირებული განსაკუთრებით ადეკვატურ მაჩვენებელზე.“¹ მოცემული ამონარიდი მოტანილია საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნ.სარკოზის ინიციატივით შექმნილი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერებისაგან შემდგარი კომისიის მიერ 2009 წელს გაკეთებული ანგარიშიდან, რომელსაც ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოსეფ სტიგლიცი ხელმძღვანელობდა. ამჟამად, გამოყენებული სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ახასიათებს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის სურათს სრულად ვერ ასახავს ზემოაღნიშნულ სფეროებში შექმნილ რეალურ სიტუაციას და აქედან გამომდინარე როგორც მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა საკმარისი არ არის კრიზისების (ან სხვა ანომალიების) პროგნოზირებისა და მით უფრო მდგრადი განვითარების მიმართულებების სწორად დახასიათებისათვის. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების ახალი, ინოვაციური მაჩვენებლების შემუშავების აუცილებლობის საკითხი. ამ თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული

¹ ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასების ჯ. სტიგლიცის კომისიის მოხსენებიდან (www.stiglitz-sen-fitoussi.fr)

მოსხენება მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოდგა. სწორედ ამის გამო განიხილეს იგი გაეროში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია ევრეთწოდებული „ოცეული“ ქვეყნის ლიდერების მიერ გაკეთებული ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შეფასების აუცილებლობის შესახებ. მოცემული გადაწყვეტილების პასუხად შეიძლება ჩავთვალოთ 2010 წლის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება „აშშ-ს მოქალაქეთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე მონაცემთა შეგროვების მიზნით მნიშვნელოვან ეროვნულ მარჯვენებელთა სისტემის შემუშავების შესახებ“.

ჟ. სტიგლიცის კომისიის მიერ შედგენილ მოსხენებაში აღნიშნულია, რომ მართალია მთლიანი შიდა პროდუქტი კარგად ახასიათებს საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობას, მაგრამ მას ვერ გამოვიყენებთ კეთილდღეობის დახასიათების ერთადერთ კრიტერიუმად, მით უფრო, გარემოში ცვლილებების დახასიათებელ პარამეტრად და მდგრადი ეკონომიკური განვითარების ტენდენციების დახასიათების ერთადერთ ინდიკატორად. ყოველივე ზემოაღნიშნულის მტკიცებად მიგვაჩნია 2010 წლის აპრილში ეკონომიკური ზრდის კონცეფციის გაფართოების აუცილებლობაზე ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების განაცხადი, როგორებიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და მსოფლიო ბანკი. მოცემული განაცხადის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებელი უნდა შეივსოს ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: დასაქმება, მოსახლეობის ცხოვრების სოციალური პირობები და არსებული გარემო.

მანამ სანამ ძირითადი ინდიკატორების საფუძვლიან განხილვას შევუდგებით, დავსვათ ერთი ტრივიალური კითხვა: ეკონომიკის მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების სტაბილური ზრდა თუ პირიქით, სტაბილურმა და მოქნილმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება? ჩემი პასუხი დასმულ კითხვაზე შემდეგია: ორივე ფაქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებული და სასურველი საბოლოო შედეგების მიღება შესაძლებელია მათი მჭიდრო კორელაციის პირობებში.

განვიხილოთ თუ როგორ ურთიერთდამოკიდებულებაშია ქვეყნის მშპ-სა და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მაჩვენებლები.

როგორც ცნობილია, მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება – მოვლენებისა და პროცესების ისეთი კავშირია, რომლის დროსაც ერთ-ერთის ცვლილება - მიზეზი - იწვევს მეორის ცვლილებას - შედეგს. ჩვენს შემთხვევაში გვინდა ვაჩვენოთ თუ როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მთლიან შიდა პროდუქტსა და საბიუჯეტო გადასახადების მაჩვენებლებს შორის.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და საბიუჯეტო შემოსავლების მაჩვენებლების მიზეზ-შედეგობრივი კავშირ-ურთიერთობების განსაზღვრისათვის ჩვენ გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს და მის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებსა და რაოდენობრივ დახასიათებას ერთფაქტორიანი რეგრესიის მოდელების გამოყენებითა და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი შეიძლება დაიყოს შემდეგ ეტაპებად:

- მშპ-სა და საბიუჯეტო შემოსავლებზე სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული ინფორმაციის შეგროვება;
- მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების გადაყვანა 2003 წლის მუდმივ ფასებში;
- კავშირის ფორმის ამორჩევა;
- მოდელის პარამეტრების მოძებნა;
- მიღებული შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი მათგანი შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სხვა მაჩვენებლის ნამრავლის ან ჯამის სახით.

აგაგოთ ცხრილი მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების მონაცემებით 2005-2012 წლების მიხედვით.

მშპ -სა და საბიუჯეტო გადასახადების მონაცემები 2005-2012 წწ


წელი	მშპ მლრდ. ლარი მიმდინარე ფასებში (X)	საგადასახადო შემოსავლები მიმდინარე ფასებში მლრდ.ლარი(y)	მშპ 2003 წლის (მუდმივ ფასებში) მლნ. ლარი (X)	საგადასახადო შემოსავლები 2003 წლის (მუდმივ ფასებში) მლნ. ლარი (y)
2005	11.6	2.4	9935.6	1473.3
2006	13.8	3.1	10868.0	1575.7
2007	17	4.4	12208.8	1847.5
2008	19.1	5.8	12491.4	1857.9
2009	18	5.3	12019.7	1825.7
2010	20.7	5.8	12771.3	1848.9
2011	24.2	6.8	13687.5	2037.1
2012	26,1	6,7	14524.5	2190.3

საგადასახადო შემოსავლები 2003 წლის ფასებში ვიანგარიშეთ შემდეგნაირად: გადასახადები პროდუქციაზე მიმდინარე ფასებში შევადარდეთ პროდუქციაზე გადასახადებთან მუდმივ ფასებში და მივიღეთ დეფლატორი. საგადასახადო შემოსავლების აღნიშნულ დეფლატორზე გაყოფით მივიღეთ შემოსავლების მნიშვნელობები 2003 წლის ფასებში. ამ ორი მაჩვენებლის კავშირის შესასწავლად გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესიული გაანგარიშებანი, რომლის საფუძველზეც მივიღეთ, რომ კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0.9905, რაც საკმაოდ მაღალი ნიშნულია, ანუ ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლების ზრდასთან.

როგორც ვიზუალურად ჩანს (იხ. გრაფიკი 1), საქართველოს მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლებს შორის დამოკიდებულება ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მოცემულ შემთხვევაში წყვილადი კორელაცია წრფივი ფორმისაა.

გრაფიკი N1

საქართველოს მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების კორელაციის მახასიათებელი გრაფიკი



გრაფიკი გვიჩვენებს ამ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულებას (კავშირი სწორხაზოვანია ანუ – მაჩვენებელთა ურთიერთგადამკვეთი წერტილები მიახლოებით ან ფაქტიურად სწორ ხაზზეა განლაგებული). შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\bar{y}_x = a_0 + a_1x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრების მნიშვნელობები. მიღებული გაანგარიშებები გადავამოწმეთ სტატისტიკური პროგრამის - SPSS-ის დახმარებით.

საქართველოს მშპ -სა და საგადასახადო შემოსავლების

მონაცემების ურთიერთდამოკიდებულების გაანგარიშების დამხმარე ცხრილი²

	საგადასახადო შემოსავლები -2003 წლის ფასებში მლნ.ლარი (x)	მშპ-2003 წლის ფასებში მლნ.ლარი (y)	(xy)	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$	$(y - \bar{y})$	$(y - \bar{y})^2$	(X ²)
2005	1473.347	9935.618	14638609	358.721899	128681.4	-2377.73	5653588	2170750
2006	1575.689	10867.97	17124540	256.379893	65730.65	-1445.37	2089104	2482794
2007	1847.526	12208.85	22556160	15.4573204	238.9288	-104.498	10919.93	3413352
2008	1857.895	12491.37	23207644	25.8263947	667.0027	178.02	31691.13	3451773
2009	1825.737	12019.72	21944848	6.33135853	40.0861	-293.626	86216.06	3333316
2010	1848.94	12771.32	23613394	16.8712436	284.6389	457.9707	209737.2	3418578
2011	2037.139	13687.47	27883286	205.070669	42053.98	1374.127	1888226	4149936
2012	2190.276	14524.45	31812559	358.207523	128312.6	2211.107	4888994	4797309
ჯამი	14656.55	98506.76	1.83E+08	4.5475E-13	366009.3	1.09E-11	14858475	27217808

სადაც,

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n}, \quad \bar{x} = \frac{\sum x}{n}, \quad \bar{y} = \frac{\sum y}{n}, \quad \sigma_x = \sqrt{\frac{\sum(x - \bar{x})^2}{n}}; \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum(y - \bar{y})^2}{n}}$$

ანუ ჩვენი მონაცემებიდან მივიღეთ, რომ:

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 22847630$$

$$\bar{x} = \frac{\sum x}{n} = 1832.068$$

² ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$\bar{y} = \frac{\Sigma y}{n} = 12313.35$$

$$a_0 = \bar{y} - a_1 \bar{x} = 751.0664$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\overline{x^2} - (\bar{x})^2} = 6.311052$$

ამდენად, განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\bar{y}_x = 751.0664 + 6.311052X$$

ამ განტოლების მეშვეობით ვიპოვეთ მოსწორებული (\hat{y}) ღონეები, რაც ცხრილის სახით ასე გამოიყურება:

ცხრილი N3

მშპ და მისი მოსწორებული ღონეები³

წელი	მშპ-2003 (y)	(\hat{y})
2005	9935.618	10049.43
2006	10867.97	10695.32
2007	12208.85	12410.9
2008	12491.37	12476.34
2009	12019.72	12273.39
2010	12771.32	12419.82
2011	13687.47	13607.56

³ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2012	14524.45	14574.01
ჯამი	98506.76	98506.76

მოსწორებული დონეების ჯამი ($\sum \hat{y}$) უდრის 98506.76-ს, ემპირიული დონეების ჯამიც ($\sum y$) 98506.76-ის ტოლია. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა)

$$\sum (y - \hat{y})^2 = (98506.76 - 98506.76)^2 = 0.$$

ეკონომიკური მოვლენების ეფექტური ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახის კორელაციის კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფენხერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეორიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს (-1 დან +1 მდე). კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მრავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი.

წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი,⁴ რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გასაანგარიშებელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y}$$

4გაბიაშვილი ბ.სტატისტიკა ეკონომიკასა ბიზნესში და მენეჯმენტში, თბ.,2011.,გვ.248-258

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, სადაც x - საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაა, ხოლო y - საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი, ეს მონაცემები შეადგენს:

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 22847630; \quad \overline{x} = \frac{\sum x}{n} = 1832.068; \quad \overline{y} = \frac{\sum y}{n} = 12313.35$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum(x - \overline{x})^2}{n}} = 213.8952; \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum(y - \overline{y})^2}{n}} = 1362.831$$

კორელაციის კოეფიციენტი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\sigma_x \sigma_y} = 0.990514$$

გაანგარიშებებმა გვიჩვენეს, რომ კორელაციის კოეფიციენტი (0.9905), საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეკონომიკის ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლების ზრდასთან.

მსოფლიოს სტატისტიკური აღრიცხვის თეორიასა და პრაქტიკაში მიხნეულია, რომ თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა 0-დან 0.3-მდეა - კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე - ზომიერია, ხოლო თუ 0.6-დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი $r = 0.99$ -ის ტოლია, რაც ძალიან ძლიერია და პროცენტებში 99%-ია, ამრიგად, მთლიან შიდა პროდუქტსა და საგადასახადო შემოსავლის მაჩვენებელს შორის მჭიდრო კორელაციური კავშირია. ზემოაღნიშნული მჭიდრო კორელაციური კავშირი სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიწვია საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლის მიხედვითაც გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე (2004-2008), ასევე შემცირდა ზოგიერთი საგადასახადო განაკვეთი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს ექვსი გადასახადი, მათ შორის, 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 1 ადგილობრივი გადასახადია.

1. დამატებული ღირებულების გადასახადი;

2. საშემოსავლო გადასახადი;
3. მოგების გადასახადი;
4. აქციზი
5. ქონების გადასახადი;
6. იმპორტის გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სფეროში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008 წ - 25%; 2009 წლიდან - 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე დღეისათვის შეადგენს 5%-ს ნაცვლად 2005 წელს არსებული 10%-სა. გარდა ამისა, საქართველოში დაინერგა მნიშვნელოვანი პროცედურული და ინსტიტუციური სიახლენი, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებული სისტემა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია.⁵

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა ნდობის ამაღლებას საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი. 2014 წლისთვის იგეგმება გადასახადების გაუქმება დივიდენდებსა და საპროცენტო განაკვეთებზე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გათვალისწინებულია გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები.⁶ ყოველივე ზემოაღნიშნულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას ისეთი განზოგადებული მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც 1996 წლის მუდმივ ფასებში 2005 წელს 6,6 მლრდ ლარიდან 2012 წელს 9,6 მლრდ ლარამდე გაიზარდა. მოცემული მაჩვენებელი 2005-2012 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მუდმივ ფასებში 2,4 %-ით იზრდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. კერძოდ, მისი მოცულობა 2005-2012 წწ, 1996 წლის მუდმივ ფასებში საშუალოდ ყოველწლიურად 2,5%-ით იზრდებოდა.

⁵ <http://www.economy.ge>

⁶ <http://www.mfa.gov.ge>

როცა მდგრადი განვითარების ახალ, ინოვაციურ კრიტერიუმებზე ვმსჯელობთ და როდესაც კონკრეტულად საკითხი ეხება ცხოვრების დონის შეფასებას, ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, გაანგარიშებებს წმინდა საფუძველზე, უპირატესობა აქვთ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან, რომლებიც იანგარიშება მთლიან საფუძველზე⁷. როგორც ვიცით, მთლიან საფუძველზე გაანგარიშებულ მთლიან შიდა პროდუქტს გამოკლებული ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულება გვაძლევს მთლიან წმინდა პროდუქტს. რატომ ანიჭებენ უპირატესობას მთლიან შიდა პროდუქტს წმინდა შიდა პროდუქტთან შედარებით? იმიტომ რომ ძირითადი კაპიტალის ცვეთის ღირებულების სიდიდე ძნელად დასათვლელია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ როგორც დასავლეთის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ცვეთის ღირებულების სიდიდის დასათვლელად იყენებენ მარტივ წესს. თუ მაგალითად, მანქანათმშენებელი ჩარხი თავისი მონაცემებით გამოზნულია 10 წლის მანძილზე ემსახუროს წარმოებას და წელიწადში ცვდება 10 პროცენტით, ამორტიზაციის ყოველწლიური ღირებულება ტოლი იქნება 1/10 ნაწილის. თუმცა, ეკონომიკაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების კვალობაზე მოცემული წესი ამორტიზაციის გაანგარიშებისათვის არ გამოდგება. მაგალითად, ავილოთ კომპიუტერებისა და სხვა სახის ინფორმაციული ტექნოლოგიები. ისინი უფრო სწრაფ ცვეთას განიცდიან ვიდრე მანქანათმშენებლობაში მოქმედი ჩარხები. ბუნებრივია, კომპიუტერებისა და მისი მსგავსი ტექნიკის საქმიანობის მოსალოდნელი ვადა გაცილებით მცირეა, ვიდრე მძიმე მრეწველობის პროდუქციის. ბუნებრივია, მოცემული მაგალითის მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი განსხვავებული იქნება ვიდრე წმინდა შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი. მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება უფრო სწრაფად ვიდრე წმინდა შიდა პროდუქტი. ყოველივე ზემოაღნიშნული განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე და ვაჩვენოთ, თუ როგორ კორელირებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლები ერთმანეთთან. ამისათვის გამოვიყენოთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

⁷ ეკონომიკური შედეგებისა და სოციალური პროგრესის შეფასების ჯ. სტიგლიცის კომისიის მოხსენებიდან (www.stiglitz-sen-fitoussi.fr)


მშპ -სა და წმინდა შიდა პროდუქტის მონაცემები 2005-2011 წწ

წელი	მშპ მლრდ. ლარი მიმდინარე ფასებში (X)	წმინდა შიდა პროდუქტი მლრდ.ლარი(y)
2005	11.6	10,5
2006	13.8	12,5
2007	17	15,4
2008	19.1	17,3
2009	18	16,2
2010	20.7	18,6
2011	24.2	21,6

ამ მონაცემების გრაფიკული გამოსახულებიდანაც ჩანს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის კავშირი წრფივი სახით ხასიათდება.

⁸ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის ურთიერთკავშირის გრაფიკი 2005-2011 წწ



შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა აქაც წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\bar{y}_x = a_0 + a_1x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრებს.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა შიდა პროდუქტის
ურთიერთკავშირის ამოსახსნელი დამხმარე ცხრილი 2005-2011 წწ

	(x)	(y)	(xy)	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$	$(y - \bar{y})$	$(y - \bar{y})^2$	(X ²)	(ŷ)
2005	11.6	10.5	121.8	-6.88571429	47.41306	-5.51429	30.40735	134.56	10.05048
2006	13.8	12.5	235	0.31428571	0.098776	-3.51429	12.3502	353.44	16.28649
2007	17	15.4	261.8	-0.48571429	2.207347	-0.61429	0.377347	289	14.72749
2008	19.1	17.3	330.43	0.61428571	0.377347	1.285714	1.653061	364.81	16.54633
2009	18	16.2	291.6	-0.48571429	0.235918	0.185714	0.03449	324	15.5936
2010	20.7	18.6	385.02	2.21428571	4.903061	2.585714	6.685918	428.49	17.93211
2011	24.2	21.6	522.72	5.71428571	32.65306	5.585714	31.2002	585.64	20.9635
ჯამი	129.4	112.1	2148.37		87.88857		82.70857	2479.94	112.1

ამ მონაცემებიდან გამოძინარე ვლგებულობო:

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 306,91;$$

$$\overline{x} = \frac{\sum x}{n} = 18,48571;$$

$$\overline{y} = \frac{\sum y}{n} = 16,01429;$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}} = 3,543376;$$

⁹ ავტორისეული გაოვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\sum(y - \bar{y})^2}{n}} = 3,43737;$$

$$a_0 = \bar{y} - a_1 \bar{x} = 0,003569;$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\overline{x^2} - (\bar{x})^2} = 0,866113;$$

ამდენად, განტოლება მიიღებს სახეს:

$$\bar{y}_x = 0,003569 + 0,866113 X$$

მოსწორებული დონეების ჯამი ($\sum \hat{y}$) უდრის 112,1 -ს, ემპირიული დონეების ჯამიც ($\sum y$) ტოლია 112,1-ის. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა).

$$\sum (y - \hat{y})^2 = (112,1 - 112,1)^2 = 0.$$

შესაბამისად, კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იქნება:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = \frac{306,91 - 18,48571 \cdot 16,01429}{3,543376 \cdot 3,43737} = 0,892823$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი $r = 0,89$ -ის ტოლია, რაც ასევე ძალიან ძლიერია, როგორც წინა შემთხვევაში და პროცენტულად 89%-ია. ეს მიუთითებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და წმინდა შიდა პროდუქტს შორის მჭიდრო კორელაციურ კავშირზე.

გაკეთებული დასკვნის მიუხედავად, როგორც ძირითადი კაპიტალის ცვეთის მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, მათი ცვეთის ყოველწლიური პროცენტული მაჩვენებლები თითქმის ერთნაირია. რაც მეტად საეჭვოა და

დამატებით სპეციალური კვლევების ჩატარებას საჭიროებს ეკონომიკის ცალკეული დარგების სპეციფიკისა და ეკონომიკაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით.

მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მატერიალური ცხოვრების დონის დახასიათებისათვის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებენ შემოსავლის, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებს. მეორე რიგის მაჩვენებელთა ნუსხას მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხის მახასიათებელი ინდიკატორები. კერძოდ, ისეთი ინდიკატორები როგორცაა:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განათლების მიღების შესაძლებლობა;
- საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები;
- ფინანსური პრობლემები;
- სტაბილური სამუშაო და შრომითი პირობები;
- ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- ნათესავებთან, კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობები.

მესამე რიგის მაჩვენებლებს უნდა მივაკუთვნოთ ეკოლოგიური კვალის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს საერთო სივრცეს და აუცილებელია კვების პროდუქტების და სხვა საქონლის წარმოებისა და მოხმარებისათვის, ნარჩენების უტილიზაციისა და ტერიტორიების ინფრასტრუქტურის ელემენტებით (განაშენიანების ზონები) უზრუნველყოფისათვის.

მდგრადი განვითარების ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვა ერთობ რთული მეთოდოლოგიური ხასიათის სამუშაოა, რომელზედაც ამჟამად დიდ ძალისხმევას მიმართავენ მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ჩვენი აზრით, მოცემული ნაერთი ინდიკატორი უნდა ავაგოთ დაახლოებით ისე, როგორც ააგეს ჰუმანური განვითარების ინდექსი. ამრიგად, მდგრადი განვითარების ნაერთ ინდექსს შემდეგი სახე ექნება:

$$E_{SD} = \sqrt[3]{E_{EC} \times E_S \times E_{EN}} \quad (1)$$

სადაც:

E_{EC} - ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_S - სოციალური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{EN} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{SD} - მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსია.

ჩვენს მიერ მოტანილ ფორმულაში მოცემულია მცდელობა, მოვახდინოთ მდგრადობის რაოდენობრივი შეფასება, თუმცა მდგრადობა ასე ცალსახად რთულად გასაზომი დეფინიციაა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ ინდექსში უნდა გამოვსახოთ ცალკეული მაჩვენებელთა შრეების მიხედვით როგორც მონეტარული, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლები. მდგრადობაში შემაჯავლი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური მდგომარეობის და ეკოლოგიური გარემოს მახასიათებელი მაჩვენებლები საჭიროა ვიანგარიშოთ ცალ-ცალკე და შემდგომ მოვახდინოთ მდგრადობის ერთ მაჩვენებლად გამოსახვა. დაახლოებით ისე, როგორც ანგარიშობენ ადამიანური განვითარების ინდექსს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მდგრადობის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეკოლოგიური კვალი. მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის საინტერესო ვარიანტი შესთავაზა მსოფლიოს ეკონომიკურ საზოგადოებას ფრანგმა მეკვლევარებმა (კ.პლატო და სხვ.). მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, როგორიც არის კლიმატის ცვლილება, დღეისათვის თითოეული ქვეყნისათვის იქცა გლობალური მასშტაბის პრობლემად და მისი ამჟამინდელი მდგომარეობა რეალურ საფრთხეს უქმნის მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მდგრად განვითარებას, ბუნებაში მავნე გამონაბოლქვებს და მათ გადაადგილებას ერთი ქვეყნიდან მეორეში ხომ არ გააჩნია არც ეკონომიკური და არც საბაჟო საზღვრები. მსოფლიოში კლიმატის შეცვლის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის „ნახშირჟანგის კვალი“, იგი შეტანილი არის უმეტესი ქვეყნის მიერ მდგრადი განვითარების მახასიათებელ ერთ-ერთ საბაზო ინდიკატორად. ქვეყნის ეკოლოგიური კვალი (მოთხოვნის თვალსაზრისით) წარმოადგენს კვების პროდუქტების, ქსოვილის და ხე-ტყის წარმოებისათვის საჭირო სივრცეს, რომელსაც იგი მოიხმარს, ნარჩენების უტილიზაციისათვის და ინფრასტრუქტურის

ელემენტების ტერიტორიის უზრუნველყოფას (განაშენიანების ზონები). მიწოდების თვალსაზრისით ბიო-სივრცე განიხილება როგორც ბიო-სფეროს წარმოებითი მოცულობა და მისი უნარი უზრუნველყოს ბიოლოგიური რესურსებისა და მომსახურების ნაკადები, რომელიც საჭიროა ადამიანთა სარგებლისათვის. ამგვარად განმარტეს ეს ცნება დენიელ მორანმა და მატის ვაკერნიეგელმა.

1985 წლიდან მოყოლებული კაცობრიობის ეკოლოგიური კვალი გახდა მეტი ვიდრე პლანეტის საერთო (ბიოლოგიური) ტევადობა, ხოლო 2003 წელს ეკოლოგიურმა კვალმა გადააჭარბა დედამიწის, პლანეტის ბიოლოგიურ მოცულობას დაახლოებით 25 პროცენტით, ე.ი. ჩვენი ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, დამატებით გეჭირდება ჩვენი პლანეტის $\frac{1}{4}$. იმ დროს როდესაც მსოფლიოში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 1,8 ჰექტარი, ევროპელები იყენებენ 4,9 ჰექტარს, ხოლო ჩრდილო-ამერიკელები 2-ჯერ მეტს, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს მოცემული ორი გეოგრაფიული ზონის ფაქტობრივ ბიომოცულობას.¹⁰

დაეუბრუნდეთ ისევ საფრანგეთის მაგალითს, ნახშირჟანგის კვალი ზომავს ნახშირჟანგის გამონაბოლქვს არა საწარმოებში წარმოებული პროდუქციის მოცულობიდან გამომდინარე, არამედ სამომხმარებლო ბაზრის პროდუქტებზე შინამეურნეობების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, საუბარია პროდუქტების შექმნაზე გლობალური ეკონომიკის თვალსაწიერით. ასეთი გაანგარიშება ითვალისწინებს გაიზომოს ნახშირჟანგის ატმოსფეროში გამოყოფა არამხოლოდ საფრანგეთში წარმოებული პროდუქციის არამედ „დანარჩენი მსოფლიოს“ თვალსაწიერთაც. ნახშირჟანგის კვალის გაანგარიშება საბოლოო მოხმარების მოცულობის მიხედვით აჩვენებს, რომ საგარეო-სავაჭრო ბრუნვის გათვალისწინებით საშუალოდ ერთ ფრანგზე ნახშირჟანგი მოდის წელიწადში 9 ტონა და არა 6,7 ტონა, როგორც ამას აჩვენებდა გაანგარიშებები საფრანგეთის ეროვნულ ტერიტორიაზე პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლები.

მდგრადი განვითარების ზოგადი კონცეფციის გაცნობის შემდეგ საჭიროა შევიმუშავოთ წინადადებები როგორი ზემოქმედება შეუძლია გადასახადებს საზოგადოების მდგრად განვითარებასა და კეთილდღეობაზე, საჭიროა მოცემული

¹⁰ Клер Плато (INSEE Франции). Что нового в статистическом измерении благосостояния и устойчивого развития общества ? Вопросы статистики, 11/2011

საკითხის შესწავლა ისეთი მთავარი თეზისის განმეორებით, რომელიც უკვე ყველამ აღიარა. ეს არის საკითხი თუ რას დაუტოვებთ მომავალ თაობებს. ასევე გაგვაჩნია კი ყველა სახის რესურსების საკმარისი რაოდენობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვუზრუნველყოთ შესაძლებლობათა ისეთი ნაკრებით მომავალი თაობები, რომელსაც ამჟამად ფლობს ჩვენი თაობა. მდგრადი განვითარების დეფინიციაში შემავალი სამი ძირითადი კომპონენტიდან განვიხილოთ ეკონომიკის მდგრადი განვითარება და მისი უზრუნველყოფისათვის საჭირო გადასახადების განახლების საჭიროება უახლოეს მომავალში. როგორც ცნობილია, წარმოებისა და შესაბამისად გადასახადების ახალმა, საერთაშორისო, საკლასიფიკაციო სისტემამ ეროვნულ ანგარიშთა სისტემამ და მისმა 2008 წლის ვერსიამ არსებითი ცვლილებები 1993 წლის ვერსიასთან შედარებით მართალია არ შემოგვთავაზა, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავისვენოთ წარმოების ის ძირითადი საზღვრები, ეკონომიკური ოპერაციების გაწერა ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების მიხედვით და აღვნიშნოთ ის სიახლეები რაც ეასი 2008 წლის მიხედვით დაფიქსირდება ეასი 1993 წლის ვერსიასთან შედარებით.

1.2 გადასახადების კავშირი შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან

მანამ სანამ გადასახადების კავშირზე შევჩერდებით შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან მიმართებაში, შევეცადოთ დავახასიათოთ ეკონომიკური წარმოების ციკლის რომელ ეტაპზე ხდება შემოსავლის ჩამოყალიბება. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემოსავლების დეფინიცია ეფუძნება ჯ. ჰიკსის მიერ დასაბუთებულ კონცეფციას, მოცემული კონცეფციის თანახმად, **შემოსავალი წარმოადგენს ინსტიტუციური ერთეულის ფულადი რესურსების მაქსიმალურ თანხას, რომელიც ეკონომიკურმა სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს საბოლოო მოხმარების საჭიროებისათვის. ამასთან, მთავარ მოთხოვნად ითვლება ის, რომ არ შემცირდეს მის საკუთრებაში არსებული კაპიტალის პირვანდელი ღირებულება და არ გაჩნდეს ფინანსური ვალდებულებები.**¹¹

ჩვენ წინა საკითხში ვისაუბრეთ ეკონომიკის მდგრადი განვითარების კონტურებზე და ავღნიშნეთ, რომ წარმოება მისი საწყისი ფაზაა. ჩვენს წინაშე დასმული ამოცანის გარკვევაში დაგვეხმარება ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეასი). სწორედ ეას-ის ძირითადი საწყისი ანგარიში, წარმოების ანგარიში გვიჩვენებს თუ როგორ იქმნება შემოსავალი და როგორ ხდება მისი განაწილება და გადანაწილება ეკონომიკაში.

წარმოება ეას-ის მიხედვით წარმოადგენს საქმიანობის სახეს, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციური ერთეულის მმართველობით, პასუხისმგებლობით და კონტროლით, რომელიც იყენებს შრომას, კაპიტალს, საქონელსა და მომსახურებას საქონლისა და მომსახურების მისაღებად.¹²

წარმოების ანგარიში გვიჩვენებს წარმოებული პროდუქციის გამოშვებას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დანახარჯებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა განვიხილოთ სამი კონცეფცია.

პირველი, ესაა – წარმოების საზღვრების განსაზღვრის კონცეფცია;

¹¹ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

¹² System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

მეორე – პროდუქციის გამოშვების შეფასების მეთოდები. **სწორედ ამ ეტაპზე გვევლინება სხვადასხვა ტიპის გადასახადები და სუბსიდიები**, რომელიც პროდუქტებსა და პროდუქციაზე შემოაქვს სახელმწიფო მართვის ორგანოებს. გადასახადი არის სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე;¹³

მესამე – მნიშვნელოვანი კონცეფცია დაკავშირებულია იმის ახსნასთან თუ წარმოების პროცესი როგორ ამატებს საქონლისა და მომსახურების ღირებულებას, ახალ ღირებულებას და ქმნის **შემოსავალს**.

პროდუქციის წარმოებისა და დანახარჯების შეფასებისას გამოიყენება **ფასების** რამოდენიმე სახე, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება გადასახადების და სუბსიდიების ასახვა პროდუქტებზე, იგივე ვრცელდება სატრანსპორტო ხარჯებზეც.

ახლა შევეცადოთ გავარკვიოთ თუ რა განსხვავებაა პროდუქტებზე გადასახადებსა და პროდუქციაზე გადასახადებს შორის. პროდუქტებზე გადასახადი იანგარიშება პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებით, ეს შეიძლება იყოს პროდუქტის ფიზიკურ რაოდენობაზე ერთიანი განაკვეთი, ან გაყიდული პროდუქციის ღირებულებიდან გარკვეული პროცენტი. წარმოების სხვა გადასახადები, რომლითაც იბეგრება მწარმოებელი, არ ეკუთვნის პროდუქტებზე გადასახადს და ასეთი გადასახადებით არ იბეგრება საწარმოს მოგება. ასეთი გადასახადებია:

წარმოების მიზნით გამოყენებული მიწის, შენობების და დაქირავებული სამუშაო ძალის გადასახადები. ანალოგიური წესით ხდება სუბსიდიების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელიც ეხება პროდუქტებსა და პროდუქციას. მოცემულ საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნას საჭიროა მივუსადაგოთ ჩვენი საგადასახადო კოდექსით განმარტებული ზემოაღნიშნული დეფინიცია:

ეას-ის მიხედვით, პროდუქციის გამოშვების დახასიათებისათვის იყენებენ ფასების ორ სახეს, ესენია: ძირითადი ფასები და მწარმოებლის ფასები.

ძირითადი ფასი ეს ის თანხაა, რომელიც ახასიათებს წარმოების პროცესში გამოშვებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას და როგორც წესი უნდა მიიღოს მწარმოებელმა მყიდველისაგან. მოცემულ თანხას უნდა გამოაკლდეს ნებისმიერი სახის გადასახადი რომელიც ექვემდებარება გადახდას და დაემატოს


¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 6, პ.1.

ნებისმიერი სახის სუბსიდია, რომელსაც ღებულობს მწარმოებელი. მოცემული თანხიდან ითიშება ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ხარჯი.

მწარმოებლის ფასი ის თანხაა, რომელიც მყიდველმა საქონლის მწარმოებლისაგან უნდა მიიღოს გამოშვებული საქონლის და მომსახურების ერთეულზე. მოცემულ თანხას აკლდება ყველა სახის დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი. იგი არ მოიცავს სატრანსპორტო ხარჯებს, რომელსაც ცალკე ანგარიშფაქტურის სახით აღგენს მწარმოებელი.

ძირითადი ფასების, მწარმოებელთა ფასებისა და მყიდველის ფასების ურთიერთდამოკიდებულება ასახულია ქვემოთ მოტანილ სქემაზე.¹⁴

სქემა N1



¹⁴ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვისათვის ეას-ის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ექცევა ინტეგრირებული ეკონომიკური ანგარიშების აგებას, რომელიც თავისთავად სამ ჯგუფად იყოფა. ესენია:

- მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები;
- დაგროვების ანგარიშები;
- აქტივებისა და პასივების ბალანსები

მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები ახასიათებენ წარმოებას, შემოსავლების განაწილებას და გადაანაწილებას, აგრეთვე ახასიათებენ განკარგვადი შემოსავლის საბოლოო მოხმარებაზე გამოყენებას. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებს მიეკუთვნება:

1. წარმოების ანგარიში
2. შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების ანგარიშები:
 - ა. შემოსავლების პირველადი განაწილების ანგარიშები;
 - ბ. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიშები;
 - გ. შემოსავლების ნატურალურ ფორმაში გადაანაწილების ანგარიშები;
 - დ. შემოსავლების გამოყენების ანგარიშები.

დაგროვების ანგარიშები ახასიათებენ საანგარიშო პერიოდში წმინდა კაპიტალისა და აქტივებისა და პასივების ყველა ცვლილებას. დაგროვების ანგარიშებს მიეკუთვნება:

1. კაპიტალის ოპერაციების ანგარიში;
2. ფინანსური ანგარიში;
3. აქტივებში სხვა ცვლილებების ანგარიში.

აქტივებისა და პასივების ბალანსები ასახავენ აქტივებისა და პასივების მარაგებს. აგრეთვე მათ ცვლილებას პერიოდის საწყისი და საბოლოო მდგომარეობის მიხედვით.

ახლა ვეცადოთ ანგარიშების მაჩვენებელთა შემადგენლობა ავსახოთ თანმიმდევრობით და ურთიერთკავშირში მოტანილი სქემის მიხედვით.¹⁵

¹⁵ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ეას-ის ძირითადი ანგარიშები

გამოყენება	რესურსები
წარმოების	ანგარიში
2. შუალედური მოხმარება	1. გამოშვება
3. დამატებული ღირებულება (1-2)	
მთლიანი შიდა პროდუქტი	
შემოსავლების ფორმირების ანგარიში	
2. შრომის ანაზღაურება	მთლიანი შიდა პროდუქტი
3. სხვა გადასახადები წარმოებაზე	1. დამატებული ღირებულება
4. მოგება და შერეული შემოსავალი (1-2-3)	
პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში	
5. შემოსავლები საკუთრებიდან, გადაცემული	1. მოგება და შერეული შემოსავალი
6. პირველადი შემოსავლების სალდო (1+2+3+4-5)	2. შრომის ანაზღაურება
ეროვნული შემოსავალი	3. წმინდა გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე
	4. შემოსავლები საკუთრებიდან, მიღებული
შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში	
მიმდინარე ტრანსფერები, გადაცემული	ეროვნული შემოსავალი
განკარგვადი შემოსავალი	პირველადი შემოსავლების სალდო
	მიმდინარე ტრანსფერები, მიღებული
შემოსავლების გამოყენების ანგარიში	
საბოლოო მოხმარება	განკარგვადი შემოსავალი

დაგროვება	
კაპიტალის ანგარიში	
ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება	დაგროვება
მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება	კაპიტალური ტრანსფერები, მიღებული
ფასეულობების წმინდა შექენა	კაპიტალური ტრანსფერები, გადაცემული (-)
არაწარმოებული არაფინანსური აქტივების წმინდა შექენა	
წმინდა დაკრედიტება (+) წმინდა სესხები (-)	
ფინანსური ანგარიში	
ფინანსური აქტივების შექენა	ფინანსური ვალდებულებების აღება
	წმინდა დაკრედიტება (+) წმინდა სესხება (-)

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო მართვის ორგანოებს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის წარმოების ანგარიშის ეტაპზე შემოაქვს წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები.

რატომ არის გადასახადები დაუბრუნებადი? იმიტომ რომ ცალკეული ერთეული, რომელიც ახორციელებს ასეთ გადახდებს სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, სანაცვლოდ არ ღებულობს არავითარ სამაგიერო ეკვივალენტს. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია მიღებული გადასახადების გამოყენება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზე საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად როგორც ინდივიდუალური ისე კოლექტიური სახით. მასვე შეუძლია ასეთივე შეთავაზება განახორციელოს საზოგადოებისათვის მთლიანად.

ახლა განვიხილოთ წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადების კლასიფიკაცია. მას შემდეგი სახე აქვს:¹⁶

- გადასახადები პროდუქტებზე;
- დღგ-სთან დაკავშირებული გადასახადები;
- გადასახადები და მოსაკრებლები იმპორტზე, დღგ-ს გარეშე;
- მოსაკრებლები იმპორტზე;
- გადასახადები იმპორტზე დღგ-სა და მოსაკრებლების გამორიცხვით;
- გადასახადები ექსპორტზე;
- გადასახადები პროდუქტებზე, დღგ-ს გარეშე, გადასახადები ექსპორტსა და იმპორტზე.

წარმოებასა და იმპორტზე გადასახადები შედგება პროდუქტებზე გადასახადებისა და წარმოებაზე სხვა სახის გადასახადებისაგან. პროდუქტებზე გადასახადები მოიცავს საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, გაყიდვასთან, იჯარასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებულ გადახდებს. ასევე მათ გამოყენებას საკუთარი მოხმარებისათვის ან დაგროვებისათვის. რაც შეეხება წარმოებასთან დაკავშირებულ სხვა სახის გადასახადებს, იგი უკავშირდება წარმოებაში მიწის, შენობების, სხვა აქტივების ფლობასთან დაკავშირებულ გადასახადებს. აგრეთვე გადასახადებს, რომელთაც იხდიან სამუშაო ძალასთან ან მუშაკების შრომის ანაზღაურების ფონდთან დაკავშირებით. წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სახის გადასახადები აღირიცხება დამატებული ღირებულების შემადგენლობაში.¹⁷

საწარმოს საბუღალტრო აღრიცხვაში წარმოებაზე გადასახადები (დარიცხული დღგ-ს გარეშე), როგორც წესი, ჩამოიწერება წარმოების ხარჯებში, რომელიც მოგების გაანგარიშებისას საგადასახადო ან სხვა მიზნებით შეიძლება გამოირიცხოს რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან ან სხვა შემოსავლებიდან. ასეთი გადასახადები მიესადაგებიან „ირიბ“ გადასახადებს (მათი ტრადიციული გაგებით), იგულისხმება, რომ ირიბი გადასახადები ეს ისეთი გადასახადებია, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად გადაემისამართება სხვა ინსტიტუციურ ერთეულებს საკუთარ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე ფასების გადიდების ხარჯზე. მიუხედავად ამისა, მეტად რთულია (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია)

¹⁶ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

¹⁷ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

სხვადასხვა სახის რეალური გადასახადებით მოცვა, ამიტომ ტერმინები „პირდაპირი“ და „ირიბი“ გადასახადები პოპულარობით არ სარგებლობს ეკონომისტებს შორის და შესაბამისად არ გამოიყენება ეას-ში.¹⁸

წარმოებისა და იმპორტის გადასახადების ასახვა ანგარიშებში. წარმოებისა და იმპორტის გადასახადები შემოსავლების ჩამოყალიბების ანგარიშში აისახება გამოყენების მხარეს, ხოლო პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიშში-რესურსების მხარეს.

შემოსავლების ფორმირების ანგარიშში იმპორტის გადასახადი აისახება მხოლოდ მთელი ეკონომიკის მიხედვით, რამდენადაც მათი გადახდა არ ხდება სამამულო მწარმოებლების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულებიდან. უფრო მეტიც, ცალკეული ინსტიტუციური ერთეულისა და მთლიანად ინსტიტუციური სექტორის მიხედვით შემოსავლების ფორმირების ანგარიშის გამოყენების მხარეს უნდა აისახოს პროდუქტების მხოლოდ ის გადასახადები, რომელიც არ იყო გამოირიცხული მოცემული ერთეულის ან სექტორის გამოშვების მაჩვენებლის ღირებულებიდან. ეს ყველაფერი დამოკიდებულია გამოშვების შეფასების მეთოდზე. თუ გამოშვების ღირებულება იანგარიშება ძირითად ფასებში, პროდუქციაზე ყველა გადასახადი (სუბსიდია) დაკავშირებული მათ წარმოებასთან გამოირიცხება წარმოების მოცულობიდან მწარმოებლის ფასებში. ზემოაღნიშნული გადასახადები ეას-ში აღირიცხება მხოლოდ ეკონომიკისათვის მთლიანობაში, ისე, როგორც გადასახადები იმპორტზე. გამოშვების შეფასებისას მწარმოებელთა ფასებით პროდუქტების ყველა გადასახადი და სუბსიდია საჭიროა აისახოს შესაბამისი ერთეულის ან სექტორის შემოსავლების ფორმირების გამოყენების მხარეს, დარიცხული დღგ-ს გარდა.

წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები და სუბსიდიები (გადასახადები გადახდილი მიწაზე, აქტივებზე, სამუშაო ძალაზე) – ეს ის გადასახადებია, რომელთა გადარიცხვა არ ხდება პროდუქციის ერთეულიდან და ამდენად, ისინი არ შეიძლება გამოირიცხოს მწარმოებლის ფასებიდან.

გადასახადები და გადასახდელები მომსახურებაზე. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ერთ-ერთი მარეგულირებელი ფუნქციაა, განსაზღვრული სახის საქონლის ქონებაზე ან გამოყენებაზე აკრძალვის შემოტანა ან ცალკეული სახის საქმიანობაზე განსაკუთრებული ნებართვის გაცემა

¹⁸ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

ლიცენზიის ან მოწმობის სახით. თუ ასეთი ლიცენზიის გაცემა დაკავშირებულია უმნიშვნელო შრომით დანახარჯებთან სახელმწიფო მართვის ორგანოების მხრივ (ან საერთოდ არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოს მხრივ შრომით დანახარჯებთან), ხოლო ლიცენზიები გაიცემა ავტომატურად ზოგიერთი მარეგულირებელი ფუნქციების შესასრულებლად (მაგ., შესაბამისი პირის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის შემოწმება ან სხვა სახის კონტროლი, რომლის განხორციელება, რიგ შემთხვევაში არ არის აუცილებელი), ამ დროს განხორციელებული გადახდები შეიძლება განვიხილოთ არა როგორც გადასახადები, არამედ როგორც სახელმწიფო მართვის ორგანოსაგან მომსახურების შექმნა (იმ პირობით, რომ ასეთი სახის გადასახდელები არც ისე მაღალია მიღებული მომსახურების ხარჯებთან მიმართებაში).

კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტის შესახებ: მართალია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები გადასახადების საკითხებში ურთიერთშედარებისას სარგებლობენ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების საკლასიფიკაციო სისტემებით, როგორც არის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თავად ამ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის გადასახადების საკლასიფიკაციო სისტემებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

ეას-ის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, რომ გადასახადების ანგარიშებში ასახვა მოხდეს **დარიცხვის მეთოდის გამოყენებით**, რაც იმას ითვალისწინებს რომ გადასახადის ანგარიშში ასახვის დრო უნდა დაემთხვეს საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტს. კიდევ ერთ თავისებურებაზე, რაც ეას-ითაა განსაზღვრული: ჯარიმები, პროცენტები გადასახადების არათავისდროული ან საერთოდ არგადახდისათვის და სხვა საჯარიმო სანქციები უნდა აღირიცხოს გადასახადებისაგან ცალკე, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება და მათი აღირიცხვა წარმოებს გადასახადებთან ერთად.

ახლა განვმარტოთ ძირითადი გადასახადების შინაარსი ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მიხედვით.

გადასახადები პროდუქტზე – მოცემული გადასახადის გადახდა ხდება რომელიმე საქონლის ან მომსახურების ერთეულზე. გადასახადი შეიძლება განისაზღვროს საქონლის ან მომსახურების ისეთი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით, როგორც არის: მოცულობა, წონა, სიმძლავრე, მანძილი, დრო და ა.შ ან ერთეული პროდუქტის ღირებულება პროცენტობით საქონლის საერთო

ღირებულებაში. პროდუქტზე გადასახადის გადახდა ხდება მისი წარმოების, გაყიდვის ან იმპორტის მომენტის მდგომარეობის მიხედვით. ასე მაგალითად, როცა პროდუქტის ექსპორტირება ხდება, გადაეცემა იჯარით ან ტრანსფერის სახით, მიეწოდება სხვა ერთეულს, ან გამოიყენება საკუთარი მოხმარების ან დაგროვებისათვის.


დამატებული ღირებულების გადასახადი – ეს გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე ამოიღება საწარმოსაგან ეტაპობრივად, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მისი გადახდა ხდება სრული მოცულობით საბოლოო მყიდველის მიერ. მწარმოებლებს აქვთ უფლება გამოთიშონ გადასახადის თანხა რაც გადაიხადეს იმ საქონლისა და მომსახურების შექმნისას, რომელიც მათ გამოიყენეს შუალედურ მოხმარებად ან ძირითადი კაპიტალის დაგროვებისათვის. დღგ-ს გადახდა ხდება აგრეთვე იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე იმპორტთან დაკავშირებულ სხვა გადასახადებსა და გადასახდელებთან ერთად.

გადასახადები და გადასახდელები იმპორტზე მოიცავს გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე, რომლის გადახდა ხდება იმ მომენტისათვის, როცა ეს საქონელი გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ან საბაჟო საზღვარს, ან როცა მომსახურების გაწევა მოხდება მწარმოებელი–არარეზიდენტების მიერ ინსტიტუციური რეზიდენტი ერთეულებისადმი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ იმპორტზე გადასახადებისა და გადასახდელების გადახდის შემდეგ უკვე მოცემული ქვეყნის საზღვრებში მათი მოძრაობის ზომის შესაბამისად (მაგალითად, საცალო ან საბითუმო სავაჭრო ქსელში) ამ საქონლიდან შეუძლიათ ამოიღონ სააქციზო მოსაკრებელი ან გაყიდვიდან გადასახადი, ასეთი სახის გადასახადებისაგან იბეგრება ყველა სახის საქონელი (იგულისხმება როგორც მწარმოებელი–რეზიდენტების მიერ გამოშვებული ისე იმპორტით შემოტანილი). ამ უკანასკნელი სახის გადასახადები არ მიეკუთვნება იმპორტის გადასახადს, ისინი ანგარიშში აისახება, როგორც პროდუქტებზე გადასახადი დღგ-ს, იმპორტისა და ექსპორტის გადასახადების გარეშე.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გეგმა ასახავს გადასახადების კავშირს წარმოების, შემოსავლების, მოხმარების და კეთილდღეობის მდგომარეობასთან. ამ უკანასკნელს კარგად ახასიათებს შემოსავლების განაწილება განაწილების ანგარიშები და მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონესა და კეთილდღეობას მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით უფრო სრულფასოვნად ახასიათებს მთლიანი განკარგავდი

შემოსავალი. იგი წარმოადგენს შემოსავლის სიდიდეს, რომელიც წარმოიშევა წლის მანძილზე ეკონომიკის სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის შედეგად და მისი დახარჯვა შესაძლებელია საბოლოო მოხმარებისათვის. მოცემული მაჩვენებლის გაანგარიშება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით¹⁹.

სქემა N3



შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში საქართველოს მიხედვით 2003-2008 წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

¹⁹ System of National Accounts – 2008, European Commission, International Monetary Fund, Organisation for Economic Co-operation and Development, United Nations, World Bank, New York, 2009

შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში²⁰
მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

მაჩვენებლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
რესურსები						
მთლიანი ეროვნული შემოსავალი	8631,3	10004,9	11791,7	14102,5	17060,5	18818,0
შემოსავლები საკუთრებიდან მიღებული „დანარჩენი მსოფლიოდან“	466,3	881,4	747,9	1029,1	1280,2	1718,3
რესურსები, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3
გამოყენება						
მიმდინარე ტრანსფერები გადაცემული „დანარჩენი მსოფლიოსათვის“	77,9	97,9	98,5	111,7	133,7	121,7
მთლიანი განკარგვადი შემოსავალი	9019,7	10788,3	12441,2	15019,8	18206,9	20414,6
გამოყენება, სულ	9097,6	10886,2	12539,7	15131,5	18340,7	20536,3

შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მაჩვენებლები ისე როგორც დასავლეთის მრავალ ქვეყანაში იანგარიშება შინამეურნეობების თვალსაწიერიდან გამომდინარე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება კეთილდღეობისა და განსაკუთრებით მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებლების დამუშავება როგორც შინამეურნეობების ისე სხვა ინსტიტუციური სექტორების ჭრილში, ამდენად უნდა შემოვიფარგლოთ მშპ-სა და წმინდა განკარგვადი შემოსავლის მაჩვენებლების ანალიზით და ვაჩვენოთ, თუ როგორ კორელირებს ეს ორი მაჩვენებელი ერთმანეთთან, განსაკუთრებით მათი ზრდის მახასიათებლები 2005-2011 წლების მიხედვით.

მშპ-სა და წმინდა განკარგვად შემოსავალს შორის კავშირი მეტად საინტერესოა, რამეთუ, წმინდა განკარგვადი შემოსავალი გაცილებით უკეთ

²⁰ საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2008, სტატისტიკური კრებული, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009.

ახასიათებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი და წმინდა შიდა პროდუქტი. მის გაანგარიშებაში მონაწილეობას ღებულობს საქართველოდან უცხოეთში და უცხოეთიდან საქართველოში ყოველწლიურად განხორციელებული ფულადი გზავნილები. საზღვარგარეთიდან საქართველოს შინა მეურნეობებს საშუალოდ წელიწადში მიღებული აქვს 1,2 მილიარდი ლარი იქ მცხოვრები ქართველი ოჯახის წევრებისაგან, რაც საქართველოს შინამეურნეობების შემოსავლების დაახლოებით 30% შეადგენს. ამდენად, საინტერესოა თუ როგორ კორელირებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა განკარგვადი შემოსავლების მაჩვენებლები.

ხსენებულის საიულისტრაციოდ მოვახდინოთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის განხორციელება.

ცხრილი N7


მშპ და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი 2005-2011 წლებში

წელი	მშპ მლრდ.ლარი მიმდინარე ფასებში (X)	წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი მლრდ.ლარი(y)
2005	11.6	11,3
2006	18.8	13,7
2007	17	16,6
2008	19.1	18,7
2009	18	17,7
2010	20.7	19,9
2011	24.2	22,9

ამ მონაცემების გრაფიკული გამოსახულებიდანაც ჩანს, რომ ამ ორ მაჩვენებელს შორის კავშირი წრფივი ხასიათისაა.

²¹ www.geostat.ge

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლის ურთიერთკავშირის გრაფიკი 2005-2011 წწ



შესაბამისად, ურთიერთკავშირის ანალიზური ფორმა აქაც წრფივი ფუნქციით გამოისახება ანუ $\bar{y}_x = a_0 + a_1x$.

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ a_0 და a_1 პარამეტრები.

ცხრილი N8

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტისა და წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლის ურთიერთკავშირის ამოსახსნელი დამხმარე ცხრილი 2005-2011 წწ²²

	x	y	xy	$(x - \bar{x})$	$(x - \bar{x})^2$	$(y - \bar{y})$	$(y - \bar{y})^2$	(X^2)	(\hat{y})
2005	11.6	11.3	131.08	-6.88571429	47.41306	-5.95714	35.48755	134.56	11.01722
2006	18.8	13.7	257.56	0.31428571	0.098776	-3.55714	12.65327	353.44	17.54195

²² ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2007	17	16.6	282.2	-1.48571429	2.207347	-0.65714	0.431837	289	15.91077
2008	19.1	18.7	357.17	0.61428571	0.377347	1.442857	2.081837	364.81	17.81382
2009	18	17.7	318.6	-0.48571429	0.235918	0.442857	0.196122	324	16.81698
2010	20.7	19.9	411.93	2.21428571	4.903061	2.642857	6.984694	428.49	19.26376
2011	24.2	22.9	554.18	5.71428571	32.65306	5.642857	31.84184	585.64	22.4355
ჯამი	129.4	120.8	2312.72		87.88857		89.67714	2479.94	120.8

ამ მონაცემებიდან გამოძინარე ვლგებულობო:

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 330,3886;$$

$$\overline{x} = \frac{\sum x}{n} = 18,48571;$$

$$\overline{y} = \frac{\sum y}{n} = 17,25714;$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \overline{x})^2}{n}} = 3,543376;$$

$$\sigma_y = \sqrt{\frac{\sum (y - \overline{y})^2}{n}} = 3,579249;$$

$$a_0 = \overline{y} - a_1 \overline{x} = 0,505159;$$

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 0,906212;$$

ამდენად, განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\overline{y}_x = 0,505159 + 0,906212 X$$

მოსწორებული დონეების ჯამი ($\sum \hat{y}$) უდრის 120,8 -ს, ემპირიული დონეების ჯამიც ($\sum y$) ტოლია 120,8 -ის. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმიზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა). $\sum (y - \hat{y})^2 = (120,8 - 120,8)^2 = 0$.

შესაბამისად, კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იქნება:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = \frac{330.3886 - 18.48571 * 17.25714}{3.543376 * 3.579249} = 0,89713$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი $r = 0.89$ -ის ტოლია, რაც ძალიან ძლიერია და პროცენტულად 89%-ია. ეს მიუთითებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს შორის მჭიდრო კორელაციურ კავშირზე.

კორელაციური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დავადგინოთ, რამდენად ადეკვატურად ასახავს ჩვენს მიერ შერჩეული განტოლება ემპირიული მონაცემების განვითარების სურათს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად სტატისტიკაში იყენებენ ფიშერის F კრიტერიუმს.

$$F = \frac{r^2(n-1)}{(1-r^2)(l-1)}$$

სადაც, r^2 - დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტია, n - დაკვირვებათა რიცხვი, l - პარამეტრების რიცხვი მოდელში. F ფაქტობრივი მაჩვენებლის შედარებაა მის კრიტიკულ (ცხრილურ) მნიშვნელობასთან. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ განტოლების (მოდელის) ადეკვატურობა. თუ ამ კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას, მაშინ შერჩეული მოდელი ანუ განტოლება არსებითია, ანუ ადეკვატურია. ცხრილური მნიშვნელობანი შედგენილია v_1 და v_2 თავისუფლების ხარისხისა და α -ს დონის მოცემული მნიშვნელობისათვის (α - არის სხვაობა 1-სა და ალბათობას შორის. თუ ალბათობა 0,95-ია, მაშინ $\alpha=1-0,95=0,05$). ცხრილში მოცემულია F-ის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობანი, რომლის ქვემოთ მოცემული ალბათობითაც, კრიტერიუმი განაპირობებს შერჩეული მოდელის არაადეკვატურობას.

მაგალითზე $n = 7$, $l = 2$, $r^2 = 0,8048$, $v_1 = l-1 = 2-1 = 1$, ხოლო $v_2 = n-l = 7-2 = 5$, ასეთ პირობებში, F კრიტერიუმი შემდეგ სახეს მიიღებს:

$$F = \frac{0.8048(7-2)}{(1-0.8048)(2-1)} = 20,615$$

ცხრილში, $v_1=1$ და $v_2=5$ თავისუფლების ხარისხისა და $\alpha=0,05$ მნიშვნელობისათვის შეადგენს 6,61-ს. მაშასადამე, F კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას ($F_{\text{სანგ.}} > F_{\text{ცხრ.}}$), რაც ჩვენს მიერ გამოყენებული რეგრესიის განტოლების ადეკვატურობას ადასტურებს.

1.3 საქართველოს საგადასახადო შემოსავლების ჰარმონიზაცია ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო შემოსავლებთან

საქართველოს მისწრაფებაა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. სხვა ინსტიტუციების მსგავსად, სახელმწიფო საგადასახადო სისტემაც ევროკავშირის რეალიებთან მისადაგებას მოითხოვს. ასეთი ჰარმონიზების მიზანია ევროკავშირთან მიმართებით მოიხსნას ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობის ყოველგვარი ბარიერი, რომელიც დაუკავშირდება ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას. იმისთვის, რომ საქართველო, საგადასახადო სისტემის რეფორმირების მხრივ, დაუახლოვდეს ევროპული ოჯახის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო სისტემას, საჭიროა ეროვნული საგადასახადო სისტემის სტრუქტურის სრულყოფა, საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო ბაზის გაანგარიშების მეთოდის შემდგომი დაახლოება და კონვერგენცია ევროპულ სივრცესთან.

როგორც ცნობილია, გადასახადების აკრება სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით ფუნქციონირებს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა, ხდება სახელმწიფო მმართველობის აპარატის შენახვა. გადასახადები ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარების მძლავრი ფაქტორია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნები დამოუკიდებლად ირჩევენ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკას და შესაბამისად მაკროეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ მოდელს-ნეოლიბერალურს, როდესაც სახელმწიფო არაპირდაპირი ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციას ასრულებს, ან სოციალურ-საბაზროს, როდესაც სახელმწიფო გადასახადებს ანიჭებს ძირითად ფისკალურ ფუნქციას.

აღნიშნულის გაანალიზებისა და სათანადო დასკვნების გაკეთების მიზნით, განვიხილოთ ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სტრუქტურა ბიუჯეტის საღლოზე მინიშნებით (იხ. ცხრილი N 9).

ჩვენი კვლევის საწყის ეტაპზე შემთხვევით არ ავირჩიეთ ევროკავშირის საგადასახადო საკითხების განხილვა 2003-2004 წლების მიხედვით. ასეთი არჩევანი გამიზნულად გააკეთეთ, რადგან საქართველო ამჟამად ადგას ევროკავშირისაკენ

მიმაგალ იმ გზას, რომელიც თავის დროზე მისმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა გაიარეს. რაც შეეხება მომდევნო წლებში ევროკავშირისა და საქართველოს საგადასახადო საკითხების ანალიზს, ის გადმოცემულია საკვლევი თემის მომდევნო თავებში.

ცხრილი N9

ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო ფინანსები 2003 წელს²³

ევროკავშირის ძველი წევრი ქვეყნები				ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები			
ქვეყანა	წილი მშპ-ში (%)			ქვეყანა	წილი მშპ-ში (%)		
	სახელმწიფოს ხარჯები	სახელმწიფოს შემოსავლები	ბიუჯეტის საღლო		სახელმწიფოს ხარჯები	სახელმწიფოს შემოსავლები	ბიუჯეტის საღლო
ფინეთი	50,6	52,7	+2,1	ესტონეთი	36,8	+3,6
დანია	56,1	57,3	+1,2	ლატვია	39,1	+2,6
შვედეთი	58,2	58,7	+0,5	სლოვენია	38,8	+1,1
ესპანეთი	39,5	39,9	+0,3	ლიტვა	29,2	+0,3
ბელგია	51,4	51,6	+0,2	სლოვაკეთი	46,6	42,9	-3,6
ირლანდია	35,2	35,4	+0,2	პოლონეთი	46,2	42,0	-4,2
ლუქსემბურგი	46,9	46,8	-0,1	უნგრეთი	50,1	44,2	-5,9
ავსტრია	51,2	49,7	-1,4	ჩეხეთი	50,8	43,5	-7,3
იტალია	48,9	46,8	-0,1	კვიპროსი
პორტუგალია	47,9	45,0	-2,9	მალტა
საბერძნეთი	47,2	44,2	-3,0	საშუალოდ			
ნიდერლანდები	48,9	45,6	-3,2				
დიდი ბრიტანეთი	42,6	39,3	-3,2	ევროპის ძველი წევრები	48,8	47,2	-1,3
გერმანია	48,9	45,0	-3,9	ევროზონა	49,0	46,2	-2,7
საფრანგეთი	54,5	50,4	-4,1				

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2003 წელს, ევროკავშირის 15 ძველი წევრი ქვეყნიდან 6-ბიუჯეტის პროფიციტით, ხოლო 9-დეფიციტით ხასიათდება. მოყვანილი მასალიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნა გაგაკეთოთ:

პირველი. ევროკავშირის აღნიშნული 15 ქვეყნიდან, სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, დანია, ბელგია, ფინეთი) მშპ-ის ნახევარზე მეტი მოდის სახელმწიფო დანახარჯებსა და შემოსავლებზე, ე.ი ამ ქვეყნებში მაღალია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. მსგავსი ტენდენციები ახასიათებს საფრანგეთსა და ავსტრიას;

²³ www.oecd.org; www.worldbank.org

მეორე ევროკავშირის ძველი წევრები—ირლანდია და დიდი ბრიტანეთი - ეკონომიკაში სახელმწიფოს საკმაოდ მოკრძალებული წვლილით გამოირჩევა, 2003 წელს მოცემული ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯებს მშპ-ში ეკავა შესაბამისად- 35% და 42%;

მესამე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით ლიტვა და ესტონეთი, ცდილობენ გადმოიღონ ნეოლიბერალური განვითარების მოდელი. მთლიანად ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები ცდილობენ სტიმული მისცენ სამეწარმეო აქტივობას. ასეთი ორიენტაციის ქვეყანაა საქართველოც, რომლის სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-ში ბოლო ათი წლის მანძილზე თითქმის გაორმაგდა და 24-26%-ის ფარგლებში მერყეობს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ყურადსაღები მომენტი. ევროკავშირის 4 ძველი ქვეყანა (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები) და ასევე 4 ახალი წევრი ქვეყანა (ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი და სლოვაკეთი) არღვევენ ევროკავშირის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი ქვეყნის მშპ-სთან მიმართებით, არ უნდა აღემატებოდეს 3 %-ს.

ევროკავშირის ახალი წევრების ეკონომიკური მხარდაჭერისათვის, ძველი წევრებისაგან 2004-2008 წლების მანძილზე, ვარაუდობდნენ დაახლოებით 80 მლრდ ევროთი დახმარებას. ეს მაშინ, როდესაც როგორც, უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების ბიუჯეტები დეფიციტურია.

ახლა ვნახოთ თუ როგორ გამოიყურება ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო სისტემის სტრუქტურა. (იხ. ცხრილი N10).

ცხრილი N 10

ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი გადასახადები 2002 წელს²⁴

ქვეყანა	საშემოსავლო გადასახადი	სოციალური გადასახადი და მოსაკრებელი	შრომის ანაზღაურების ფონდის გადასახადი	ქონების გადასახადი	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	სხვა გადასახადები და მოსაკრებლები
ქველი წევრები:						
ავსტრია	29.8	33.5	6.1	1.3	28.0	1.2

²⁴ Bulletin for international fiscal documentation 2004. vol.58, №8/9

ბელგია	39.6	31.6	–	3.1	24.4	0.1
დიდი ბრიტანეთი	37.9	17.1		12.1	32.4	0.0
გერმანია	28.0	40.1	–	2.3	29.3	0.0
საბერძნეთი	24.4	32.5	–	4.5	38.4	0.4
დანია	59.5	3.4	0.5	3.5	32.8	0.4
ირლანდია	40.7	15.4	0.0	5.6	37.9	–
ესპანეთი	29.1	35.4	–	6.6	28.7	0.3
იტალია	32.6	30.3		5.4	25.4	6.1
ლუქსემბურგი	36.9	27.8	–	8.1	26.9	0.1
ნიდერლანდები	27.1	35.6		5.3	30.9	0.5
პორტუგალია	27.6	27.1		3.4	41.1	0.5
ფინეთი	40.8	26.5	–	2.4	30.0	0.1
საფრანგეთი	24.0	37.2	2.4	7.0	25.5	3.6
შვედეთი	36.1	30.1	4.1	3.2	26.1	0.2
ევროკავშირის ახალი წევრები:						
უნგრეთი	26.5	30.3	3.2	1.9	37.4	0.7
პოლონეთი	28.8	29.4	0.6	4.3	37.0	–
სლოვაკეთი	21.0	43.3		1.6	34.1	
ჩეხეთი	24.7	44.1	0.0	1.4	29.8	0.0

როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, სოციალური პროფილის გადასახადების საშუალო საპროცენტო განაკვეთი ევროკავშირის ძველ ქვეყნებში მაღალია ევროკავშირის ახალ ქვეყნებთან შედარებით. რაც შეეხება გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე აქ საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ახალი ქვეყნების მიხედვით მოცემული გადასახადი 4%-ით მაღალია ძველი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

გადასახადების მოცემული სტრუქტურის პირობებში მეტად აქტუალურია იდეა საერთო ევროპული გადასახადის შემოღების შესახებ, რომლის გადამხდელებად მოიაზრება ევროკავშირის ფარგლების იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც შემოსავალს იღებენ თანამეგობრობის ტერიტორიის წყაროებიდან. თუმცა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უმრავლესობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ერთიანი ევროპული გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით და მიიჩნევენ, რომ ასეთი გადასახადის შემოღება ჯერჯერობით ნაადრევია.

იმისთვის, რომ ჯეროვანი წარმოდგენა შეგვექმნას ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა სახეობის გადასახადებზე, განვიხილავ ზოგიერთ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადს. დავიწყოთ კორპორაციის მოგების გადასახადის განაკვეთით, რაც ქვემოთ მოტანილ ცხრილში ასახულია ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით.

კორპორაციის მოგების გადასახადის საპროცენტო განაკვეთები ევროკავშირის ქვეყნებში²⁵

ევროკავშირის ძველი წევრები		ევროკავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %	ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %
ირლანდია	12.5	კვიპროსი	15
პორტუგალია	27.5	ლატვია	15
შვედეთი	28	უნგრეთი	17.7
ფინეთი	29	პოლონეთი	19
დიდი ბრიტანეთი	30	სლოვაკეთი	19
დანია	30	სლოვენია	25
ლუქსემბურგი	30.4	ესტონეთი	26
ავსტრია	34	ჩეხეთი	28
ბელგია	34	მალტა	25
ნიდერლანდები	34.5	საშუალოდ	
საბერძნეთი	35	ევროკავშირის ძველი წევრები	31.4
ესპანეთი	35		
საფრანგეთი	35.4		
იტალია	37.3	ევროკავშირის ახალი წევრები	21.5
გერმანია	38.3		

როგორც ცხრილიდან ჩანს, ევროკავშირის ძველი და ახალი წევრი ქვეყნების მიხედვით კორპორაციების მოგების გადასახადის განაკვეთები საკმაოდ განსხვავებულია. კერძოდ, ახალი ქვეყნების მიხედვით, აღნიშნული გადასახადი საშუალოდ 10 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ევროკავშირის ძველი ქვეყნების გადასახადზე. საქართველოში ამჟამად მოგების საგადასახადო განაკვეთი 15%-ს შეადგენს და იგი ემთხვევა ლატვიის, ლიტვისა და კვიპროსის ანალოგიურ მაჩვენებელს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ არსებითმა განსხვავებებმა საგადასახადო განაკვეთებში შეიძლება გამოიწვიოს მაღალგანაკვეთებიანი ქვეყნებიდან საწარმოთა გადაადგილება დაბალგანაკვეთებიან ქვეყნებში.

ახლა განვიხილოთ თუ როგორ გამოიყურება ინდივიდუალური საშემოსავლო დაბეგვრა ევროკავშირის ძველ და ახალ ქვეყნებში (იხ. ცხრილი N 12)

²⁵ Structures of the Taxation Systems in the European Union. Luxembourg, 2004

ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი ევროკავშირის ქვეყნებში 2004წ.²⁶

ევროკავშირის ძველი წევრები		ევროკავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %	ქვეყანა	საგადასახადო განაკვეთი %
ლუქსემბურგი	38	ლიტვა	25
დიდი ბრიტანეთი	40	ესტონეთი	26
საბერძნეთი	40	კვიპროსი	30
ირლანდია	40	ჩეხეთი	32
პორტუგალია	40	ლატვია	33
გერმანია	45	მალტა	35
ესპანეთი	45	სლოვაკეთი	38
იტალია	45	უნგრეთი	40
დანია	47.6	პოლონეთი	40
საფრანგეთი	49.58	სლოვენია	50
ავსტრია	50	საშუალოდ	
ბელგია	50	ევროკავშირის ძველი წევრები	46.2
ნიდერლანდები	52		
ფინეთი	53.03		
შვედეთი	56	ევროკავშირის ახალი წევრები	34.9

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალურ საშემოსავლო დაბეგვრაში, ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებში საშუალოდ, საგადასახადო განაკვეთი 11.3 პროცენტული პუნქტით დაბალია ძველ წევრ სახელმწიფოებთან შედარებით. ასეთი განსხვავება აშკარად წარმოაჩენს ფიზიკური პირების ფისკალურ მიმზიდველობას ევროკავშირის ახალ ქვეყნებში.

საქართველოში 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად 2008 წლიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი. მოცემული გადასახადის საშემოსავლო გადასახადთან ინტეგრირებით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ადრე დაწესებული 12%-დან გაიზარდა 20%-მდე.

ახლა განვიხილოთ ისეთი არაპირდაპირი გადასახადები, როგორცაა დამატებული ღირებულების გადასახადი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

²⁶ Structures of the Taxation Systems in the European Union. Luxembourg, 2004

ევროკავშირში შემავალი თითოეული ქვეყანა მოცემული გადასახადის 1.4 %-ით აყალიბებს თანამეგობრობის საერთო ფინანსურ რესურსს, რომელსაც იყენებს საერთო პროგრამის დაფინანსებაზე.

ცხრილი N 13

დღგ-ის განაკვეთები ევროკავშირის ქვეყნებში²⁷

ევროკავშირის ძველი წევრები		ევროკავშირის ახალი წევრები	
ქვეყანა	დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი	ქვეყანა	დღგ-ს სტანდარტული განაკვეთი
ლუქსემბურგი	15	კვიპროსი	15
გერმანია	16	მალტა	15
ესპანეთი	16	ლატვია	18
დიდი ბრიტანეთი	17.5	ლიტვა	18
საბერძნეთი	18	ესტონეთი	18
ნიდერლანდები	19	სლოვაკია	19
პორტუგალია	19	სლოვენია	20
საფრანგეთი	19.6	პოლონეთი	22
იტალია	20	ჩეხეთი	22
ავსტრია	20	უნგრეთი	25
ბელგია	21	საშუალოდ	
ირლანდია	21	ევროკავშირის ძველი წევრები	19.6
ფინეთი	22		
დანია	25		
შვედეთი	25	ევროკავშირის ახალი წევრები	19.2

სხვა გადასახადების განაკვეთებისაგან განსხვავებით, დღგ-ს განაკვეთების მიხედვით, ევროკავშირის ძველ და ახალ ქვეყნებს შორის განსხვავება თითქმის არ არის.

საქართველოში დღგ-ს განაკვეთი დასაბეგრი ოპერაციის ან საქონლის იმპორტის თანხის, აგრეთვე უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 %-ს შეადგენს.

როგორც მოყვანილი მასალები გვიჩვენებს, ევროკავშირის ძველ და ახალ წევრებს შორის საკმაოდ მაღალია განსხვავება საგადასახადო განაკვეთებს შორის.

²⁷ VAT Rates Applied in the Member and Accession States of the European Community: situation at 30 october 2003

ეს შემთხვევითი არაა, რადგანაც ამ გზით ევროკავშირის ახალი ქვეყნები ცდილობენ მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

საქართველოში განხორციელებული საგადასახადო რეფორმებით (ახალი საგადასახადო კოდექსების მიღება 2005 და 2010 წლებში), მნიშვნელოვნად გამარტივდა გადასახადების გადახდა: 21 გადასახადის ნაცვლად ამჟამად ფუნქციონირებს 6. ამასთან, საგადასახადო განაკვეთების შემცირების პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა; გადამხდელთა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივ და კერძო სექტორთან თანამშრომლობის მიზნით შემოღებულ იქნა ომბუდსმენის ინსტიტუტი. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, მსოფლიო ბანკის მოხსენების თანახმად, საქართველომ ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-12 ადგილი დაიკავა და 2007 წლიდან მოყოლებული მოწინავე ქვეყნის სტატუსი მიიღო.²⁸

განხილული მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული საგადასახადო პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს ევროკავშირის ზონაში ჩამოყალიბებული საგადასახადო კონკურენცია. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოში პირველ რიგში, განხორციელდეს მოქმედი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთების გაანგარიშება მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე და მასში კორექტივების შეტანა ეკონომიკის თითოეული დარგის განვითარების რეალიების გათვალისწინებით. ამასთან, საქართველოს ევროკავშირისკენ მოძრაობის კვალობაზე, საჭიროა გაგრძელდეს საგადასახადო ბაზის, საგადასახადო შეღავათებისა და საგადასახადო განაკვეთების ევროპულ სივრცესთან შემდგომი ჰარმონიზების პროცესი.

ახლა განვიხილოთ საგადასახადო სისტემების ფუნქციონირება ევროკავშირის წევრი და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნების მიხედვით.

საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების დახასიათებისას საზღვარგარეთის ქვეყნებში, უმეტეს წილად ყურადღება შევაჩეროთ დასავლეთისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ისეთ განვითარებულ სახელმწიფოებში როგორცაა: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და ა.შ რამდენიმე ეტაპიანი საგადასახადო რეფორმა ჩაატარეს. კერძოდ, 1980 წლების მეორე ნახევარსა და 1990 წლების პირველ

²⁸ Doing Business. Measuring Business Regulations. www.doingbusiness.org

ნახევარში ჩატარებული საგადასახადო რეფორმები ძირითადად გამიზნული იყო საქმიანი აქტივობის სტიმულირებისა და შესაბამის ქვეყნებში კაპიტალის დაგროვების დასაჩქარებლად. ასე მაგალითად, ზემოაღნიშნულ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციული გადასახადის განაკვეთი 45%-დან 34%-მდე შემცირდა, საფრანგეთში 50%-დან 34%-მდე, დიდ ბრიტანეთში 45%-დან 30%-მდე. იმავე ქვეყნებში გაიზარდა შემოსავლების დაუბეგრავი მინიმუმი და პირადი შემოსავლების დაბეგვრის ზედა ზღვარი. საგადასახადო რეფორმების შემდგომ ეტაპებზე კიდევ უფრო შეინიშნება ევროპის სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემების შემდგომი დაახლოება, რაც გამოიხატა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებაში, ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დაახლოებაში. ევროპის ქვეყნებში თითქმის ერთი და იმავე სახის გადასახადები მოქმედებს. მათ უმრავლესობაში სამ დონიანი საგადასახადო სისტემა მოქმედებს. ესენია: ფედერალური (საერთო-სახელმწიფოებრივი), რეგიონული და ადგილობრივი (მუნიციპალური) გადასახადები. ევროპულ სახელმწიფოთა საგადასახადო კანონმდებლობისა და სისტემის ფუნქციონირების ჰარმონიზებაში დიდი როლი მიუძღვის ევროკავშირს.

გაერთიანებული სამეფოს საგადასახადო სისტემა.²⁹

მოცემულ ქვეყანაში ბოლო დროს ჩატარებული საგადასახადო რეფორმების შესაბამისად საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი 2013 წელს 45%-ს შეადგენდა. იგი მართალია 2000 წელთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, თუმცა 2012 წელთან შედარებით ასევე იმავე მოცულობით შემცირდა. მოცემული გადასახადის განაკვეთი გაერთიანებულ სამეფოში 6,3 პროცენტული პუნქტით მაღალია საერთოევროპულ მაჩვენებელთან შედარებით. მოგების გადასახადი 2013 წლის მაჩვენებლებით იგივე განაკვეთის ფარგლებშია, როგორც საერთო ევროპული მაჩვენებელი (23%), თუმცა ამ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 2000 წელთან შედარებით 13 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. არაპირდაპირი გადასახადი- დღე მოცემულ ქვეყანაში 2013 წლის მონაცემების თანახმად 20%-ს შეადგენს. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე იგი კლების ტენდენციით ხასიათდება და საერთო ევროპულ მაჩვენებელს 1,3%-ით ჩამორჩება.³⁰

²⁹ ციფრობრივი მასალა აღებულია www.europa.eu

გაერთიანებულ სამეფოში საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. ამ ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებია: ფიზიკური პირების გადასახადი, კორპორაციის მოგების გადასახადი, კაპიტალის მატების გადასახადი, ნავთობის მოპოვებიდან მიღებული შემოსავლის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, გადასახადი მემკვიდრეობაზე, მოსაკრებლები, საგერბო მოსაკრებელი, ადგილობრივ საგადასახადო საფუძველს წარმოადგენს ქონების გადასახადი.

ბიუჯეტის შემოსავლებში ყველაზე დიდი წილითაა წარმოდგენილი ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური უზრუნველყოფის შენატანებს, რომელიც იხარჯება პენსიებისა და დახმარებების გადახდაზე.

არაპირდაპირ გადასახადებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს დამატებული ღირებულების გადასახადს. მას მეორე ადგილი უჭირავს გადასახადებში და აყალიბებს ქვეყნის ბიუჯეტის დაახლოებით 17%-ს.

არაპირდაპირ გადასახადებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აქციზს. სააქციზო საქონელს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელები, საწვავი, თამბაქოს ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები.

არაპირდაპირ გადასახადებს აკუთვნებენ საბაჟო გადასახდელებს, საგერბო მოსაკრებელს, სათამაშო ბიზნესის გადასახადს, მოსაკრებელს ცხენის ჭენებისა და ძაღლების სირბილის სანახაობიდან.

მუნიციპალიტეტებს შეუძლია დააწესონ ადგილობრივი საჭიროებისათვის სხვა გადასახადები. ქვეყნის საგადასახადო სისტემის რეგულირებისა და მართვის მთავარ სამთავრობო უწყებას წარმოადგენს ხაზინა. მის დაქვემდებარებაშია საშინაო შემოსავლების სამმართველო და მოსაკრებლების სამმართველო.

საფრანგეთის საგადასახადო სისტემა. ³¹

საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში ბოლო წლებში გატარებული რეფორმების შედეგად რამდენადმე შეიცვალა საგადასახადო ტვირთის სტრუქტურა. ამ მხრივ ტვირთის უმეტესი წილი 2013 წლის შედეგებით მოდის კაპიტალიდან ამოღებულ შემოსავლებზე (44,4%), მეორე ადგილზეა შრომიდან მიღებული შემოსავლები (38,6%), ხოლო მესამეზე მოხმარებიდან მიღებული შემოსავლები (19,9%)³². როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საფრანგეთში აკრებილი

³¹ ციფრობრივი მასალა აღებულია www.europa.eu

გადასახადები იყოფა სამ ნაწილად. *პირველი*, ესაა საშემოსავლო გადასახადები, რომელიც ამოიღება შემოსავლის მიღების მომენტში. *მეორე*, გადასახადები მოხმარებაზე, ამოიღება მაშინ, როდესაც შემოსავალი იხარჯება და *მესამე*, გადასახადები კაპიტალზე, რომელიც ამოიღება კაპიტალიდან. საგადასახადო სისტემა გამიზნულია ძირითადად მოხმარების დაბეგვისათვის. შემოსავლებზე (მოგებაზე) და საკუთრებაზე გადასახადები წარმოადგენს ზომიერ გადასახადებს.

საერთო ევროპულ მაჩვენებლებთან შედარებით საფრანგეთში მაღალია საშემოსავლო გადასახადი (50,2%) 12%-ით, მოგების გადასახადი (36,1%) 13%-ით და პირიქით დაბალია დღგ (19,6%) 1,7%-ით.

დღგ-ს ემატება რიგი სხვა არაპირდაპირი გადასახადები (ან აქციზი), რომელიც ასევე მოხმარებაზე გადასახადია და მათი ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ ამოიღება, სხვა ირიცხება მართვის ადგილობრივ ორგანოებში.

სააქციზო საქონლად გამოყოფენ ალკოჰოლურ სასმელებს, თამბაქოს, ასანთს, სანთებელას, ძვირფასი ლითონის ნაკეთობებს, შაქარს და საკონდიტრო ნაწარმს, ლუდს და მინერალურ წყლებს, ასევე საავტომობილო ტრანსპორტის ზოგიერთ სახეს. არაპირდაპირი გადასახადებით დღგ-სთან ერთად იბეგრება აგრეთვე ელექტროენერგია და სატელევიზიო რეკლამა. ზოგიერთ რაიონებში ადგილობრივ ორგანოებს შემოაქვთ ტურისტული მოსაკრებელი.

მოხმარების გადასახადებს მიაკუთვნებენ საბაჟო მოსაკრებლებს. საშემოსავლო გადასახადებს იხდიან საწარმოები და ფიზიკური პირები. საწარმოებისათვის გადახდას ექვემდებარება წმინდა მოგება, რომელიც განისაზღვრება როგორც ყველა ოპერაციების საღდო.

საშემოსავლო გადასახადების ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფიზიკური პირებისაგან საშემოსავლო გადასახადს. მისი ხვედრითი წილი საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტში აჭარბებს 18%-ს.

საფრანგეთის ბიუჯეტს დიდ შემოსავალს აძლევს საკუთრებაზე შემოსავალი. ამ ჯგუფის შემოსავლებს მიეკუთვნება სარეგისტრაციო და საგერბო მოსაკრებლები და გადასახადები. ამავე ჯგუფში შედის სოციალური გადასახადი ხელფასზე, რომელსაც საფრანგეთში იხდის დამსაქმებელი.

საკუთრებასთან დაკავშირებულ გადასახადებს მიეკუთვნება აგრეთვე საწარმოებისა და კომპანიების სატრანსპორტო საშუალებებსთან დაკავშირებული გადასახადები.

ადგილობრივი გადასახადების სისტემიდან შეიძლება გამოვეყოთ 4 ძირითადი გადასახადი. ესენია:

- მიწის გადასახადი განაშენიანებულ ნაწილზე;
- მიწის გადასახადი გაუნაშენიანებელ ნაწილზე;
- საცხოვრისის გადასახადი
- პროფესიული გადასახადი.

მთავარი საგადასახადო სამმართველო იმყოფება ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში. ქვეყნის მასშტაბით მთავარ საგადასახადო სამმართველოს აქვს 830 საგადასახადო ცენტრი. ამავე უწყებაში ფუნქციონირებს 18 საინფორმაციო ცენტრი. საგადასახადო კონტროლი ხორციელდება საგადასახადო დეკლარაციების კამერალური და დოკუმენტალური შემოწმებებით.

გერმანიის საგადასახადო სისტემა. ³³

გერმანიაში როგორც ევროკავშირის ერთ-ერთ წამყვან ქვეყანაში სხვა განვითარებული სახელმწიფოების მსგავსად საერთოევროპულ მაჩვენებელთან შედარებით 2013 წლის შედეგებით მაღალია საშემოსავლო გადასახადი (47,5%) 8,8%-ით, მოგების გადასახადი (29,8%) 6,8%-ით, ამასთან დაბალია დღგ (19%) 2,3%-ით.³⁴

გერმანიაში საგადასახადო სისტემა ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს: გადასახადები უნდა იყოს შესაძლებლობის მიხედვით მინიმალური; დანახარჯები მათ ამოღებაზე უნდა იყოს ასევე მინიმალური; გადასახადებმა არ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს კონკურენციას; გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურულ პოლიტიკას; გადასახადები გამიზნულია შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე; საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემაზე.

დაბეგვრასთან დაკავშირებით, ადამიანმა სახელმწიფოს თუნდაც მინიმალურ დონეზე უნდა აცნობის თავისი პირადი ცხოვრების შესახებ. საგადასახადო მუშაკს არა აქვს უფლება ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს იგი მიაწოდოს გადასახადის გადამხდელზე რაიმე ცნობები. კომერციული საიდუმლოების დაცვა გარანტირებულია.

- საგადასახადო სისტემა გამორიცხავს ორმაგ დაბეგვრას;

³³ ციფრობრივი მასალა აღებულია www.europa.eu

- გადასახადების სიდიდე შეესაბამება სახელმწიფო მომსახურების სიდიდეს, ადამიანის დაცვის ჩათვლით, რასაც მოქალაქე ღებულობს სახელმწიფოსგან.

გერმანიაში ძირითადი სახის გადასახადებია: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, კორპორაციების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, სადაზღვევო შენატანები, მოსაკრებლები, რომელიც ხმარდება ნავთობისა და გაზის მოპოვების განვითარებას გერმანიის ტერიტორიაზე.

იურიდიული პირების გადასახადებიდან სახელმწიფოს ყველაზე უფრო დიდ შემოსავლებს აძლევს დამატებული ღირებულების გადასახადი. მოცემული გადასახადის წილი ბიუჯეტის შემოსავლებში 28%-ია და იგი საშემოსავლო გადასახადის შემდეგ ყველაზე მაღალია.

აქციზი ძირითადად ფედერალურ ბიუჯეტში მიემართება გარდა ლუდზე აქციზის გადასახადისა, რომელიც ფედერალური მიწების ბიუჯეტში იკრიბება. აქციზის გადასახადებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მინერალურ სათბობზე მოდის, შემდეგ მოდის თამბაქოს აქციზი და ყავის აქციზი.

გერმანიაში საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია. მისი მინიმალური განაკვეთი 19%-ია; მაქსიმალური - 53%.

სარეწაო გადასახადი - ერთ-ერთი ძირითადი ადგილობრივი გადასახადია. მოცემული გადასახადის გაანგარიშების ბაზაა - მოგება სარეწაო საქმიანობიდან და კომპანიის კაპიტალი. საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება მუნიციპალური ორგანოების მიერ.

საადგილმამულო გადასახადით იბეგრება სასოფლო-სამეურნეო, სატყეო მეურნეობის კომპანიები და ფიზიკური პირები. მისი ჩვეულებრივი განაკვეთი 1,2%-ია.

გერმანიაში ისევე როგორც მის მსგავს ბევრ ფედერაციაში აქტუალურია ფისკალური გამოთანაბრების სქემები, რომლებიც არბილებენ ფისკალურ დისბალანსს ფედერაციაში შემავალ ისეთი სუბიექტების მიხედვით, როგორცაა ფედერალური მიწები. აღნიშნული სქემები ძირითადად გულისხმობენ ფედერალური მიწების მიერ მთლიანად ფედერაციისათვის დამახასიათებელი საგადასახადო ბაზიდან დამატებითი საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ პატარა ნაწილის გათავისებებას, ხოლო დანარჩენი დამატებითი საგადასახადო შემოსავლები

ნაწილდება ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად. გერმანიაში განიხილება საკითხი თუ რომელი სახელმწიფო დონის იურისდიქცია იყენებს საკუთარ საგადასახადო ბაზას. ამასთან ერთად, ფედერაციას შეუძლია წაახალისოს მოქალაქეები ეფექტური საგადასახადო განაკვეთით. გერმანიაში აპრობირებულია და იყენებენ საგადასახადო მოდელს შემდეგი სამი კონფიგურაციით. ესენია: სახელმწიფო და მიკრო დონეზე საგადასახადო რეჟიმის განხორციელებადობა ადმინისტრაციული, საშემოსავლო გადასახადების გამოყენებით, აგრეთვე ბუნებრივი ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენებით.

ფისკალური გამოთანაბრების სქემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა გერმანიისათვის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ფედერალური მიწების გაერთიანების შემდეგ. ძირითადი პრობლემა მდგომარეობდა ხალხის ცხოვრების დონის გამოთანაბრებაში, მდიდარი და ღარიბი ფედერალური მიწების მიხედვით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფისკალური გამოთანაბრების სქემებმა, თუმცა ხალხის ცხოვრების დონის მხრივ გერმანიაში კვლავაც შეინიშნება განსხვავება ყოფილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფედერალურ მიწებს შორის.

ზოგადად, ფისკალური გამოთანაბრების სქემებს დიდი ხნის ისტორია გააჩნია. პირველი კვლევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თეორიების დონეზე ჯერ კიდევ 1959 წელს განხორციელდა.³⁵

ფისკალური გამოთანაბრების სქემების კუთხით გერმანია ხასიათდება სამი თავისებურებით. პირველი, გერმანიის ფედერალური სისტემა არის კოოპერირებული. ფისკალურად მნიშვნელოვანი გადასახადები, ეგრეთწოდებული ერთობლივი გადასახადები დადგენილია ცენტრალური მთავრობის მიერ და ერთიანი საგადასახადო ტარიფები ვრცელდება თითოეულ ფედერალურ მიწაზე. მეორე, საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების უფლება დელეგირებული აქვთ გერმანიის ფედერალურ მიწებს. მესამე, ფისკალური გამოთანაბრების სისტემა გულისხმობს, რომ საგადასახადო შემოსავლებზე არსებული ზღვრული საგადასახადო განაკვეთებით ამოღებული შემოსავლები (25%-ის ზემოთ) ფედერალური მთავრობის მიერ ნაწილდება ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ფედერალური მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოების მიზნით.

³⁵Fiscal Federalism and Tax Administration, Evidence from Germany, Timm Bonke, Beate Jochimsen, Carsten Schroder, Discussion Paper, DIW Berlin, 2013

შვედეთის საგადასახადო სისტემა. ³⁶

შვედეთში საბაზრო ეკონომიკის ყველაზე უფრო ნათლად გამოხატულია სოციალურად ორიენტირებული მოდელი, რომლის პირობებში სახელმწიფო მაღალი დონით ერევა სამეურნეო ცხოვრებაში და შესაბამისად მაღალია გადასახადები. ამასთან, უკანასკნელ წლებში შეინიშნება გადასახადების დონის შემცირების ტენდენცია.

შვედეთში კორპორაციის გადასახადი შეადგენს 22%-ს. კაპიტალიდან შემოსავლის გადასახადი 27%-ს. კაპიტალის შემადგენლობაში გარდა ფასიანი ქაღალდებისა და ანაბრებზე პროცენტებისა შედის მიწების ფლობაც.

ამ ქვეყანაში აქციზით იბეგრება შემდეგი საქონლის ჯგუფები: ალკოჰოლი, თამბაქო, ბენზინი და ენერჯია.

ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუხლია სოციალური გადასახდელები შრომის ანაზღაურების ფონდის ანარიცხების სახით. დარიცხვის საერთო თანხა შეადგენს 38%.

სიდიდის მიხედვით მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადასახადები.

შვედეთი მიჩნეულია საგადასახადო სტატისტიკის შეგროვებისა და მისი დამუშავების ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად. ასეთი შედეგები მიღწეულია ამ ქვეყანაში საგადასახადო სტატისტიკის სფეროში სიღრმისეული მეთოდოლოგიური სამუშაოების ჩატარებით, საგადასახადო ორგანოებში კომპიუტერიზაციის მაღალი დონით და რიგი სხვა ფაქტორებით. ასე მაგალითად, საგადასახადო ორგანოებს მიამაგრეს მოსახლეობის აღრიცხვის ფუნქცია (მოსახლეობის აღწერების ჩატარების ისტორიაში პირველად მოხდა პოტენციალური გადასახადის გადამხდელთა გამოვლენა და უძრავი ქონების ობიექტების მიხედვით მონაცემთა ერთიანი ბანკის ჩამოყალიბება).

ამრიგად, შვედეთის საგადასახადო სტატისტიკას საფუძვლად უდევს კომპიუტერული წესით შეგროვებული მონაცემთა უდიდესი მასივი, რომელიც ახასიათებს მოსახლეობას, ობიექტებს საკუთრების მიხედვით. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია დამუშავდეს სხვადასხვა ჭრილში, სხვადასხვა მიზნებით. მის საფუძველზე ანგარიშობენ სხვადასხვა მაჩვენებლებს, კოეფიციენტებსა და ნორმატივებს.

ასეთი მრავალფეროვანი ინფორმაცია საგადასახადო ორგანოების თანამშრომლებს საშუალებას აძლევს გადასახადის გადამხდელები ადგილზე

³⁶ ციფრობრივი მასალა აღებულია www.europa.eu

მისვლისა და რაიმე სპეციალური ტესტირების გარეშე შეამოწმონ, ანალიზური მონაცემების გამოყენებით.

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა.³⁷

ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სისტემა ერთ-ერთ განვითარებულ სისტემაა მსოფლიოში. აშშ-ში ისევე როგორც დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში, მოქმედებს სამდონიანი საგადასახადო სისტემა. ფედერალურ, შტატებისა და ადგილობრივ ორგანოებს შორის ძირითადი გადასახადები ასეთნაირად ნაწილდება: ფედერალური ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი (50%), შემდეგ ადგილზე მოდის სოციალური დაზღვევა (34%), აქციზი (8%), კორპორაციის გადასახადი 6%. შტატების საგადასახადო შემოსავლებში პირველი ადგილი უჭირავს აქციზს (37%), შემდეგ სოციალურ დაზღვევას (27%) და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს (21%). ადგილობრივ საგადასახადო შემოსავლებში პირველ ადგილზეა ქონებიდან მიღებული შემოსავალი (71%).

ა.შ.შ.-ში გადასახადები უზრუნველყოფენ არა მარტო ქვეყნის, შტატებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ამოცანებს, არამედ ისინი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტიცაა.

ისეთი გადასახადები, რომლებიც ძირითადია და იძლევიან სტაბილურ შემოსავლებს, ძირითადად ფედერალურ ბიუჯეტში მიემართება. მათ წილად მოდის მთელი შემოსავლების 70%.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ადგილობრივი გადასახადების გარდა ზემდგომი ბიუჯეტებიდან დებულობენ სუბვენციებს, სუბსიდიებსა და დოტაციებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფედერალური ბიუჯეტის ყველაზე უფრო შემოსავლიანი მუხლია ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი. მის წილად მოდის ა.შ.შ.-ს ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 50%.

ა.შ.შ.-ში 83 ათასზე მეტი მართვის ადგილობრივი ორგანოა, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი ფინანსური ბაზა. ფედერალურ შემოსავლებში ჭარბობს პირდაპირი გადასახადები. შტატებისა და ადგილობრივი მმართველობის

³⁷ ციფრობრივი მასალა აღებულია <http://www.usa.gov/Topics/Reference-Shelf/Data.shtml>

ორგანოების შემოსავლები ყალიბდება არაპირდაპირი გადასახადებისა და ქონებრივი გადასახადებისაგან.

ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებში სიდიდით მეორე ადგილზეა როგორც უკვე ავლნიშნეთ, შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდებში. მათ წილად მოდის შემოსავლების ერთი მესამედი. ასეთი სახის შენატანები შედგება: სოცდაზღვევის მიზნობრივი გადასახადისაგან; სამედიცინო მომსახურებების უზრუნველყოფის გადასახადისაგან და უმუშევრობის დახმარების ფედერალურ ფონდებში შენატანებისაგან.

მესამე ადგილზეა კორპორაციის მოგების გადასახადი, რომელსაც ფედერალური ბიუჯეტის 10% უჭირავს.

ფედერალური გადასახადის გვერდით, კორპორაციის მოგების გადასახადი მოქმედებს 44 შტატში. გადასახადის განაკვეთი, როგორც წესი სტაბილურია, თუმცა ზოგიერთ შტატში გვხვდება მოცემული გადასახადის პროგრესული სკალით დაბეგვრა.

ფედერალური სააქციზო მოსაკრებლები დადგენილია: ალკოჰოლურ და თამბაქოს ნაწარმზე, ბენზინზე და ნავთობზე, ძვირფასეულობაზე და ბეწვზე, ძვირფას ავტომობილებზე, პირად თვითმფრინავებზე, მომსახურებიდან - საგზაო და საჰაერო გადახიდვებზე.

ქონებაზე გადასახადი – გარდამავალია შთამომავლობით ან ჩუქებით, იგი იძლევა შემოსავლების 1%-ზე მეტს და 10 ათას დოლარამდე იგი არ იბეგრება.

საბაჟო გადასახდელები ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლების 1-2%-ია.

შტატების ბიუჯეტები ეფუძნება მოქალაქეთა საშემოსავლო გადასახადს, კორპორაციულ გადასახადს და გაყიდვებიდან გადასახადს.

ა.შ.შ.-ს მუნიციპალიტეტების ძირითადი შემოსავლების წყაროა ქონების გადასახადი. გარდა ამისა, ქალაქები ღებულობენ მსხვილ სამთავრობო სუბსიდიებს.

ა.შ.შ.-ში გადასახადების გადახდაზე კონტროლს ახორციელებს ფინანსთა სამინისტროს შინაგანი გადასახადების სამსახური. იგი შედგება ცენტრალური აპარატისა და 7 რეგიონალური საგადასახადო სამმართველოსაგან. კორპორაციები ვალდებული არიან ყოველწლიურად შეაგონ საგადასახადო დეკლარაციები. მცირე საწარმოები ავსებენ მოდიფიცირებულ ფორმას. ფიზიკური პირები წელიწადში ერთჯერ აბარებენ საგადასახადო დეკლარაციებს, რომელშიც ასახავენ

თავის ოჯახურ სტატუსს და ოფიციალურად ყველა წყაროდან მიღებულ ყველა შემოსავალს.

იურიდიული და ფიზიკური პირის ყველა დეკლარაცია ექვემდებარება კამერალურ შემოწმებას, თუმცა მათგან მცირე ნაწილი აირჩევა გასვლითი შემოწმებისათვის.

ჩინეთის საგადასახადო სისტემა.³⁸

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩინეთში განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ახალ საგადასახადო სისტემას დაუდო სათავე. ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ წარმოშვა ახალი გადასახადების გადამხდელები. აქ იგულისხმება საწარმოები, რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნულ ნაციონალურ კაპიტალს. გარდა ამისა, გაჩნდნენ ერთობლივი საწარმოები, რომელთა კაპიტალის 40-50% უცხოური კაპიტალისგან შედგებოდა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე უცხოური კაპიტალის მოსაზიდად მთელი რიგი შეღავათები არსებობდა უცხოელი ინვესტიციებისათვის. კერძოდ, უცხოური კაპიტალით მონაწილე საწარმოები სარგებლობდნენ შეღავათიანი გადასახადებით, რიგ შემთხვევაში ისინი თავისუფლდებოდნენ ზოგიერთი გადასახადის გადახდისაგან. ეს ის საწარმოებია, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ სპეციალურ-ეკონომიკურ ზონებში. ასეთი საწარმოებისათვის საერთო საგადასახადო ტვირთი შემცირებული იყო მოგების 12-13%-მდე.

1990-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ჩინეთი საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, დაიწყო ეროვნული და უცხოური კაპიტალით შექმნილი საწარმოების დაბეგვრის უნიფიცირება. ასეთი სახის გადასახადები გულისხმობდა შემოსავლებზე ზოგიერთი გადასახადის გაუქმებას, უცხოური კაპიტალით დაფუძნებულ საწარმოებზე უძრავი ქონების გადასახადის გავრცელებას, ამავე ტიპის საწარმოებზე გაავრცელეს მშენებლობაზე და ქალაქის რემონტზე გადასახადი, დამატებითი მოსაკრებელი განათლებაზე. ამრიგად, უცხოურ და ადგილობრივ წარმოებაზე გადასახადის გადახდის თანაბარი პირობები ჩამოყალიბდა.

შემდეგი რეფორმა შეეხო ირიბ დაბეგვრას. ჩინეთში გადასახადები სხვადასხვა საფუძველზე იკრიბება. გადასახადების აკრების ხერხების მიხედვით არსებობს:

- პირდაპირი და ირიბი გადასახადები;

³⁸ ციფრობრივი მასალა აღებულია <http://eng.stat.gov.tw/mp.asp?mp=5>

- გადასახადის გადამხდელთა წრის მიხედვით: ორგანიზაციები და ფიზიკური პირები;
- ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის ხარისხის მიხედვით: ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.
საგადასახადო შემოსავლების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის განაწილების პრინციპის მიხედვით:

- ცენტრალური შემოსავლები;
- ადგილობრივი შემოსავლები.

გადასახადების გადახდის წყაროს მიხედვით:

- თვითღირებულება;
- შემოსავალი;
- ამონაგები;
- წმინდა მოგება.

დაბეგვრის ობიექტის მიხედვით:

- ქონების გადასახადები;
- იჯარის გადასახადები;
- საშემოსავლო გადასახადები;
- გადასახადები მოხმარებაზე;
- გადასახადები გარკვეულ ოპერაციებზე.

ამოღების მეთოდის მიხედვით:

- დარიცხული;
- დაკავებული.

ჩინეთში, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გადასახადები საგადასახადო ადმინისტრირებისა და კომპეტენციათა განაწილების ნიშნის მიხედვით იყოფა ორი სახის გადასახადებად. ესენია: ცენტრალური (საერთო-სახელმწიფოებრივი) და ადგილობრივი (რეგიონული).

- ცენტრალურ გადასახადებს, რომელთა ადმინისტრირებას ახორციელებს ჩინეთის მთავარი საგადასახადო სამმართველო, მიეკუთვნება: საწარმოთა შემოსავლების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სამომხმარებლო გადასახადი, ავტოტრანსპორტის შეძენის გადასახადი;
- ადგილობრივი (რეგიონალური) გადასახადების ადმინისტრირებას ახორციელებენ ცალკეული პროვინციების შემადგენლობაში შემავალი

ადგილობრივი საგადასახადო ორგანოები. ეს საგადასახადო ორგანოები ამავდროულად ექვემდებარება ჩინეთის მთავარ სახელმწიფო საგადასახადო სამმართველოს. ადგილობრივ (რეგიონალურ) გადასახადებს მიეკუთვნება: გადასახადი სამეწარმეო საქმიანობაზე, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი, მიწის ღირებულების მატების გადასახადი, უძრავი ქონების გადასახადი, საკუთრების გადაცემის გადასახადი, სატრანსპორტო გადასახადი, გადასახადები საქალაქო მიწების გამოყენებაზე, რესურსების გადასახადი, საქალაქო მშენებლობისა და რემონტის გადასახადი, საგერბო მოსაკრებელი, თუთუნის ფოთლის გადასახადი, დამატებითი მოსაკრებელი განათლებაზე.

საგადასახადო შემოსავლები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

- ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება მთლიანად შემდეგი სახის გადასახადები: სამომხმარებლო გადასახადი, ავტომობილის შექენაზე გადასახადი;
- ადგილობრივ (რეგიონალურ) ბიუჯეტებში ირიცხება მთლიანად შემდეგი სახის გადასახადები: გადასახადი მიწის ღირებულების მატებაზე, გადასახადი უძრავ ქონებაზე, სატრანსპორტო გადასახადი, საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადი, გადასახადები საქალაქო მიწების გამოყენებაზე;
- ერთობლივი გადასახადები, რომლებიც ნაწილდება ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის შემდეგია: საწარმოთა შემოსავლების გადასახადი, ფიზიკური პირების შემოსავალი, დამატებული ღირებულების გადასახადი, საქალაქო მშენებლობისა და რემონტის გადასახადი, დამატებითი გადასახადი განათლებაზე.

ახლა ვნახოთ თუ როგორ, რა პროპორციით ნაწილდება ერთობლივი გადასახადები ცენტრალურ ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის.

ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება: რკინიგზის მიერ გადახდილი შემოსავლების გადასახადი, აგრეთვე ბანკების სათაო ოფისების, სადაზღვევო კომპანიების, ცენტრალური საწარმოების, ადგილობრივი საბანკო და არასაბანკო დაწესებულებების შემოსავლების გადასახადები, გარდა ამისა, ზემოჩამოთვლილს ემატება სხვა შემოსავლების 60%. ადგილობრივ ბიუჯეტებს რჩება საგადასახადო შემოსავლების დარჩენილი 40%.

ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება ასევე ფიზიკური პირების მიერ შემნახველი ანაბრების პროცენტებიდან მიღებული შემოსავლების გადასახადები. ასევე სხვა შემოსავლების 60%. ადგილობრივ ბიუჯეტს რჩება იგივე გადასახადების 40%.

დღგ ეროვნულ პროდუქციასა და მომსახურებაზე ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო დღგ პროდუქციისა და მომსახურების იმპორტიდან 75%-ის ოდენობით ირიცხება ცენტრალურ ბიუჯეტში, 25%-ადგილობრივ ბიუჯეტში.

სამეწარმეო საქმიანობის გადასახადი გადახდილი რკინიგზის, ბანკების ცენტრალური ოფისების და სადაზღვევო კომპანიების მიერ – ცენტრალური ბიუჯეტისაა. სხვა საგადასახადო შემოსავლები – ადგილობრივი ბიუჯეტის.

რესურსული გადასახადი – იმ საწარმოების მიერ გადახდილი გადასახადებია, რომლებიც ეწევიან ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვებას ჩინეთის საზღვაო ტერიტორიიდან - ცენტრალური ბიუჯეტისაა. სხვა საგადასახადო შემოსავლები ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებია.

საგერბო მოსაკრებელის 88% ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალია, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების წილად მოდის ამ მოსაკრებლის 12%.

ამჟამად, ჩინეთში მოქმედებს 17 სახის გადასახადი. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთი სახის გადასახადებზე, რომლებზედაც ვრცელდება პროგრესული საგადასახადო საგანაკვეთო სისტემა.

გადასახადი საწარმოს შემოსავალზე. ამჟამად მოქმედი კანონით, გადასახადის ერთიანი განაკვეთი შეადგენს 25%-ს. იმ საწარმოებისათვის ვისაც ახალი და მაღალი წარმადობის ტექნოლოგია აქვთ – საგადასახადო განაკვეთი 15%-ია, მცირე ზომის დაბალი რენტაბელობის საწარმოებისათვის – 20%. გარდა ამისა, არსებობს საგადასახადო შემოსავლები იმ საწარმოებისათვის, რომლებიც შექმნილია ჩინეთის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებში.

ფიზიკური პირების შემოსავლებზე გადასახადი. მოცემული გადასახადის გადახდას ექვემდებარება ჩინეთის რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ შემდეგი სახის შემოსავლებს:

- შრომის ანაზღაურება;
- ვაჭრობისა და მრეწველობის სფეროში ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობისათვის;
- საიჯარო ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოებისათვის (მათ შორის სოფლის მეურნეობაში;

- დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის (იურიდიული, სამედიცინო, ბუღალტრული აუდიტი და აღრიცხვა, სხვა პროფესიული მომსახურება);
- მწერლების და ჟურნალისტების ჰონორარი;
- სალიცენზიო გადასახდელი ინტელექტუალური ცოდნის გადაცემიდან მიღებული შემოსავლისათვის;
- დივიდენდებიდან და პროცენტებიდან;
- ქონების იჯარით გაქირავებიდან;
- ქონების გაყიდვიდან;
- სხვა შემოსავლიდან.

შრომის ანაზღაურების სახით მიღებული შემოსავლებიდან გამოიყენება გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

ცხრილი N14

შრომის ანაზღაურების გადასახადის განაკვეთები ჩინეთში³⁹

ყოველთვიურად გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის თანხა	გადასახადის განაკვეთი
1500 იუანამდე	3%
1501-დან 4500-მდე	10%
4501-დან 9000-მდე	20%
9001-დან 35000-მდე	25%
35001-დან 55000-მდე	30%
55001-დან 80000-მდე	35%
80001-დან ზემოთ	45%

ფიზიკური პირების ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობისათვის ვაჭრობასა და მრეწველობაში, აგრეთვე საიჯარო სამუშაოების საქმიანობისათვის ფიზიკური პირის შემოსავლის გადასახადი იბეგრება შემდეგი წლიური განაკვეთებით:

³⁹ <http://eng.stat.gov.tw/mp.asp?mp=5>

1\$ = 6,1456 ჩინური იუანი

**ფიზიკური პირების დასაბეგრი შემოსავლის წლიური საპროცენტო
განაკვეთები⁴⁰**

ყოველწლიური გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის თანხა	გადასახადის განაკვეთი
1500 იუანამდე	5%
1501-დან 30 000-მდე	10%
30001-დან 60 000-მდე	20%
60001-დან 100 000-მდე	30%
100001-დან ზემოთ	35%

ფიზიკური პირების შემოსავლების გადასახადი სხვა დანარჩენი სახის შემოსავლებზე იბეგრება 20%-ით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. მოცემული სახის გადასახადის გადახდა ხდება საქონლის რეალიზაციის და სამუშაოს პროცესში. ამჟამად ჩინეთში დღგ-სთან დაკავშირებული რეფორმა იგეგმება. დღესდღეისობით დღგ-ს ორი სახის გადამხდელია. ჩვეულებრივი გადამხდელები და მცირე გადასახადის გადამხდელები.

დღგ-ს განაკვეთი გადასახადის ჩვეულებრივი გადამხდელისთვის შეადგენს - 17%-ს, სტანდარტული განაკვეთი მცირე გადასახადის გადამხდელისათვის – 13%-ს, (პირველადი გადამუშავების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასუქები და თესლი, საბეჭდი პროდუქცია, საჭმელი მარილი, სათბობის მიწოდება, გაზი და წყალი), საქონლის ექსპორტი – 0%.

უძრავ ქონებაზე გადასახადს ჩინეთში იხდიან შენობის მეპატრონეები, ასევე სხვა ნაგებობის მფლობელები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას. მოცემული გადასახადის საგადასახადო ბაზაა უძრავი ქონების ღირებულება შემცირებული 10-30%-ით (რაიონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით). როცა იჯარით გაიცემა უძრავი ქონება, საგადასახადო ბაზა იანგარიშება გადახდილი საიჯარო თანხის მიხედვით. უძრავ ქონებაზე განაკვეთი იანგარიშება

⁴⁰ <http://eng.stat.gov.tw/mp.asp?mp=5>

უძრავი ქონების ღირებულების 1,2%-ის ოდენობით, საიჯარო გადასახადიდან მისი თანხის 12%.

ავტოტრანსპორტის შეძენის გადასახადს იხდიან ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენისას. მეორადი ავტომანქანების ბაზარზე ავტომანქანის შეძენისას გადასახადს არ იხდიან. ახალი ავტომობილის შეძენისას გადასახადის განაკვეთი ავტომობილის ღირებულების 10%-ია.

მიწის მატებაზე გადასახადი. მოცემულ გადასახადს იხდიან ორგანიზაციები ან ფიზიკური პირები მათზე სახელმწიფო საკუთრებიდან მიწით სარგებლობის უფლების გადაცემისას. გადასახადი ამოიღება 30%-დან 60%-მდე.

რესურსული გადასახადის გადამხდელებია ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ჩინეთში (წყლის ტერიტორიის ჩათვლით).

საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადი. მოცემულ გადასახადს იხდის პირი, რომელმაც მოიპოვა მიწის ნაკვეთით, შენობით, ნაგებობით საკუთრების უფლება. მოცემული გადასახადის განაკვეთი 3%-დან 5%-მდეა.

ინდონეზიის საგადასახადო სისტემა⁴¹.

ინდონეზიაში ყველა სახის გადასახადზე მოქმედებს მცოცავი პროგრესული განაკვეთი. ამასთან, ისე როგორც უმეტესობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის დიდი ნაწილი მოდის შინამეურნეობებზე, რომელთა გაყიდვები და მომსახურება განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან. ინდონეზიის საგადასახადო სისტემა ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ რეალობას. დარბი მოქალაქეებს და უქონელ მოსახლეობას ათავისუფლებს ნებისმიერი სახის გადასახადებისაგან. ყოველივე აღნიშნული კი ეფუძნება ურთიერთდახმარების ეთიკას, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეძლებული ხალხი ასრულებს მორალურ ვალდებულებას – იყვნენ შედარებით მძიმე საგადასახადო ტვირთის მატარებლები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არსებობს რუპიის (ინდონეზიის ფულის ნიშანი) განსხვავებული მსყიდველობითუნარიანობის დისპარიტეტი სხვადასხვა რეგიონებს შორის. დედაქალაქი – ჯაკარტა ითვლება ყველაზე ძვირ ქალაქად საქონლის, მომსახურებისა და ხელფასის მხრივ.

ყოველივე ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ საშემოსავლო გადასახადი და მოვიტანოთ სათანადო მონაცემები.

⁴¹ http://www.bps.go.id/eng/menutab.php?tabel=1&kat=2&id_subyek=13

საგადასახადო წლიური შემოსავლების და საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია.

ცხრილი N16

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები ინდონეზიაში⁴²

დიაპაზონი	წლიური შემოსავალი	განაკვეთი
თავისუფლდება გადასახადისაგან	24 000 000 რუპიამდე	0%
I დიაპაზონი	50 000 000 რუპიამდე	5%
II დიაპაზონი	50 000 000-დან 250 000 000 რუპიამდე	15%
III დიაპაზონი	250 000 000-დან 500 000 000 რუპიამდე	25%
IV დიაპაზონი	500 000 000 რუპიაზე მეტი	30%

საგადასახადო განაკვეთები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით, მაგრამ ძირითადად გამოიყენება პროგრესული საგადასახადო განაკვეთები.

ესტონეთი.⁴³

ესტონეთში 2011 წელს საგადასახადო ტვირთმა (სოციალური შენატანების) ჩათვლით 32,8% შეადგინა. წინა წლებთან შედარებით საგადასახადო ტვირთი კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული, ერთი მხრივ, ეკონომიკური კეთილდღეობით არის გამოწვეული, რის გამოც გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები, მეორე მხრივ, კი მთელი რიგი საგადასახადო ღონისძიებებით, რის შედეგადაც 2009, 2010 და 2011 წლებში გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები დღგ-სა და აქციზზე. 2011 წელს, საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი ესტონეთში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან (38,8%) შედარებით დაბალი, ხოლო ბალტიის სხვა ქვეყნებთან შედარებით (5-7%-ით) მაღალია.

ესტონეთში, ისევე როგორც ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში, არაპირდაპირი გადასახადების წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში

⁴² http://www.bps.go.id/eng/menutab.php?tabel=1&kat=2&id_subyek=13

1\$ = 11,595,3 ინდონეზიური რუპია

⁴³ <http://ec.europa.eu/>

საკმაოდ მაღალია და 2011 წლის მონაცემებით 43,1% შეადგინა, რომელიც აჭარბებს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (34,5%). დიდი ხვედრითი წილი უჭირავს სოციალურ შენატანებს (36,9%) მთლიან შემოსავლებში. 1990 წლიდან მოყოლებული 10 პროცენტული პუნქტით შემცირდა პირდაპირი გადასახადების წილი და 2011 წელს 20% შეადგინა, რაც შეეხება საშემოსავლო და კორპორაციულ გადასახადებს, ბოლო წლებში მათი განაკვეთების კლება ფიქსირდება.

ადგილობრივი მთავრობა ღებულობს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 13,3%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით ესტონეთი მეშვიდე ადგილზეა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. 2004 წლიდან ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსება წარმოებს მოსახლეობის მთლიანი შემოსავლების და არა ფაქტობრივი შემოსავლების მიხედვით, როგორც ეს ხდებოდა ადრე. აღნიშნული გულისხმობს, რომ დასაბეგრი შემოსავალი ზეგაველენას ახდენს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური მთავრობის ბიუჯეტზე. ცენტრალური მთავრობის შემოსავლები შეადგენს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 68,1%-ს.

მოხმარებაზე გადასახადებიდან შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2004 წლიდან მოყოლებული, მზარდი ტრენდით ხასიათდება. (გარდა 2008 წლისა, როდესაც მსოფლიო ფინანსურ კრიზისს ჰქონდა ადგილი). 2011 წლის მიხედვით, კაპიტალის გადასახადებიდან შემოსავლები შეადგენს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 6,6%-ს, გარემოს გადასახადებიდან კი 8,6%-ს.

ქონების გადასახადებიდან შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2011 წლის მონაცემების მიხედვით 0,3%-ს შეადგენს, რაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე დაბალია (2,1%). იმავე წელს, ქონების გადასახადებიდან შემოსავალმა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 1% შეადგინა.

ესტონეთის ფისკალური პოლიტიკა ასახულია ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაზე. გრძელვადიანი გეგმა იმის თაობაზე, რომ ყოველწლიურად 1%-ით შემცირებულიყო საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი ვერ განხორციელდა და კორპორაციული გადასახადისა და საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთები კვლავ 21%-ია 2008 წლიდან დღემდე. დაგეგმილია 2015 წლისათვის აღნიშნული გადასახადების საპროცენტო განაკვეთების 20%-მდე შემცირება.

ესტონეთის საგადასახადო პოლიტიკის გრძელვადიანი მიზანია შემოსავალსა და დასაქმებაზე არსებული საგადასახადო ტვირთის გადატანა მოხმარებასა და

გარემოზე. ალკოჰოლზე, თამბაქოზე, საწვავზე და ელექტროენერგიაზე აქციზის საპროცენტო განაკვეთმა მკვეთრად მოიმატა გასული წლების განმავლობაში და უფრო დიდი მატებაა დაგეგმილი მოდერნო წლებისათვის.

სოციალური უსაფრთხოება მეტწილად ფინანსდება სოციალური გადასახადის მეშვეობით. აღნიშნული გადასახადის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს დასაქმებული ადამიანის დარიცხული ხელფასის 33%-ს. თვითდასაქმებული ადამიანიც იხდის სოციალურ გადასახადს. 13%-ი ირიცხება ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის სისტემაში, ხოლო დანარჩენი 20%-ი საპენსიო დაზღვევის სისტემაში. ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ 1983 წლის შემდგომ პერიოდში საპენსიო ფონდში იხდიან კიდევ დამატებით 2%-ს.

სოციალური გადასახადი არის ფისკალურად მნიშვნელოვანი გადასახადი ესტონეთში, ვინაიდან სხვა ქვეყნებთან შედარებით დამსაქმებლები საკმაოდ დიდ შენატანებს ახორციელებენ აღნიშნული გადასახადის სახით. 2011 წელს, სოციალური გადასახადის ხვედრითმა წილმა მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 34,1% შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის. აღნიშნულისაგან განსხვავებით, დასაქმებულთა მიერ გადახდილი სოციალური გადასახადი შეადგენს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 2,4%-ს.

ცხრილი N 17

გადასახადების დინამიკა და სტრუქტურა ესტონეთში⁴⁴

ესტონეთი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
1.შემოსავლების სტრუქტურა	ხვედრითი წილი მშპ-ში, %											
არაპირდაპირი გადასახადები	12,3	12,3	12,5	12,1	12,3	13,4	13,5	13,5	12,3	15,1	14,2	14,2
დღგ	8,4	8,2	8,4	8,2	7,7	8,7	9,1	8,9	7,9	8,9	8,8	8,5
აქციზი და გადასახადები მოხმარებაზე	3,0	3,3	3,2	3,1	3,6	3,7	3,4	3,6	3,3	6,1	4,3	4,5
სხვა გადასახადები პროდუქციაზე (იმპორტის ჩათვლით)	0,2	0,2	0,2	0,2	0,3	0,4	0,4	0,4	0,4	0,3	0,4	0,5

⁴⁴ ციფრობრივი მასალა აღებულია <http://ec.europa.eu/>

სხვა გადასახადები პროდუქციაზე	0,7	0,8	0,7	0,7	0,6	0,6	0,6	0,6	0,7	0,8	0,7	0,7
პირდაპირი გადასახადები	7,7	7,2	7,5	8,0	7,9	7,0	7,1	7,4	7,9	7,6	6,8	6,6
პერსონალური შემოსავალი	6,8	6,5	6,4	6,5	6,3	5,6	5,6	5,8	6,2	5,7	5,4	5,3
კორპორაციის შემოსავალი	0,9	0,7	1,1	1,6	1,7	1,4	1,5	1,6	1,6	1,9	1,4	1,3
სოციალური შენატანები	10,9	10,7	11,0	10,6	10,3	10,3	10,1	10,5	11,6	13,2	13,1	12,1
დამსაქმებლები	10,7	10,5	10,5	10,2	9,9	9,9	9,8	10,2	11,3	12,5	12,2	11,2
დასაქმებულები	0,0	0,0	0,3	0,3	0,3	0,3	0,2	0,2	0,2	0,5	0,8	0,8
თვითდასაქ. და დაუსაქმებლები	0,2	0,1	0,2	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,1	0,2	0,1	0,1
სულ	31,0	30,2	31,0	30,8	30,6	30,6	30,7	31,4	31,9	35,9	34,1	32,8
2.სამთავრობო დონეების სტრუქტურა												
ცენტრალური მთავრობა	72,2	72,6	72,2	72,2	71,2	71,0	71,2	70,7	67,3	68,2	67,9	68,1
ადგილობრივი მთავრობა	13,9	13,5	12,9	13,0	13,2	13,0	13,2	13,4	15,4	14,0	13,4	13,3
სოც.უზრუნველყოფის თანხები	13,9	13,9	14,9	14,9	14,9	14,9	14,4	14,7	16,2	16,9	17,9	17,6
ევროკავშირის ინსტიტუტები	---	---	---	---	0,7	1,1	1,1	1,2	1,1	0,9	0,9	1,0
3.სტრუქტურა ეკონომიკური ფუნქციების მიხედვით												
მოსმარება	11,7	11,7	11,9	11,6	11,7	12,8	13,0	13,0	11,7	14,5	13,6	13,6
შრომა	17,3	16,8	16,9	16,6	16,3	15,3	15,2	15,8	17,5	18,7	18,2	17,1
დასაქმებულები	17,1	16,6	16,7	16,4	15,9	14,9	14,9	15,6	17,1	18,2	17,8	16,7
დამსაქმებლების მიერ გადახდილი	10,7	10,5	10,5	10,2	9,9	9,9	9,8	10,2	11,3	12,5	12,2	11,2
დასაქმებულების მიერ	6,4	6,1	6,2	6,2	5,9	5,1	5,1	5,4	5,8	5,7	5,6	5,5

გადახდილი												
დაუსაქმებლები	0,2	0,1	0,2	0,2	0,4	0,3	0,3	0,2	0,3	0,5	0,4	0,4
კაპიტალი	2,0	1,7	2,2	2,6	2,6	2,6	2,5	2,6	2,7	2,8	2,3	2,2
კაპიტალი და ბიზნესის შემოსავალი	1,4	1,1	1,6	2,1	2,0	2,0	2,0	2,1	2,1	2,2	1,7	1,6
კორპორაციების შემოსავალი	0,9	0,7	1,1	1,6	1,7	1,4	1,5	1,6	1,6	1,9	1,4	1,3
შინამეურნეობების შემოსავალი	0,2	0,1	0,2	0,2	0,1	0,3	0,2	0,2	0,2	0,1	0,1	0,1
თვითდასაქმებულთა შემოსავალი	0,3	0,3	0,3	0,3	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2
აქციები	0,7	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,6	0,5	0,6	0,6	0,6	0,6
4. გარემოს გადასახადები												
გარემოს გადასახადები	1,7	2,1	2,0	1,9	2,1	2,3	2,2	2,2	2,3	3,0	3,0	2,8
ენერჯია	1,2	1,6	1,5	1,5	1,8	1,9	1,8	1,8	2,0	2,6	2,6	2,5
საწვავზე მომუშავე ტრანსპორტის გადასახადი	1,1	1,5	1,4	1,4	1,7	1,8	1,7	1,7	1,7	2,2	2,1	2,0
ტრანსპორტის გადასახადი (საწვავის გარეშე)	0,2	0,2	0,2	0,0	0,1	0,1	0,1	0,1	0,0	0,0	0,0	0,1
დაბინძურება/რესურსები	0,25	0,31	0,29	0,31	0,24	0,29	0,33	0,34	0,34	0,39	0,31	0,30
5.ქონების გადასახადი	0,4	0,4	0,3	0,3	0,3	0,3	0,2	0,2	0,3	0,4	0,4	0,3
პერიოდული გადასახადები უძრავ ქონებაზე	0,4	0,4	0,3	0,3	0,3	0,3	0,2	0,2	0,3	0,4	0,4	0,3

საქართველოს საგადასახადო სფეროში განხორციელებული რეფორმები გადასახადების რაოდენობის შემცირების და მთლიანად ტვირთის შემსუბუქების მხრივ, მართალია პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს, მაგრამ მათი დაახლოება პირველ რიგში უნდა მოხდეს ევროკავშირის ახალი, აღმოსავლეთ ევროპული

სახელმწიფოების და ბალტიის პირეთის ქვეყნების შესაბამის ანალოგებთან (როგორც ვიცით ამ ქვეყნებში საგადასახადო ტვირთი გაცილებით ნაკლებია ვიდრე ევროკავშირის ძველ ქვეყნებში). ასეთი დაახლოება საქართველოს დაეხმარება უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

თავი 2. საქართველოში საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ტვირთის დონის ანალიზი

2.1. საგადასახადო ტვირთის ცნება, გაანგარიშებისა და ოპტიმიზაციის მეთოდები

საქართველოში საგადასახადო ტვირთთან დაკავშირებით მხედველობაშია როგორც კონცეპტუალური, ისე მისი ტერმინოლოგიური განმარტება, ერთიანი მიდგომა დღემდე არ არსებობს. „საგადასახადო ტვირთის“ სინონიმად განიხილება „საგადასახადო წნეხი“. **საგადასახადო ტვირთი (წნეხი, დაბეგერის კოეფიციენტი)** – ქვეყნის ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობაა მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატული პროცენტებში. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, სწორედ გადასახადების მეშვეობით ახდენს სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, რადგანაც იგი წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ძირითად ინსტრუმენტს. საგადასახადო ტვირთი იანგარიშება როგორც ქვეყნისათვის მთლიანად, ასევე მას ანგარიშობენ ინსტიტუციური ერთეულების (კორპორაცია, საწარმო) მიხედვით.

საგადასახადო ტვირთზე პირველი შეხედულებები უკავშირდება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეს, როდესაც ადამ სმიტმა თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხის სიმდიდრის მიზეზებსა და ბუნებაზე“ აღნიშნა, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირებით სახელმწიფო იგებს მეტს, სახსრების გამოთავისუფლებით შეიძლება მიღებულ იქნას დამატებითი შემოსავალი, რომლისგანაც ხაზინაში შევა გადასახადი.

ერთ-ერთი პირველი ვინც აღნიშნულ საკითხზე თავისი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა, იყო გერმანელი ეკონომისტი ფ. იუსტი (1705-1771). მან საგადასახადო ტვირთი მაკროდონეზე განმარტა როგორც ქვეყნის ბიუჯეტისა და ეროვნული შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ბიუჯეტიდან არ უნდა დაიხარჯოს ეროვნული შემოსავლის 1/6-ზე მეტი.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდის პრობლემას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებადი ისე განვითარებული ქვეყნებისათვის. საგადასახადო სისტემების აგების მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან 30%-მდე ამოღება, ეს ის ზომია,

რომლის ზემოთაც ფაქტობრივად შეუძლებელია ეფექტური სამეწარმეო საქმიანობა, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს დაგროვებისა და ინვესტიციების შემცირება ეკონომიკაში. სხვა სიტყვებით, სახელმწიფომ გადასახადის გადამხდელისაგან არ უნდა ამოიღოს მისი შემოსავლების 1/3-ზე მეტი.⁴⁵

საგადასახადო შემოსავლებისა და საგადასახადო განაკვეთების ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკული გამოსახულებაა ლაფერის მრუდი. ლაფერის მრუდის კონცეფციის არსი გამოიხატება დაბეგერის ოპტიმალური დონის პირობებში, რომლის დროსაც საგადასახადო შემოსავლები აღწევენ მაქსიმუმს. მოცემული ურთიერთდამოკიდებულება გამოკვლეულია ამერიკელი მეცნიერის არტურ ლაფერის მიერ, თუმცა იგი აღიარებდა, რომ მისი იდეა ეკუთვნოდა კეინსს და შუა საუკუნეების არაბ სწავლულ იბნ ხალდინს.

ზოგადად აღიარებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გადასახადების (საგადასახადო ტვირთის) შემცირება იწვევს ინვესტიციების სტიმულირებას. აქ იგულისხმება მეწარმეობაზე, ხელფასზე და დივიდენდებზე საგადასახადო განაკვეთის შემცირება. საჭიროა საინვესტიციო პროცესს მიეცეს სტიმულირება, რაც გამოიწვევს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და დამატებით გამომუშავებას. თავიანთ მსჯელობებში მეცნიერები ეყრდნობიან რა ლაფერის იდეას, ასაბუთებენ, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებისას, საბოლოო ანგარიშში იზრდება საგადასახადო ბაზა, მეტი პროდუქცია იძლევა მეტ გადასახადებს, მაღალი გადასახადები ამცირებენ საგადასახადო ბაზას და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. გადასახადის გადამხდელისაგან შემოსავლების მნიშვნელოვანი მოცულობის (40-50%) ამოიღება, ეს კი ის საზღვარია, რომლის ზემოთაც მეწარმეობას ეკარგება სტიმული.

ამჟამად, მსოფლიოში საყოველთაოდ დადგენილი საგადასახადო ტვირთის განაკვეთი არ არსებობს. ლაფერის მრუდის კონცეფციის თანახმად, მეწარმეთა დამატებული ღირებულების 35-40%-ზე მეტის ამოღება პროვოცირებას უკეთებს ინვესტიციების არაეფექტიანობას გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

საგადასახადო ტვირთის განხილვისას ცხოვრების დონესთან მიმართებაში, ზოგადად თვლიან, რომ გადასახადის გადამხდელთა დამოკიდებულება საგადასახადო სისტემასთან ახასიათებს ამ სექტორში სახსრების განაწილებას მშპ-სთან მიმართებაში. გადასახადის გადამხდელთათვის მიმზიდველია დაბალი

⁴⁵ Жидкова Е.Ю. Налоги и налогообложение, уч. Пособие , 2009. стр 77

საგადასახადო ტვირთი (15%-მდე).⁴⁶ თუმცა, სახელმწიფო ამ ზომის ტვირთის პირობებში ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას. მაღალგანვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ ასწიონ საგადასახადო შემოსულობების დონე, იმავდროულად ზრდიან მათ ეკონომიკაში და სოციალურ-კულტურულ სფეროში დაბრუნებადობას. ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ბიზნესის მდგომარეობისადმი ხელის შეწყობა. ამდენად მისი ოპტიმალური ზომის დადგენა მნიშვნელოვანი და ერთობ რთული მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათის პრობლემაა. მსოფლიოში დღემდე არ არსებობს საგადასახადო განაკვეთების ზომის განსაზღვრის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგია, რაც ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის ფორმირების ამოსავალი თეზაა. გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის სიდიდეზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ცალკეული გადასახადის ორადი ბუნება. პირველი, ჩვენი აზრით, ეს არის საწარმოს დონეზე ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული სახეების საწარმოთა ტიპების (მცირე, საშუალო, მსხვილი) და მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და წარმოების ციკლის თითოეული ეტაპის მიხედვით (მასალებისა და ნედლეულის შექმნა, პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია) გადასახადების რეალური დონის განსაზღვრა რაც უჯდება საწარმოს, ხოლო მისი მეორე ნაწილი გადამეტებულად აკრებილი ან არარაციონალურად გამოყენებული ბეგარაა, რომელსაც სახელმწიფო მართვის ორგანოები იყენებენ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო ისეთი ფუნქციების შესრულებისათვის, როგორცაა სახელმწიფოს თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცება, განათლებისა და ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა და ა.შ. ასევე, სახელმწიფოთა გაერთიანებებში (ევროკავშირი) თანამონაწილეობის ფაქტორის გათვალისწინება. ასე მაგალითად, რომელიმე ქვეყნის მაღალმა საგადასახადო განაკვეთებმა შეიძლება დააფრთხოს უცხოელი ინვესტორი და არ მოხდეს მოცემულ ქვეყანაში ახალი ინვესტიციების დაბანდება. პირიქით, საშუალოსთან შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები უფრო მეტად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს. ამდენად, გადასახადის პირობითად გამოყოფილი პირველი ნაწილი ხმარდება ისევ ბიზნესის განვითარებას, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნის მოქალაქეთათვის კოლექტიური და ინდივიდუალური

⁴⁶ http://en.wikipedia.org/wiki/Tax_incidence

მომსახურების შეთავაზებას. გადასახადების ორადი ბუნებიდან გამომდინარე⁴⁷, მისი მოცულობის დაყოფა აუცილებელ ბეგარად და გადამეტებულ ბეგარად ერთობ რთული პროცედურაა.

ახალი გადასახადების შემოღების განაკვეთების შემცირება-შემსუბუქების საკითხების განხილვა საზოგადოების მსჯელობის საგანია და შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ასეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტას მოსახლეობის საყოველთაო რეფერენდუმით აპირებს.

საგადასახადო ტვირთი განიხილება როგორც მიკრო (საწარმო, შინამეურნეობა, მოქალაქე) ისე მაკრო (ეკონომიკისათვის მთლიანად) დონეებზე. პირველ შემთხვევაში, ანუ საწარმოს დონეზე ტვირთი იანგარიშება სავალდებულო გადასახადების და გადასახდელების შეფარდებით შუალედურ მოხმარებასთან ან ბრუნვის მაჩვენებელთან ან დამატებულ ღირებულებასთან დროის ამა თუ იმ პერიოდში. საწარმოს დონეზე გაანგარიშებული საგადასახადო ტვირთი, ზემოხსენებული სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, ჩვენს მიერ განხილული იქნება დეტალურად შემდეგ თავებში.

ქვეყნის მიხედვით საგადასახადო ტვირთი ასევე იანგარიშება სხვადასხვა მაკრო მაჩვენებლების გამოყენებით. კერძოდ, ამა თუ იმ პერიოდში როგორც საგადასახადო შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი შეფარდებული მთლიან შიდა პროდუქტთან. ამდენად, საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას როგორც მიკრო ისე მაკრო დონეებზე დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე შემთხვევაში მნიშვნელისა და მრიცხველის სწორად განსაზღვრას. ისმის კითხვა: როგორი მეთოდით უნდა ვიანგარიშოთ საგადასახადო ტვირთი? ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მისი 2008 წლის ვერსია გვეუბნება, რომ იგი უნდა ვიანგარიშოთ დარიცხვის მეთოდით ანუ იმ მეთოდით, როცა დგება გადასახადის გადახდის ვალდებულება. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში ამჟამად მიმდინარეობს გადასახადების აღრიცხვაში საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლა, რომლის დასრულების შემდეგ ჩვენი საგადასახადო ტვირთის ანალიზი სრულ შესაბამისობაში იქნება დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან.

რა სახის გადასახადები უნდა შევიტანოთ საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელში? ესენია: საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი გადასახადები. (დამატებული ღირებულების გადასახადი; საშემოსავლო გადასახადი; მოგების

⁴⁷ ვ. ბასარია, რ. ბასარია, გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება?, ფსკი, თბილისი, 2002. გვ.107

გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი, ქონების გადასახადი). ეს გადასახადები იყოფა პირდაპირ გადასახადებად და ირიბ გადასახადებად. პირდაპირი გადასახადი წარმოადგენს გადასახადს გადამხდელის შემოსავლებზე და ქონებაზე, რომელთაც უშუალოდ იღებს სახელმწიფო.⁴⁸ ასეთი სახის გადასახადების ამოღება ხდება ფაქტობრივი გადახდისუნარიანობის პრინციპის მიხედვით და მათ მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და ქონების გადასახადი.

არაპირდაპირი გადასახადი ისეთი გადასახადია, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი), ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს, იმპორტიორს ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება.⁴⁹

განსხვავებულად იანგარიშება მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი. იგი ფორმულის სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

$$B_{pop} = T_{pop} : I_{pop} \times 100 \%$$

სადაც,

B_{pop} მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია;

T_{pop} მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

I_{pop} მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლების ჯამია.

საგადასახადო ტვირთის ანალიზისას ერთდერთი მნიშვნელოვანი საკითხია გადასახადების ოპტიმიზაცია. გადასახადების ოპტიმიზაცია ორგანიზაციის საგადასახადო დაბეგურის, რეგულირებისა და შიდა საგადასახადო კონტროლის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია. საწარმოს დონეზე სწორი საგადასახადო მენეჯმენტის განხორციელებისას გადასახადების გადახდის სიდიდის განსაზღვრა იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც გადასახადების ოპტიმიზაციის შედეგად გამონთავისუფლებული სახსრების დაბანდებისას

⁴⁸ თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე გადასახადები და დაბეგურა, თბ., 2011, გვ. 132

⁴⁹ თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე გადასახადები და დაბეგურა, თბ., 2011, გვ. 170

მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობა. მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგიანობაზე მსჯელობისას არა მარტო შემოსავლების ახალი წყაროების ძიებით უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ საგადასახადო ხარჯებისა და საგადასახადო მოგებაში დაბანდების გზების ძიებაზეც ვიფიქროთ. (სხვაობა საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზირებულ თანხებსა და საგადასახადო ხარჯებს შორის). სწორედ ეს გულისხმობს გადასახადების ოპტიმიზაციას, რომელიც როგორც უკვე ავლნიშნეთ ეფუძნება ეფექტურ გადაწყვეტილებებს. ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, გასაგებია რომ გადასახადების მინიმიზაცია და ოპტიმიზაცია ემსახურება ძირითად მიზანს, მიღწეული იქნეს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ტვირთის შემცირება.

საგადასახადო ოპტიმიზაციის განხორციელების მეთოდები მრავალფეროვანია. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი:

- დამოკიდებულებათა ცვლილების მეთოდი;
- დამოკიდებულებათა დანაწევრების (დაყოფის) მეთოდი;
- საგადასახადო გადასახდელის გადავადების მეთოდი;
- დასაბეგრი ობიექტის პირდაპირი შემცირების მეთოდი;
- საგადასახადო პასუხისმგებლობის სატელიტ-საწარმოებზე დელეგირების მეთოდი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებისა და პრეფინანსების მეთოდის მიღება; სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და ჯგუფებისათვის.

2.2 საქართველოში მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი

საგადასახადო ტვირთის ერთიანი უნივერსალური პარამეტრები მსოფლიოს ყველა ქვეყნებისათვის ჯერჯერობით არ არსებობს. მრავალი თანამედროვე დასავლური ქვეყნებისათვის საგადასახადო ტვირთს უდარებენ „ლაფერის მრუდს“, რომელიც თავის დროზე გაანგარიშებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკისათვის და მერყეობდა 35-40%-ის ფარგლებში მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში. ამ დროისათვის საგადასახადო ოპტიმუმი მიჩნეული იყო 37,5%. მოცემული ზღვრული მაჩვენებელი მრავალი სპეციალისტის მიერ ამჟამადაც მიჩნეულია საგადასახადო ტვირთის შედარებითი შეფასების ბაზად. ესეა განვიხილოთ თუ როგორი გაბნევა გააჩნია საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელს დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მიხედვით.

ცხრილი N18

მთლიანი საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით⁵⁰

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ავსტრია	41,4	42,8	44,2	44,1	43,8	43,0	44,9	43,6	43,4	43,0	42,1	41,5	41,7	42,7	42,6	42,0	42,0
ბელგია	43,8	44,3	44,8	45,4	45,4	45,1	45,1	45,2	44,7	44,8	44,8	44,4	43,9	44,2	43,4	43,9	44,1
ბრიტანეთი	34,7	34,4	34,8	35,9	36,2	36,7	36,5	34,9	34,7	35,2	36,0	36,7	36,3	37,9	34,8	35,6	36,1
ბულგარეთი	30,8	28,6	27,6	32,1	30,8	31,5	30,8	28,5	31,0	32,5	31,3	30,7	33,3	32,3	29,0	27,4	27,2
გერმანია	39,8	40,1	40,1	40,4	41,3	41,3	39,4	38,9	39,1	38,3	38,3	38,6	38,7	38,9	39,2	38,1	38,7
დანია	48,8	49,2	48,9	49,3	50,1	49,4	48,5	47,9	48,0	49,0	50,8	49,6	48,9	47,8	47,7	47,6	47,7
ესპანეთი	32,1	32,6	32,7	33,4	33,9	34,1	33,7	34,2	33,9	34,7	35,9	36,8	37,1	33,0	30,7	31,9	31,4
ესტონეთი	36,3	34,3	34,3	34,0	32,5	31,0	30,2	31,0	30,8	30,6	30,6	30,7	31,4	31,7	35,7	34,2	32,8
ირლანდია	32,7	32,8	32,1	31,4	31,5	31,3	29,5	28,3	28,7	30,0	30,5	32,0	31,3	29,6	28,2	28,2	28,9
იტალია	39,8	41,5	43,4	42,3	42,0	41,5	41,1	40,5	41,0	40,4	40,1	41,7	42,7	42,7	42,8	42,3	42,5
კვიპროსი	26,9	26,4	25,9	27,6	27,8	29,9	30,7	30,9	32,2	33,0	35,0	35,8	40,1	38,6	35,3	35,7	35,2
ლატვია	33,2	30,8	32,1	33,7	32,0	29,7	28,9	28,6	28,6	28,6	29,2	30,6	30,6	29,2	26,7	27,3	27,6
ლიტვა	27,5	27,1	30,6	31,7	31,7	29,9	28,5	28,2	28,0	28,1	28,4	29,2	29,5	30,0	29,2	27,1	26,0
ლუქსემბურგი	37,1	37,6	39,3	39,4	38,3	39,1	39,8	39,3	38,1	37,3	37,6	35,9	35,7	35,5	37,6	37,1	37,2
მალტა	26,8	25,4	27,5	25,6	27,3	27,9	29,7	30,6	31,1	32,6	33,7	34,0	34,8	33,8	34,3	33,3	33,5
ნიდერლანდები	40,2	40,2	39,7	39,4	40,4	39,9	38,3	37,7	37,4	37,5	37,6	39,0	38,7	39,2	38,3	38,8	38,4
პოლონეთი	37,1	37,2	36,5	35,4	34,9	32,6	32,2	32,7	32,2	31,5	32,8	33,8	34,8	34,3	31,8	31,8	32,4
პორტუგალია	29,5	30,2	30,2	30,3	31,0	31,1	30,9	31,5	31,7	30,6	31,5	32,3	32,8	32,8	31,0	31,5	33,2
რუმინეთი	27,5	25,9	26,4	29,0	31,0	30,2	28,6	28,1	27,7	27,2	27,8	28,5	29,0	28,0	26,9	27,2	28,2

⁵⁰ <http://ec.europa.eu/>

საბერძნეთი	29,1	29,4	30,6	32,5	33,3	34,6	33,2	33,7	32,1	31,3	32,2	31,7	32,6	32,2	30,5	31,0	32,4
საფრანგეთი	42,7	44,0	44,2	44,1	44,9	44,2	43,8	43,3	43,1	43,3	43,8	44,1	43,4	43,2	42,0	42,5	43,9
სლოვაკეთი	40,3	39,4	37,3	36,7	35,4	34,1	33,1	33,0	32,9	31,5	31,3	29,3	29,3	29,2	28,8	28,1	28,5
სლოვენია	39,0	37,8	36,7	37,6	37,9	37,3	37,5	37,8	38,0	38,1	38,6	38,3	37,7	37,2	37,6	38,0	37,2
უნგრეთი	41,0	39,9	38,3	38,2	38,9	39,8	38,7	38,0	38,0	37,7	37,4	37,3	40,4	40,3	40,1	37,7	37,0
ფინეთი	45,7	47,1	46,4	46,3	45,9	47,2	44,8	44,7	44,1	43,5	43,9	43,8	43,0	42,9	42,6	42,1	43,4
შვედეთი	47,9	50,3	50,7	51,2	51,5	51,5	49,4	47,5	47,8	48,0	48,9	48,3	47,3	46,4	46,7	45,8	44,3
ჩეხეთი	35,5	34,1	34,6	33,4	34,2	33,8	33,7	34,6	35,4	35,9	35,7	35,3	35,9	34,4	33,6	33,8	34,4
ნორვეგია	42,0	42,4	42,2	42,0	42,3	42,6	42,9	43,1	42,3	43,0	43,2	43,5	42,9	42,1	42,4	42,9	42,5
ისლანდია	33,3	34,3	34,6	34,4	36,8	37,1	35,3	35,2	36,7	37,8	40,6	41,4	40,5	36,6	33,8	35,0	35,9
EU-27 ⁵¹	39,3	39,9	40,1	40,2	40,6	40,4	39,5	38,8	38,8	38,7	39,0	39,5	39,4	39,3	38,4	38,4	38,8
EA-17 ⁵²	39,7	40,4	40,8	40,7	41,2	40,9	40,0	39,5	39,5	39,2	39,4	40,0	40,0	39,6	39,0	38,9	39,5

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საგადასახადო ტვირთის მოცულობა მკვეთრად განსხვავდება. ლიტვაში მთლიანი გადასახადების წილი მშპ-ში (საგადასახადო ტვირთი) შეადგენს 26,0%-ს, მაშინ როცა დანიაში მისი ოდენობა 47,7%-ს უახლოვდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირში საგადასახადო ტვირთი მაღალი დაბეგვრის მქონე ქვეყნებში 75%-ით მაღალია, ვიდრე დაბალი დაბეგვრის ქვეყნებში. ეს დიდი განსხვავებები ძირითადად დამოკიდებულია სოციალური პოლიტიკის არჩევანზე, საჯარო ან კერძო მომსახურების მიწოდებაზე, ისეთებზე, როგორცაა მოხუცთა პენსიები, ჯანმრთელობის დაზღვევა და განათლება, საჯარო დასაქმება და ა.შ. გარკვეულ როლს თამაშობს ასევე ტექნიკური ფაქტორებიც: ზოგიერთი წევრი ქვეყანა სოციალურ და ეკონომიკურ მომსახურებას ახორციელებს გადასახადების შემცირებით, ვიდრე პირდაპირი სახელმწიფო ხარჯებით, რადგან სოციალური ტრანსფერები და სოციალური შენატანები ზოგიერთ ქვეყანაში არ ექვემდებარება დაბეგვრას, თუმცა არა ყველა ქვეყანაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ს ღირებულება მოიცავს „ჩრდილოვან ეკონომიკას“. ასე რომ არა მხოლოდ დაბალია გადასახადებმა, არამედ მაღალი გადასახადების აღკვეთამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაბალი საგადასახადო ტვირთი.

გადასახადების თანაფრთობა მშპ-სთან ძირითადად უფრო მაღალია EU-15-ის წევრ ქვეყნებში (ეს ის 15 ქვეყანაა, რომელიც ევროკავშირში შევიდა 2004 წლამდე) ვიდრე NMS-12-ის წევრ ქვეყნებში. (12 ქვეყანა რომელიც ევროკავშირში შევიდა 2004-დან 2007 წლამდე). პირველი ცხრა პოზიცია საგადასახადო ტვირთის მხრივ უკავია EU-15-ის ქვეყნებს, გამონაკლისს წარმოადგენს ირლანდია და საბერძნეთი, რომელთა საგადასახადო ტვირთი ყველაზე დაბალია ევროპაში. EA-17-ის


⁵¹ ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა, რომლებიც 1.01.2007-დან გახდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები
⁵² ევროზონის 17 წევრი ქვეყანა, რომლებიც 1.01.2011-დან გახდნენ ევროზონის წევრი ქვეყნები

(ევროზონის 17 წევრი ქვეყანა 1.01.2011 წლიდან) ქვეყნები აჩვენებენ გაცილებით მაღალ საგადასახადო ტვირთს ვიდრე EU-27 - ის (ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა 1.01.2007 წლიდან) ქვეყნები.

მთლიანი საგადასახადო ტვირთის გადანაწილება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის მათი თვალსაჩინოდ გამოსახვის მიზნით მოტანილია ქვემოთ მოცემულ რუკაზე.

რუკა N1

*მთლიანი საგადასახადო ტვირთის გადანაწილება, მთლიანი გადასახადები როგორც მშპ-ს %, 2011*⁵³ (მუქი ფერი – მაღალი საგადასახადო ტვირთი, ღია ფერი – დაბალი საგადასახადო ტვირთი)




⁵³ <http://ec.europa.eu/>

ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის (EU-27) მონაცემების მიხედვით საგადასახადო ტვირთმა 2011 წლის მონაცემებით შეადგინა 38,8%, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 25%-ზე მაღალია. საგადასახადო ტვირთი მაღალია ევროკავშირში არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ 2 ქვეყანასთან შედარებით არამედ, სხვა მოწინავე ეკონომიკებთან შედარებითაც. რაც შეეხება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, ისინი ხასიათდებიან დაბალი საგადასახადო ტვირთით. ქვემოთ მოტანილია მონაცემები, რომლებიც ახასიათებს საგადასახადო ტვირთის მახასიათებელ მაჩვენებლებს ევროკავშირის, აშშ-სა და იაპონიის მაგალითზე.

გრაფიკი N4

მთლიანი გადასახადების შეფარდება მშპ-სთან % (ევროპა, აშშ, იაპონია) 2011,⁵⁴



ამრიგად, საგადასახადო ტვირთი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გაცილებით მაღალია ვიდრე აშშ-სა და იაპონიაში.

⁵⁴ <http://ec.europa.eu/>

ახლა განვიხილოთ თუ როგორ გამოიყურება საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2003-2012 წლების განმავლობაში და მოვახდინოთ მისი შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. საგადასახადო ტვირთის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი N19

საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2003-2012 წწ⁵⁵.

მაჩვენებელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მშპ. მიმდ. ფასებში მლნ. ლარი	8564	9824	11621	13790	16994	19075	17986	20743	24344	26167
საგადასახადო შემოსავლები მლნ. ლარი	1005	1530	1983	2647	3669	4753	4389	4867	6134	6671
საგადასახადო ტვირთი %	11,7	15,6	17,1	19,2	21,6	24,9	24,4	23,5	25,2	25,5

როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, საგადასახადო ტვირთი საქართველოში 2003 წლიდან მოყოლებული თანდათან მძიმდება და იგი 2012 წელს 2003 წელთან შედარებით 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო ტვირთი საქართველოში ყველაზე უფრო დაბალია ევროკავშირის როგორც ძველ, ისე ახალ სახელმწიფოებს შორის.

ჩვენს მიერ მოტანილი მონაცემების შედარებითი ანალიზი ევროკავშირის წევრი ქვეყნების, აშშ-ს, იაპონიისა და საქართველოს მიხედვით გაანგარიშებულია მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების ტიპიური ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს.

$$TB = \frac{TTI}{GDP} \times 100\%$$

სადაც:

TB_ საგადასახადო ტვირთია;

⁵⁵ www.geostat.ge

TTI_ მთლიანი საგადასახადო შემოსავალია;

GDP_ მთლიანი შიდა პროდუქტი.

მოცემული ფორმულის გაანგარიშებასთან დაკავშირებით გაგვაჩნია რამოდენიმე წინადადება, კერძოდ საქართველოს სინამდვილეში საგადასახადო ტვირთის მრიცხველში ასახული უნდა იყოს დარიცხული და არა გადახდილი (ბიუჯეტში ფაქტობრივად შემოსული) გადასახადები. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დარიცხული გადასახადები უნდა გავიანგარიშოთ როგორც ფაქტობრივად შემოსული გადასახადებისა და მოსაკრებლების, ასევე დავალიანებების გათვალისწინებით. ცხადია, ეს უკანასკნელი აწვევა გადასახადის გადამხდელს, იმდენად, რამდენადაც იგი უნდა იყოს განაღდებული და გადადის შემდგომ საანგარიშო პერიოდებში და იფარება საგადასახადო სანქციებით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მრავალი წლის მანძილზე გადასახადებისა და მოსაკრებლების დავალიანება ფაქტობრივ საგადასახადო შემოსულობებთან მიმართებაში დაახლოებით 20%-ს შეადგენს, ტვირთის გაანგარიშებისას მოცემული სიდიდით უნდა მოხდეს მშპ -ში გადასახადების წილის კორექტირება (გაზრდა).

შენიშვნები გვაქვს ტვირთის გაანგარიშებისას მშპ-ს საბაზო მაჩვენებლის გამოყენების მიმართაც. კერძოდ:

1. ისეთი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მშპ-ს მაჩვენებელში შეიტანება არაფორმალური ეკონომიკა. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, იგი მერყეობს 22-25%-ის ფარგლებში. ეკონომიკის მოცემული სექტორიდან უმეტესი ნაწილის გადასახადების აკრება და ბიუჯეტში შეტანა არ ხდება. ამდენად, საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას არაფორმალური ეკონომიკის შეტანა მშპ-ს შემადგენლობაში ხელოვნურად ამცირებს ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთს. ეხლა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ეკონომიკის არაფორმალური სექტორის საგადასახადო ასპექტებზე. არაფორმალურ ინსტიტუციურ ერთეულად განიხილება სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი ორგანოს მიერ დაურეგისტრირებელი და ფაქტობრივად მოქმედი საწარმო. სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი ტიპის საწარმოთა რეგისტრაციის სხვადასხვა პრაქტიკა არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში მათ აძალებენ, რომ ყველა დარეგისტრირდეს, იგულისხმება როგორც მცირე საწარმოები, ასევე არარეგულარულად მომუშავეები. სხვა ქვეყნებში რეგისტრაციის ვალდებულება წარმოიშევა მაშინ თუ ბრუნვის მაჩვენებელი და დასაქმებულთა რაოდენობა მიაღწევს გარკვეულ

დონეს. რეგისტრირებული იურიდიული პირები, კორპორაციები და კვაზი კორპორაციები უნდა ფლობდნენ ანგარიშთა სრულ ნუსხას აქტივებისა და პასივების ანგარიშის ჩათვლით. საქართველოში მოცემული სექტორის ძირითადი წარმომადგენლები არიან დაურეგისტრირებელი ტაქსის მძღოლები, დაურეგისტრირებელი რეპეტიტორები, კერძო პრაქტიკის მქონე სპეციალისტები და ა.შ. ბუნებრივია, ჩამოთვლილი კატეგორიის სუბიექტები, გარდა იმისა, რომ დაურეგისტრირებელი არიან და არ იხდიან გადასახადებს, მიეკუთვნებიან ეკონომიკის არაფორმალურ სექტორს და შესაბამისად, არ უნდა მოხდეს აღნიშნულის გათვალისწინება საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას. სხვადასხვა ქვეყანაში წარმოება არაფორმალურ ეკონომიკაში, ეკონომიკური პოლიტიკის თანახმად, სხვადასხვაგვარად არის მოწეობილი. თუ მისი მოტივაცია უბრალოდ მოსახლეობის არსებობისათვის გადარჩენაშია, ასეთი სახის წარმოება წახალისებული იქნება. თუ მოტივაცია მომდინარეობს გადასახადებიდან თავის არიდებაში, მაშინ ასეთი აქტივობები უნდა შემცირდეს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არაფორმალურ სექტორს განმარტავს, როგორც ერთეულების საქმიანობას დასაქმებისათვის, საქონლის (მომსახურების) შემოსავლის უპირატესად მიღების მიზნით. შრომითი ურთიერთობები მყარდება შემთხვევითი დასაქმებით, ნათესაური, პირადი ან სოციალური დამოკიდებულებით და არა ხელშეკრულებითი ურთიერთობებით და ოფიციალური გარანტიების დაცვით. საქართველოში მოცემული პრობლემა მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით ეროვნულ ანგარიშთა სისტემის 2008 წლის ვერსიის ამოქმედების შემდეგ, როდესაც გაიზარდა წარმოების საზღვრები ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ სექტორში, როგორც არის შინამეურნეობები. კერძოდ, შინამეურნეობებში მოცემულ ცვლილებამდე წარმოების საზღვრებში არ ითვლებოდა ისეთი საქმიანობები, რომელთა შესრულებისათვის არ არსებობდა საბაზრო ფასები და ამიტომ იგი შესაფასებლად და გასაზომად იყო ძნელი. ამჟამად, ასეთი საქმიანობების მსგავსი სახეები ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე.

2. მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი დამატებული ღირებულება თავიანთ თავში მოიცავს ეკონომიკაში ჩამოყალიბებული შემოსავლების ერთობლიობას, მათ შორის ამორტიზაციასაც. ამორტიზაციის ღირებულების შეტანა ტვირთის გაანგარიშების საბაზისო მაჩვენებელში (მშპ-ში) ასევე ამცირებს

გადასახადების რეალურ ტვირთს, მათი გადახდის წყაროებთან მიმართებაში. ამრიგად, ტვირთის გაანგარიშების ფორმულის მნიშვნელში საჭიროა ვისარგებლოთ წმინდა დამატებული ღირებულების მაჩვენებლით, ანუ რაც იგივეა მშპ-ს გამოკლებული დაუკვირვებადი ეკონომიკა და ამორტიზაციის თანხა. ამრიგად, საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების ფორმულა, მისი კორექტირების შემდგომ მიიღებს შემდეგ სახეს:

$$TB_1 = \frac{TTI + TA}{GDP - GDP \times IE - A} \times 100$$

სადაც,

TB₁ _ არის საგადასახადო ტვირთი;

TTI_ მთლიანი საგადასახადო შემოსავალია

TA_ დავალიანება გადასახადებისა და მოსაკრებლების მიხედვით;

GDP_ მთლიანი შიდა პროდუქტი;

IE_ არაფორმალური ეკონომიკის წილი მშპ-ში;

A_ საამორტიზაციო ანარიცხები.

ამრიგად, შემოთავაზებული ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$TB_1 = \frac{ATF}{VAMP} \times 100$$

სადაც,

TB₁ _ არის საგადასახადო ტვირთი;

ATF_ დარიცხული გადასახადები და მოსაკრებლები;

VAMP_ დამატებული ღირებულება საბაზრო ფასებში;

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულ პრობლემას მრავალმხრივი დატვირთვა გააჩნია მშპ-ს მონეტარული და არამონეტარული შემადგენლობის ანალიზისას. ერთის მხრივ, არამონეტარული მშპ ზრდის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებას ქვეყნის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. ამ მხრივ, კარგ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შინა მეურნეობების მომსახურე

არაკომერციული ორგანიზაციების ინსტიტუციურ სექტორში შექმნილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება. იმის გამო, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვერ ახერხებს ეას-ის ძირითადი ანგარიშების აგებას მოცემული ინსტიტუციური სექტორის მიხედვით, ქვეყნის მშპ-ში არასრულად იანგარიშება მოსახლეობისათვის გაწეული ისეთი სახის მომსახურების ღირებულება, როგორც არის რელიგიური ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოსახლეობის ყველაზე უფრო გამორჩეული აქტივობა სწორედ რელიგიურ სფეროში ვლინდება. ამ მხრივ, ბოლო წლების მთლიანი შიდა პროდუქტი სრულად არ მოიცავს ეკლესია-სამლოცველოების მშენებლობას, საეკლესიო პროდუქციის წარმოებას (სანთლები, ხატები, წიგნები), მღვდელ მსახურთა მიერ მოსახლეობაზე გაწეულ მომსახურებას და ა.შ. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ეკონომიკური აქტოვობები ისეთი სფეროებია, რომლებიც არა მარტო გაზრდის მშპ-ს წლიურ ღირებულებას, არამედ დინამიკაში ზრდის მახასიათებლებითაც ხასიათდება. ამჟამინდელი შეფასებით, შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების წილი საქართველოს მშპ-ს წლიურ ღირებულებაში შეადგენს მის 0,6%-ს რაც მეტად შემცირებულად გვეჩვენება. როგორც ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობით ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობები განთავისუფლებულია საგადასახადო დაბეგვრისაგან. ამრიგად, მშპ-ს მოცულობის ზრდა კარგია ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიკური სურათისათვის, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები რიგი საერთაშორისო ვალდებულებებისა, რომელთა შორის ფიგურირებს საგადასახადო შემოსავლებიც. ასე მაგალითად, მასტრიხტის კრიტერიუმებით, ევროპის ცენტრალური ბანკი მუდმივად თვალყურს ადევნებს გარკვეული კრიტერიუმების შესრულებას. კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 3%-ს, სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს, უნდა შენარჩუნდეს ფასების სტაბილურობა და ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი შემოწმებამდე ერთი წლის განმავლობაში. ინფლაცია 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემებს, უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს 2%-ზე მეტად, უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

კოპენჰაგენის კრიტერიუმებით ევროკავშირში გაწევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ სამ კრიტერიუმს, ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სფეროები. ეკონომიკური კრიტერიუმებიდან ძირითადი ციფრობრივი პარამეტრები ასეთია: ბოლო ოთხ წელიწადში მშპ-ს საშუალო წლიური მატება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,1 %-ს, ინვესტიციების ხვედრითი წილი მშპ-ში 22,8%-ს, საგადასახადო შემოსავლები მშპ-ს მიმართ 32%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს მიმართ-არაუმეტეს 3,3%-ს და ა.შ.⁵⁶

⁵⁶ ე. ბარათაშვილი, საქართველოს რეგიონული გათვითარების ეკონომიკა, თბ., 2007, გვ.302-304

2.3 საქართველოში საწარმოების (კორპორაციების) დონეზე და საქმიანობის სახეების მიხედვით საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი

საგადასახადო ტვირთი საწარმოში იანგარიშება რამოდენიმე გზით. ესენია:

$$1. B_{ent} = \frac{T_{ent}}{I_{cons}} \times 100$$

სადაც,

B_{ent} _ საწარმოს საგადასადო ტვირთია;

T_{ent} _ საწარმოს მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

I_{cons} _ შუალედური მოხმარებაა.

$$2. B_{ent} = \frac{T_{ent}}{T_{rate}} \times 100$$

სადაც,

B_{ent} _ საწარმოს საგადასადო ტვირთია;

T_{ent} _ საწარმოს მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

T_{INC} _ საერთო შემოსავალია.

$$3. B_{ent} = \frac{T_{ent}}{V_{added}} \times 100$$

სადაც,

B_{ent} _ საწარმოს საგადასადო ტვირთია;

T_{ent} _ საწარმოს მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

V_{added} _ დამატებული ღირებულება.

განსხვავებულად იანგარიშება მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი. იგი ფორმულის სახით შემდეგნაირად შეიძლება გამოვსახოთ:

$$B_{pop} = \frac{T_{pop}}{I_{pop}} \times 100$$

სადაც,

B_{pop} მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია;

T_{pop} მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების ჯამია;

I_{pop} მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლების ჯამია.

ახლა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთის საწარმოს მიხედვით გაანგარიშებაზე, რისთვისაც ჩავატარეთ შესაბამისი კვლევა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საწარმოს ტვირთი = (მოგების გადასახადი + ქონების გადასახადი + იმპორტის გადასახადი + საშემოსავლო გადასახადი + აქციზი) / მთლიან შემოსავალთან.

გამოკვლევას დავუქვემდებარეთ საქსტატის ინფორმაციულ ბაზაში არსებული 2011 წლის აქტიურ საწარმოთა 60 ათასი ერთეული. აქედან არჩეულ იქნა 9734 საწარმო. მათ შორის: მსხვილი – 2803, საშუალო 2546 და მცირე 4385. შერჩევა განვახორციელეთ სტრატეფიცირებული ჯგუფების გამოყოფით, ხოლო ჯგუფების შიგნით საწარმოების არჩევა მოვახდინეთ მარტივი შემთხვევითი შერჩევის მიხედვით.

ინფორმაციის დამუშავება მოვახდინეთ კომპიუტერული პროგრამების: MS Access; MS excel, SPSS გამოყენებით.

ისმის კითხვა რატომ შევარჩიეთ საქსტატის ინფორმაცია და არა ფინანსთა სამინისტროსი. საწარმოების მიხედვით ორივე უწყებაში არსებული ჩვენთვის საინტერესო (საგადასახადო ტვირთის კომპონენტები) მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიამ გვიჩვენა, რომ საქსტატის ინფორმაცია ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად იანგარიშება დარიცხვის მეთოდით, ე.ი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. მაგალითისათვის ავიღოთ მოგების მაჩვენებელი და შესაბამისად მოგების გადასახადი. თითოეული საწარმოს მიხედვით ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული ბაზა შედგენილია საწარმოებზე მოგების არა მარტო შესასწავლი წლის მაჩვენებლის გაანგარიშების სქემის მიხედვით, არამედ მასში შეიძლება ასახვა პპოვოს წინა წლების გადაუხდელობა დავალიანებაზე, ან მიმდინარე წლის გადასახადის წინასწარმა ჩარიცხვის თანხებმა. ამდენად, საანგარიშო წელი არ არის მკაცრად გამოკვეთილი. რაც შეეხება საქსტატის ინფორმაციულ ბაზას, იგი

მხოლოდ საანგარიშო წელს გაწეული შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზს ეხება და ამდენად იგი პასუხობს მშპ-ს გაანგარიშების მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომ საწარმოთა საქმიანობის შედეგი გაანგარიშებული იქნეს მიმდინარე წელს შექმნილი საქონლისა და მომსახურების მიხედვით. კიდევ ერთი დაზუსტების შესახებ. შერჩევაში მოხვედრილი 9734 საწარმოდან თითოეული მათგანის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისათვის ამოვიღეთ 2158 ინდმეწარმე, იმ მოტივით, რომ ამ ტიპის ინსტიტუციურ ერთეულებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსით უკვე განსაზღვრულია გარკვეული შეღავათები ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაში. ამდენად გამოკვლევას დავუქვემდებარეთ 7576 საწარმო. აქედან მსხვილი საწარმო იყო 2661, საშუალო 2146 და მცირე 2769. შემოთავაზებული სქემის მიხედვით თითოეულ საწარმოზე გავთვალეთ საგადასახადო ტვირთი და შემდეგი სურათი მივიღეთ.

ცხრილი N 20

საწარმოთა ტვირთი საწარმოების ტიპების (სიდიდის) მიხედვით⁵⁷

საწარმოთა ტიპები	საწარმოთა რაოდენობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი %-ში
სხვილი	2661	26,12
საშუალო	2146	29,29
მცირე	2769	29,12
სულ	7576	28,11

როგორც მოტანილი მონაცემები მეტყველებს მთელი საწარმოების მიხედვით საშუალო საგადასახადო ტვირთს 2 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება მსხვილ საწარმოთა ტვირთი. ეს განსხვავება კიდევ უფრო შესამჩნევია თავად მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის. კერძოდ, საშუალო და მცირე საწარმოებში საგადასახადო ტვირთი 3%-ით მეტი არის მსხვილ საწარმოებთან შედარებით.

⁵⁷ ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

არანაკლებ საინტერესო არის საგადასახადო ტვირთის ანალიზი საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. მას შემდეგი სახე აქვს:

ცხრილი N21

საწარმოს ტვირთი საქმიანობის სახეების მიხედვით 2011 წ.⁵⁸

სექცია	საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობა	საშუალო საგადასახადო ტვირთი %ში
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	31,4
B	თევზჭერა, მეთევზეობა	32,1
C	სამთომშობვებითი მრეწველობა	40,8
D	დამამუშავებელი მრეწველობა	28,3
E	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის მომარაგება	27,9
F	მშენებლობა	35,3
G	ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი	23,8
H	სასტუმროები და რესტორნები	27,8
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	23,3
K	ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	38,7
L	განათლება	23,0
M	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	22,1
N	კომუნალური მომსახურება	32,3
სულ	გამოკვეთილი საწარმოები	28,1

⁵⁸ ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ტვირთი ყველაზე დაბალია ვაჭრობით, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტით დაკავებულ საწარმოებში, ხოლო ყველაზე მაღალი კი სამთომომპოვებითი მრეწველობის საწარმოებში. ტვირთის ანალიზისას ზოგადად ასეთი ტენდენცია ჩამოყალიბდა. ტვირთი მაღალია საქონელმწარმოებელ დარგებში და დაბალი მომსახურების დარგებში⁵⁹.

მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების მიხედვით საგადასახადო ტვირთი რამდენადმე განსხვავებულია მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების საწარმოების მიხედვით. საწარმოთა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე უფრო დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ (d₁) ჯგუფებად. მოცემულ შემთხვევაში საწარმოთა საგადასახადო ტვირთის მიხედვით რანჟირებული მწკრივი უნდა დავეყოს 10 თანაბარ ნაწილად. პირველი დეცილი (d₁) ერთობლიობას ყოფს 1/10–9/10–თან შესაბამისად, მეორე დეცილი (d₂) 2/10 – 8/10 –თან და ა.შ.

დეცილების გამოანგარიშება მოვახდინოთ იგივენაირად როგორც ანგარიშობენ მედიანას.

კერძოდ,

$$d_1 = X d_1 + i \cdot \frac{(\frac{1}{10} \sum F - S d_1 - 1)}{f d_1}$$

$$d_9 = X d_9 + i \cdot \frac{(\frac{9}{10} \sum F - S d_9 - 1)}{f d_9}$$

ახლა ჩვენი დაკვირვების არეში მყოფი საწარმოები დავეყოს 10 ნაწილად.

⁵⁹ აქ და შემდეგ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქონელმწარმოებელი დარგების მიხედვით გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნება ხდება

საწარმოების განაწილება დეცილურ ჯგუფებად ტვირთის ზომის მიხედვით⁶⁰

ჯგუფის ნომერი	ტვირთის მინიმუმი	ტვირთის მაქსიმუმი	საწარმოთა რაოდენობა
1	0.028	9.996	867
2	9.996	19.964	1952
3	19.964	29.931	2129
4	29.931	39.899	1137
5	39.899	49.866	601
6	49.866	59.834	363
7	59.834	69.802	241
8	69.802	79.769	116
9	79.769	89.737	89
10	89.737	99.705	81

პირველი დეცილური ჯგუფის

$$ND_1 = (\sum f) \cdot \frac{1}{10} = \frac{7576}{10} = 757,6$$

$$D_1 = 0,028 + 9,967 \cdot \frac{7576 - 0}{867} = 8,738$$

მე - 9 დეცილური ჯგუფის ნომერი

$$ND_9 = (\sum f) \cdot \frac{9}{10} = 6818,4$$

$$D_9 = 49866 + 9,967 \cdot \frac{6818,4 - 6,686}{365} = 53,5$$

⁶⁰ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოების მინიმალურ 10%-ს აქვს ტვირთის 8,7%-ი, ხოლო უდიდესი ტვირთის მქონე საწარმოების 10%-ს კი ტვირთის 53,5%-I, რაც 6-ჯერ მეტია უმცირესზე. (საშუალო ტვირთი 28,11%-ია). ამდენად, საგადასახადო ტვირთის დიფერენციაციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

2.4 საქართველოში მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება და ანალიზი

არსებითად განსხვავებულია საგადასახადო ტვირთის გაანგარიშება მოსახლეობისათვის. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ საწარმოებისათვის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას გამოვიყენეთ ისეთი მაჩვენებლები, როგორც არის ბრუნვა, მოგება, შრომის ანაზღაურება, შემოსავალი. მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას ტრადიციულად მხედველობაში იღებენ **საშემოსავლო გადასახადის და ქონების გადასახადის შეფარდებას მოსახლეობის ფულად შემოსავლებთან**. ამრიგად, შემოადნიშნული შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმულით:

$$\text{მსტ} = (\text{მდგ/მფშ}) \times 100\%$$

სადაც,

მსტ - მოსახლეობის საგადასახადო ტვირთია;

მდგ - მოსახლეობის დარიცხული გადასახადებია;

მფშ - მოსახლეობის ფულადი შემოსავლები

მოცემული ტრადიციული ფორმულის მრიცხველში შეიტანება საანგარიშო პერიოდის მანძილზე გადახდილი საშემოსავლო გადასახადი და ქონების გადასახადი, ხოლო მნიშვნელში-მოსახლეობის ფულადი შემოსავლები.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ მოცემული ფორმულის მრიცხველისა და მნიშვნელის კომპონენტები და შევეცადოთ გათანამედროვეებული სახით წარმოვიდგინოთ ზემოთ მოტანილი ფორმულა. დავიწყოთ საშემოსავლო გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მიღებული შემოსავლის 20%-ით. გარდა იმ მოქალაქეებისა რომელთა შემოსავალი დაბალია ქვეყანაში მოქმედ საარსებო მინიმუმზე. ამ ბოლო კატეგორიის შემოსავლების მქონე ფიზიკური პირები განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან. წინადადებები საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ოპტიმიზაციის შესახებ გადმოცემული იქნება შემდეგ თავებში. იგივე ეხება ქონების გადასახადსაც. რაც შეეხება ფორმულის მნიშვნელს, აქ მოცემულია მოსახლეობის ფულადი შემოსავლები. მათ შორის ყველაზე დიდი წილი მოდის ხელფასზე.

ახლა შევეცადოთ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით, შინამეურნეობებში წარმოების საზღვრების გაფართოებისა და შემოსავლების განაწილების, მოხმარებისა და სიმდიდრის ფაქტორების მხედველობაში მიღებით გავათანამედროვოთ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის დეფინიცია და შესაბამისად მისი ფორმულა.

საგადასახადო ტვირთი მოსახლეობისათვის განვიხილოთ როგორც ცენტრალური ისე მუნიციპალურ მმართველობაში დაწესებული გადასახადებისა და გადასახდელების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში ფორმულის მრიცხველს დაემატება კომუნალური გადასახადები (წყალი, ელ. ენერჯია, გაზი, დასუფთავების გადასახადი, საქალაქო სატრანსპორტო გადასახადი). ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დასუფთავების გადასახადი მისი გაანგარიშების გაუგებარი მეთოდოლოგიით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს ნახშირქანგის+ გადასახადით, რომლის გაანგარიშების საფუძველი იქნება თითოეული შინამეურნეობის მიერ მოხმარებული ელექტრომატარებლების რაოდენობა.

რაც შეეხება მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გასაანგარიშებელი ფორმულის მნიშვნელს, აქ აუცილებელია ასახვა ჰპოვოს მოსახლეობის შემოსავლებმა (როგორც დაქირავებული შრომით მიღებულმა ისე თვითდასაქმებით) ასევე მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებელმა. ევროკავშირში უკვე ითვალისწინებენ მოსახლეობის შემოსავლების კვლევებს, რომელთა შორის ფულად და სხვა სახის შემოსავლებს უმატებენ მოსახლეობის სიმდიდრის მაჩვენებლებს. ეს გარემოება იმით არის გათვალისწინებული, რომ მოსახლეობას შეიძლება არ ჰქონდეს სტაბილური მიმდინარე შემოსავალი, მაგრამ ეს მათ ნაკლებად აწუხებთ იმის გათვალისწინებით, რომ მათ ჰქონდეთ მიმდინარე და წინათაობების მიერ დაგროვილი ქონება და მათი მთავარი ამოცანაა ეს სიმდიდრე აქციონ სტაბილური შემოსავლის წყაროდ (უძრავი ქონების გაქირავება, ფულადი აქტივების განთავსება საბანკო დეპოზიტებზე და ა.შ). კონცეპტუალური თვალსაზრისით, შემოსავლების გვერდით სიმდიდრის ელემენტების განთავსება მისაღები თეზაა, თუმცა რამდენად სარწმუნო და უტყუარი იქნება მოსახლეობის მიერ ოფიციალურ ორგანოებში წარმოდგენილი ინფორმაცია, ეს საკითხავია. მოცემული ინფორმაციების წყაროებად შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებში წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციები. ასეთი ინფორმაციების მოპოვების კარგ საშუალებად გვესახება მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მასალებთან ერთად შინამეურნეობებში მცხოვრები

თითოეული წევრის მიხედვით შემოსავლებსა და სიმდიდრეზე სააღწერო დეკლარაციების შევსება. რა თქმა უნდა, მათი გამჟღავნებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის გარანტიებით.

რატომ ხდება რომ მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები ნაკლებად შეისწავლება თანამედროვე ეკონომიკურ პუბლიკაციებში. იმის გამო, რომ საკითხი მეტად რთულია და მეცნიერები თავს არიდებენ მის ემპირიულ და თეორიულ კვლევებს, თუ პრობლემა იმდენად ნათელია, რომ არ ღირს მისი კვლევისადმი დიდი შრომითი და ფინანსური რესურსების დახარჯვა. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, საკითხი მართლაც რთული და ამავე დროს აქტუალურია, მით უფრო, საჭირო ინფორმაციული რესურსების სიმწირის ან საერთოდ არ არსებობის პირობებში.

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ფორმულაში, კერძოდ, მის მრიცხველში ქონების გადასახადის შემოტანამ შეიძლება ერთგვარი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვიოს მოქალაქეთა იმ კატეგორიაში, ვინც ფლობს საკმაოდ დიდი მოცულობის უძრავ ქონებას. მოცემული გადასახადის განაკვეთიდან გამომდინარე მსოფლიოს ქვეყნებში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით მოსახლეობის მაღალმა საგადასახადო ტვირთმა შეიძლება ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს ეკონომიკაზე, თუმცა ეკონომიკისათვის ასევე მიუღებელია დაბალი საგადასახადო ტვირთიც. დაბალმა განაკვეთმა მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე შეიძლება გამოიწვიოს სპეკულაციური საინვესტიციო გარიგებები და უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალური შემოსავლებისა და შესაბამისად, მუნიციპალური პროგრამების შესრულებაში ხელის შეშლა.

მოსახლეობის ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის შეფასება მუდმივ მონიტორინგს დაქვემდებარებული საკითხია და მისი გაანგარიშება სასურველია ოფიციალური ორგანოების მიერ ყოველწლიურად მოხდეს. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული შინამეურნეობების შემოსავლების მონაცემებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო გადასახადის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის მახასიათებელი მაჩვენებლების აგება. (იხ. ცხრილი N 23)

საქართველოს მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი 2005-2011 წლებში

მაჩვენებლები	2005	2008	2009	2010	2011
1. მოსახლეობის წლიური შემოსავლები მლნ. ლარი. ⁶¹	4238,4	6536,4	6904,8	7790,4	8533,2
2. საშემოსავლო გადასახადი მლნ. ლარი ⁶²	290,7	1296,3	1119,0	1202,1	1551,1
3. მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი, %	6,8	19,8 ⁶³	16,2	15,4	18,1

მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებაში სათანადო სტატისტიკური მასალის უქონლობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო მოსახლეობის ქონების მაჩვენებლებმა, რომელიც ექსპერტული შეფასებით სულ მცირე ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით დაახლოებით 140 ათასი ლარის (78 ათასი აშშ დოლარის იმ დროინდელი კურსით) ექვივალენტურია⁶⁴, რაც ბუნებრივია გაზრდიდა ტვირთის მახასიათებელ მაჩვენებლებს.

ფიზიკური პირების დაბეგვრის პროცესის გაუმჯობესებაში ერთ-ერთი პროგრესული ნაბიჯი იყო ახალი მთავრობის გადაწყვეტილება საარსებო მინიმუმის სიდიდეზე (150 ლარი თვეში) ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. ამ მიზნით შემოღებულია დაუბეგრავი მინიმუმი.

ჩემი აზრით, შემდეგი ნაბიჯი რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფიზიკური პირების დაბეგვრას - ესაა პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მექანიზმის შემოღება ე.ი საშემოსავლო გადასახადი უნდა გაიზარდოს ხელფასისა და სხვა სახის შემოსავლების ზრდასთან ერთად. ასეთი პრაქტიკა ამჟამად საქართველოში არ არის დამკვიდრებული და საარსებო მინიმუმის ზემოთ მყოფი მოსახლეობა

⁶¹ www.geostat.ge

⁶² www.mof.ge

⁶³ 2008 წელს 2005 წელთან შედარებით საგადასახადო ტვირთის ასეთი ზრდა განპირობებულია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით - გაუქმდა სოციალური გადასახადი, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 12-დან 25 %-მდე.

⁶⁴ „საქართველოს ეკონომიკა“, თბილისი, „სიახლე“, 2012, გვ. 88

განურჩევლად ყოველთვის სახელფასო შემოსავლის სიდიდისა, იხდის მის 20%-ს. აღნიშნული არ მიგვაჩნია სამართლიან ნორმად, რადგან სხვადასხვა შემოსავლის მქონე ადამიანები არ შეიძლება იბეგრებოდნენ თანაბარი საპროცენტო განაკვეთით, რადგან ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ტვირთი და ცხოვრების პირობები მცირე შემოსავლიან ფიზიკურ პირს გაცილებით მძიმე ექნება.

ამჟამად, საშემოსავლო გადასახადი ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და მის სტრუქტურაში სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს. მოცემული გადასახადი მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის განმსაზღვრელი მაჩვენებელია და ამდენად, იგი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მოცემული გადასახადი ასრულებს როგორც ფისკალურ ფუნქციას, ისე სოციალურ ფუნქციას. მას შეუძლია ასევე შეასრულოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, ეს არის გამანაწილებელი ფუნქცია. თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განმარტებული მოცემული გადასახადის 20-პროცენტიანი განაკვეთი ასეთი ფუნქციის შესრულებას აფერხებს და ვერ უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნას „მდიდრები იხდიან მეტს, ვიდრე ღარიბები“.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მოცემული გაანგარიშების ბაზად ითვლება ერთიანი მთლიანი შემოსავალი, რომელიც თავისთავად ითვალისწინებს დაქირავებით მომუშავე პერსონალის ხელფასს, პრემიებს, ხელფასზე დანამატებს და წახალისებებს. მოცემული გადასახადის საგადასახადო ბაზაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა ობიექტების ფლობისა და სარგებლობისათვის სხვადასხვა შეღავათები შეაქვთ. ასე მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გადასახადით იბეგრება სახლების ფლობისაგან მიღებული შემოსავლები გადასახადის გადამხდელების მათში ცხოვრებისათვის; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მოცემული გადასახადის საგადასახადო ბაზაში შეაქვთ პენსიები; ავსტრალიას, ნორვეგიას, დიდ ბრიტანეთს, ფინეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანას კი - უმუშევართათვის გაცემული შემწეობები.

საგადასახადო პოლიტიკის და შესაბამისად ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იცვლება საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთები. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1980 წლამდე მოქმედებდა 14 %-დან 70 %-მდე 25 სხვადასხვა ჯგუფის დასაბეგრი შემოსავლები. შემდეგ ისინი შეიცვალა ორი

განაკვეთით 15% და 39,6%-ით. ამჟამად მოქმედებს პროგრესული დაბეგვრის სისტემა, რომლის თანახმად მაღალი შემოსავლის მფლობელები იხდიან მეტ საშემოსავლო გადასახადს შემოსავლის ზრდის მიხედვით. ასეთივე წესია ევროპაში და მიმდინარე წელს განხორციელებულმა ასეთმა ნოვაციებმა ბევრი ცნობილი მსახიობი და სხვა სახელოვანი ადამიანი აიძულა გადასულიყო ისეთ ქვეყნებში სადაც საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით უფრო დაბალია. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მიუხედავად მოსახლეობის საგადასახადო ტვირთის სიმძიმისა, საგადასახადო შემოსავლით დასაბეგრი ერთობლივი შემოსავლიდან გამოთიშავენ მოცემულ ქვეყანაში მოქმედი საარსებო მინიმუმის ტოლ თანხას და მას დაუბეგრავ საგადასახადო მინიმუმს უწოდებენ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასევე იყენებენ დასაბეგრი ბაზიდან ბავშვების ხარჯებისათვის საჭირო თანხის გამოკლების პრაქტიკას. ზემოთაღნიშნულიდან პირველი უკვე მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, მეორე-არა.

ახლა გაგაანალიზოთ თუ როგორ გამოიყურება ქვეყანაში დაქირავებით მომუშავეების, მათი დარიცხული ხელფასისა და საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა 2007-2011 წლების მიხედვით.

ცხრილი 24

დაქირავებით მომუშავეები, მათი დარიცხული ხელფასი და საგადასახადო შემოსავლები 2007-2011 წლების მიხედვით⁶⁵

მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011
დაქირავებით მომუშავეები ათ.კაცი	625,4	572,4	596,0	618,6	632,0
ყოველთვიური საშუალო ხელფასი, ლარი	368,1	534,9	556,8	597,6	636,0
საშემოსავლო გადასახადი მლნ.ლარი	526,9	1296,3	1119,0	1202,1	1551,1

⁶⁵ www.geostat.ge

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს 2007-2011 წლებში დაქირავებით მომუშავეების საშუალოდ ყოველწლიურად 1,60 ათასი კაცით მომატების პირობებში, ყოველთვიური საშუალო ხელფასი იზრდებოდა 1,2-ჯერ, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მაჩვენებელი 1,3-ჯერ. ხელფასისა და საშემოსავლო გადასახადის ესოდენ სწრაფი ზრდის პირობებში სულ უფრო აქტუალურია დაქირავებით მომუშავე ადამიანების ხელფასის დონის მიხედვით საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო განაკვეთის დიფერენციაციის საკითხის დღის წესრიგში დაყენება. ჩვენს მიერ წამოყენებულ იდეას ამტკიცებს, ერთი მხრივ, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხელფასის და, მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლები მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ფენების მიხედვით.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოსახლეობის შემოსავლების დეცილურ ჯგუფებად განაწილების მონაცემები მეტყველებენ, 2000 წლიდან მოყოლებული, მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის წილად მოდის მოსახლეობის მთელი შემოსავლების დაახლოებით 35%, ეს მაშინ როდესაც ყველაზე ღარიბი მოსახლეობის შემოსავლებს მოსახლეობის მთელი შემოსავლების მხოლოდ 1% უჭირავს. დაახლოებით ასეთივე პროპორციებია შენარჩუნებული საშუალო ყოველთვიური ნომინალური ხელფასის მიხედვით, რომელსაც მოსახლეობის შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს.

ახლა განვიხილოთ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელიც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მასალების ანალიზს ეძღვნება. კვლევის მიზანს, როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ფიზიკური პირთა საშემოსავლო გადასახადისა და საერთო შემოსავლების ურთიერთშეფარდებით მიღებული საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის ანალიზი. კერძოდ, დადგენა იმისა, თუ როგორ არის ტვირთი გადანაწილებული ამ ტიპის საგადასახადო გადამხდელთა შორის დეცილური ჯგუფების მიხედვით. ფიზიკური პირების ზემოაღნიშნული გენერალური ერთობლიობა კვლევის დაწყებამდე გავანთავისუფლეთ ისეთი ერთეულებისაგან, რომლებიც ტვირთის ანალიზისას არ ქმნიდნენ რეალურ სურათს და ვისი ტვირთის დონე არ აღემატებოდა 0,0001-ს.

ასეთი ანომალური ერთეულებისაგან გათავისუფლების შემდეგ 75 ათასი შერჩევაში მოხვედრილი 75 ათასი პირიდან კვლევას დაუქვემდებარეთ 49 111

ფიზიკური პირი. თითოეული ფიზიკური პირის მიხედვით გავიანგარიშეთ საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი და ამერიკელი მეცნიერის სტერჯერსის ფორმულის გამოყენებით $h=(X_{max}-X_{min})/n$ მოვახდინეთ ტვირთის კოეფიციენტის მიხედვით საწარმოთა დაჯგუფება 10 ჯგუფის მიხედვით.

ფიზიკურ პირთა გენერალურ ერთობლიობაში ტვირთის მინიმალური კოეფიციენტი იყო 1 ხოლო მაქსიმალური-20. დასაჯგუფებლად სასურველ ჯგუფებთა რაოდენობა-10, ე.ი $n=10$. ზემოთ განხილულ ფორმულაში მნიშვნელობების შეტანით h ანუ ტვირთის მიხედვით ინტერვალის სიდიდე ტოლი იქნება $h = (20-1)/10=1,9$. მოცემული ინტერვალის მიხედვით მოვახდინეთ ფიზიკური პირების დაჯგუფება.

ცხრილი N25

ფიზიკური პირების განაწილება საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის მიხედვით⁶⁶

ჯგუფები ტვირთის კოეფიციენტების მიხედვით	ფიზიკური პირების რაოდენობა
1 – 2,9	25127
2,9 – 4,8	8121
4,8 – 6,7	3414
6,7 – 8,6	1795
8,6 – 10,5	1270
10,5 – 12,4	1005
12,4 – 14,3	894
14,3 – 16,2	861
16,2 – 18,1	932
18,1 – 20,0	5692
	სულ 49111

⁶⁶ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

დეცილური ჯგუფების გაანგარიშებისათვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ მოდისა და მედიანის მაჩვენებლები. როგორც ვიცით ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის მოდის გასაანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$M_0 = x_0 + i \frac{(f_{M_0} - f_{M_0-1})}{(f_{M_0} - f_{M_0-1}) + (f_{M_0} - f_{M_0+1})}$$

N 21 ცხრილის მონაცემების მოდის ფორმულაში შეტანით მივიღებთ შემდეგს:

$$M_0 = 1 + 1,9 \frac{(25127-0)}{(25127-0) + (25127-8121)} = 2,13$$

ამრიგად, ყველაზე გავრცელებული საშემოსავლო საგადასახადო ტვირთი ფიზიკურ პირებს შორის შეადგენს 2,13.

ახლა გავიანგარიშოთ ტვირთის მედიანური მაჩვენებელი ფორმულით.

$$Me = x_0 + i \frac{\frac{1}{2} \sum f_i - S_{me-1}}{f_{Me}}$$

ახლა გავიანგარიშოთ ტვირთის მედიანური მაჩვენებელი ფორმულით. მოცემულ ფორმულაში N21 ცხრილის მონაცემების შეტანით მივიღებთ:

$$Me = 1 + 1,9 \frac{\frac{1}{2}(49111-0)}{25127} = 2,85$$

ამრიგად, ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის შუა ნაწილი გადის ფიზიკურ პირებზე ტვირთის კოეფიციენტით - 2,85.

ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის დახასიათებისათვის მოდალურ და მედიანურ მაჩვენებლებთან შედარებით უფრო დეტალურ დახასიათებას გვაძლევს ტვირთის დახასიათება დეცილურ ჯგუფებად. განსაკუთრებით საინტერესოა, რა ხდება პირველ და ბოლო

ჯგუფებში. ამისთვის თავდაპირველად გავიანგარიშოთ შემოსავლის პირველი დეცილი ფორმულით:

$$D_1 = X_{D_1 \min} + \frac{i \cdot \frac{1}{10} \sum f_1 - S_{D_1-1}}{f_{D_1}}$$

მოცემულ ფორმულაში შევიტანოთ N21 ცხრილის მონაცემები

$$D_1 = 1 + 1,9 \frac{(4911 - 0)}{25127} = 1,37$$

ახლა იგივე წესით გავიანგარიშოთ მე-9 დეცილი

$$D_9 = X_{d_9} + \frac{i \cdot \frac{9}{10} \sum f_1 - S_{D_9-1}}{f_{D_9}} = 18,1 + 1,9 \cdot \frac{\left(\frac{9}{10} \cdot 49\ 111\right) - 43\ 419}{5692} = 18,36$$

ახლა გავიანგარიშოთ ფიზიკური პირების საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის კონცენტრაციის კოეფიციენტი

$$K_{\text{კონც}} = (D_9 / d_1) = 18,36 / 1,37 = 13,6 \text{ ჯერ}$$

ამრიგად, ყველაზე მაღალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10% 13,6-ჯერ აჭარბებს ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10%-ს.

ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებს აქვთ საშუალო დონეზე დაბალი საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი. ამჟამად, ევროკავშირში საშუალოდ საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 38,1%-ს. ეს მაჩვენებელი განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით, რომელიც იწვება მინიმუმ 10% -ით (ბულგარეთში) და მაქსიმუმ 56,6% ფიქსირდება

შვედეთში. 2009 წლამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნებოდა დანიაში, რომელიც შემცირდა 55,4%-მდე.

ცხრილი N 26

საშემოსავლო გადასახადი 1995-2012 წწ⁶⁷

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
ავსტრია	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0
ბელგია	60,6	60,6	60,6	60,6	60,6	60,6	60,1	56,4	53,7	53,7	53,7	53,7	53,7	53,7	53,7	53,7	53,7	53,7
ბრიტანეთი	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	50,0	50,0	50,0
ბულგარეთი	50,0	50,0	40,0	40,0	40,0	40,0	38,0	29,0	29,0	29,0	24,0	24,0	24,0	10,0	10,0	10,0	10,0	10,0
გერმანია	57,0	57,0	57,0	55,9	55,9	53,8	51,2	51,2	51,2	47,5	44,3	44,3	47,5	47,5	47,5	47,5	47,5	47,5
დანია	65,7	64,7	65,9	64,5	64,2	62,9	62,8	63,0	63,0	62,3	62,3	62,3	62,3	62,3	62,3	55,4	55,4	55,4
ესპანეთი	56,0	56,0	56,0	56,0	48,0	48,0	48,0	48,0	45,0	45,0	45,0	45,0	43,0	43,0	43,0	43,0	45,0	52,0
ესტონეთი	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	26,0	24,0	23,0	22,0	21,0	21,0	21,0	21,0	21,0
ირლანდია	48,0	48,0	48,0	46,0	46,0	44,0	42,0	42,0	42,0	42,0	42,0	42,0	41,0	41,0	41,0	41,0	41,0	41,0
იტალია	51,0	51,0	51,0	46,0	46,0	45,9	45,9	46,1	46,1	46,1	44,1	44,1	44,9	44,9	44,9	45,2	47,3	47,3
კვიპროსი	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	30,0	30,0	30,0	30,0	30,0	30,0	30,0	30,0	30,0	38,5
ლატვია	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	25,0	23,0	26,0	25,0	25,0
ლიტვა	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	33,0	27,0	27,0	24,0	15,0	15,0	15,0	15,0
ლუქსემბურგი	51,3	51,3	51,3	47,2	47,2	47,2	43,1	39,0	39,0	39,0	39,0	39,0	39,0	39,0	39,0	39,0	42,1	41,3
მალტა	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0	35,0
ნიდერლანდები	60,0	60,0	60,0	60,0	60,0	60,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0	52,0
პოლონეთი	45,0	45,0	44,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	32,0	32,0	32,0	32,0	32,0
პორტუგალია	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	42,0	42,0	42,0	42,0	45,9	50,0	49,0
რუმინეთი	40,0	40,0	40,0	48,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	16,0	16,0	16,0	16,0	16,0	16,0	16,0	16,0
საბერძნეთი	45,0	45,0	45,0	45,0	45,0	45,0	42,5	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	49,0	49,0	49,0
საფრანგეთი	59,1	59,6	57,7	59,0	59,0	59,0	58,3	57,8	54,8	53,4	53,5	45,8	45,8	45,8	45,8	45,8	46,7	46,8
სლოვაკეთი	42,0	42,0	42,0	42,0	42,0	42,0	42,0	38,0	38,0	19,0	19,0	19,0	19,0	19,0	19,0	19,0	19,0	19,0
სლოვენია	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	50,0	41,0	41,0	41,0	41,0	41,0	41,0	41,0
უნგრეთი	44,0	44,0	44,0	44,0	44,0	44,0	40,0	40,0	40,0	38,0	38,0	36,0	40,0	40,0	40,0	40,6	20,3	20,3
ფინეთი	62,2	61,2	59,5	57,8	55,6	54,0	53,5	52,5	52,2	52,1	51,0	50,9	50,5	50,1	49,1	49,0	49,2	49,0
შვედეთი	61,3	61,4	54,4	56,7	53,6	51,5	53,1	55,5	54,7	56,5	56,6	56,6	56,6	56,4	56,5	56,6	56,6	56,6
ჩეხეთი	43,0	40,0	40,0	40,0	40,0	32,0	32,0	32,0	32,0	32,0	32,0	32,0	32,0	15,0	15,0	15,0	15,0	15,0
ნორვეგია	41,7	41,7	41,7	41,7	41,5	47,5	47,5	47,5	47,5	47,5	43,5	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0	40,0
ისლანდია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	46,1	46,1	31,8
EU-27 ⁶⁸	47,4	47,2	46,5	46,2	45,4	44,8	43,8	43,0	42,3	41,3	40,0	39,4	39,2	37,9	37,2	37,9	37,6	38,1
EA-17 ⁶⁹	49,0	49,0	48,8	48,0	47,4	47,1	45,9	44,9	43,8	42,4	41,9	41,5	41,0	40,9	40,8	41,6	42,3	43,1

როგორც წესი, ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებს, სლოვენისა და კვიპროსის გამოკლებით, აქვთ საშუალოზე დაბალი განაკვეთები, ხოლო მაღალი

⁶⁷ www.ec.europa.eu


⁶⁸ ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა, რომლებიც 1.01.2007-დან გახდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნები

⁶⁹ ევროზონის 17 წევრი ქვეყანა, რომლებიც 1.01.2011-დან გახდნენ ევროზონის წევრი ქვეყნები

განაკვეთებით ხასიათდება სკანდინავიის ქვეყნები. ყველაზე დაბალი განაკვეთები აღინიშნება ბულგარეთში, ჩეხეთში, ლიტვაში და რუმინეთში.

რუკა N2

საშემოსავლო გადასახადის განაწილება, 2012წ⁷⁰(მუქი ფერი – მაღალი საგადასახადო ტვირთი, ღია ფერი – დაბალი საგადასახადო ტვირთი)



⁷⁰ <http://ec.europa.eu/>

თავი 3. საქართველოში საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონე და მისი მიღწევის ღონისძიებები

3.1 საქართველოში მაკრო და მიკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ღონისძიებები

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების მისაღწევად საჭიროა ისეთი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტიურობის ზრდას და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმა, რომლითაც გადასახადების რაოდენობა შემცირდა 21-დან 6-მდე (2004-2008 წწ), ასევე შემცირდა ზოგიერთი საგადასახადო განაკვეთი. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ამჟამად მოქმედებს 6 გადასახადი, მათ შორის, 5-საერთო-სახელმწიფოებრივი და 1-ადგილობრივი გადასახადია: 1. დამატებული ღირებულების გადასახადი; 2. საშემოსავლო გადასახადი; 3. მოგების გადასახადი; 4. აქციზი; 5. ქონების გადასახადი; 6. იმპორტის გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი შესწორებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სფეროში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008 წ - 25%; 2009 წლიდან - 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე დღეისათვის შეადგენს 5%-ს ნაცვლად 2005 წელს არსებული 10%-სა. გარდა ამისა, საქართველოში დაინერგა მნიშვნელოვანი პროცედურული და ინსტიტუციური სიახლენი, საგადასახადო დაგების განხილვის გამარტივებული სისტემა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია.⁷¹

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა ნდობის ამაღლებას საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი. 2014 წლისთვის

⁷¹ <http://www.economy.ge>

კი იგეგმება გადასახადების გაუქმება დივიდენდებსა და საპროცენტო განაკვეთებზე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გათვალისწინებულია გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები. ყოველივე ზემოაღნიშნულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას ისეთი განზოგადებული მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც 1996 წლის მუდმივ ფასებში 2005 წელს 6,6 მლრდ ლარიდან 2012 წელს 9,6 მლრდ ლარამდე გაიზარდა. მოცემული მაჩვენებელი 2005-2012 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად მუდმივ ფასებში 2,4 %-ით იზრდებოდა. ასევე მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება საბიუჯეტო შემოსავლებიც. კერძოდ, მისი მოცულობა 2005-2012 წწ, 1996 წლის მუდმივ ფასებში საშუალოდ ყოველწლიურად 2,5%-ით იზრდებოდა.⁷² აღნიშნულზე პირველ თავშიც იყო საუბარი.

ქვეყნის დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის დონისძიებათა კომპლექსის განხილვისას უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ერთი მხრივ ეკონომიკის ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობის და ცხოვრების ხარისხის დეტერმინანტები. მეორე მხრივ, გადავხედოთ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო შემოსავლებს და შევეცადოთ ვსრულყოთ მათი განაკვეთების გაანგარიშების მეთოდოლოგია.

როგორც უკვე წინა თავებში აღვნიშნეთ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომისტები თვლიან, რომ მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის დახასიათება. მაგალითად, გერმანიაში მთლიანი შიდა პროდუქტი უნდათ შეცვალონ $W3$ ⁷³-ით. ეს უკანასკნელი მოიცავს ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მაჩვენებელთა ჩამონათვალს. ასეთ მაჩვენებლებად განიხილება: მშპ, შემოსავლების განაწილება, სახელმწიფო ვალის საზოგადოებრივი თანაფარდობა, დასაქმება, განათლება, სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა, თავისუფლება, სასათბურე გაზების გამონაბოლქვი, აზოტის სიჭარბე. ჩამონათვალი ინდიკატორებიდან პირველ პანელად (W1) შეიძლება განვიხილოთ და მასში შევიტანოთ: მშპ, შემოსავლების განაწილება, ვალის საზოგადოებრივი თანაფარდობა, მეორე პანელად (W2) სოციალური ინდიკატორები: დასაქმება,

⁷² <http://www.mfa.gov.ge>

⁷³ Measuring well-being: W3 indicators to complement GDP, by Marco Giesellmann, Richard Hilmer, Nico A.Siegel and Gert G. Wagner. DIW economic Bulletin 5, 2013

განათლება, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თავისუფლება, მესამე პანელად (W3) სასათბურე გაზის გამონაბოლქვი და აზოტის სიჭარბე. ამჟამად, მსოფლიოში ეკონომისტებს, სოციოლოგებს და სხვა პროფესიის მეცნიერებს შორის დიდი დისკუსია მიმდინარეობს ზემოაღნიშნული სამი პანელის აგრეგირებისა და მათში შემავალი ინდიკატორების ერთ მაჩვენებლად ჩამოყალიბების შესახებ. ეს იდეა ზოგს მიაჩნია რეალურად, ზოგსაც-უტოპიად. თუმცა იშველიებენ ჰუმანური განვითარების ინდექსის გაანგარიშების ანალოგიას, რომელიც აერთიანებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ისეთ დეტერმინანტებს, როგორც არის: 1. მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით; 2. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა; 3. მოსახლეობის განათლების მიღწეული დონე. ამრიგად, ნიშანდობლივია, რომ გერმანელი სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული W3-ის ფორმულა შინაარსობრივად ემთხვევა ჩვენს მიერ პირველ თავში შემოთავაზებულ N1 ფორმულას. ქვეყნის დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ახალი ფორმულის შემოტანა, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$TB_{opt} = \frac{T_{man} + T_{con} + T_{acc}}{E_{ec} + E_s + E_{en}} \cdot 100 \%$$

სადაც,

TB_{opt} - ოპტიმალური საგადასახადო ტვირთია,

T_{man} - გადასახადები პროდუქციის (მომსახურების) წარმოებიდან,

T_{con} - გადასახადები მოხმარებიდან

T_{acc} - გადასახადები დაგროვებიდან

E_{ec} - ეკონომიკური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_s - სოციალური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{en} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია

მოტანილ ფორმულაში დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მრიცხველის ისე მნიშვნელის განსაზღვრას ე.ი საკითხი ეხება საგადასახადო ბაზის მაჩვენებლის ფორმირებას. ამჟამად ეს ხდება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების ჯამობრივი მაჩვენებლით. ბუნებრივია, ისმის

კითხვა: საკმარისია ეს ჩამონათვალი ტვირთის ოპტიმალური ზომის დადგენისათვის? ჩვენ მაღლა უკვე ვაჩვენეთ, თუ როგორ გავზარდეთ უფრო სწორად მშპ-ს დაგუმატეთ ახალი მახასიათებლები, რომლებიც უშუალოდ ახასიათებენ არა მარტო ეკონომიკური ზრდის, არამედ მოსახლეობის სოციალურ და ცხოვრების ხარისხის მდგომარეობას. ბუნებრივია, შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ გადასახადების ჯამობრივი მაჩვენებლებიც, რათა შესადარისი გავხადოთ საგადასახადო ტვირთის მრიცხველისა და მნიშვნელის დეტერმინანტები. როგორ უნდა მოვახდინოთ ეს? უპირველეს ყოვლისა, გადასახადების ჯამობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისას უნდა ვისარგებლოთ ისეთი საერთაშორისო სტანდარტით, როგორიც არის ეროვნულ ანგარიშთა სისტემა და მისი 2008 წლის ვერსია. ანუ, გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელში შევიტანოთ გადასახადები დაკავშირებული პროდუქციის (მომსახურების) წარმოებასთან, მოხმარებასთან და დაგროვებასთან. თუ საქართველოს არჩევანი ევროპული და დასავლური ცივილიზაციისაკენ მოძრაობაა, ბუნებრივია ჩვენი საგადასახადო სისტემა, გადასახადების სახეები, მათი საგადასახადო განაკვეთები და საერთოდ საგადასახადო კანონმდებლობა ჰარმონიზებული უნდა იყოს დასავლურ სტანდარტებთან. ჩემი აზრით, ამ მხრივ ჩვენს ქვეყანაში შემოსაღებია **ეკოლოგიური გადასახადი**, რომელიც უნდა გადაიხადოს როგორც თითოეულმა საწარმომ ისე თითოეულმა ოჯახმა მათ მიერ მოხმარებული ენერგეტიკული რესურსების შედეგად გამოყოფილი ნახშირჟანგის (Co) რაოდენობის მიხედვით. ამ მხრივ საფრანგეთის სტატისტიკური და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მუშაკებმა „ნახშირჟანგის კვალის“ გაანგარიშების ინოვაციური მეთოდი შესთავაზეს მსოფლიოს სტატისტიკოსთა თანამეგობრობას.⁷⁴ ნახშირჟანგის კვალი ზომავს ნახშირჟანგის აირის გამონაბოლქვს არა უშუალოდ საწარმოებში პროდუქციის წარმოებისას, არამედ შინამეურნეობების მიერ სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილ პროდუქტებზე მოთხოვნის შესაბამისად გლობალური ეკონომიკის თვალსაწიერით. ამრიგად, ნახშირჟანგის კვალის გაზომვისას ითვალისწინებენ იმპორტის შემადგენლობასაც, რომელიც გულისხმობს მოცემული ქვეყნის საბოლოო მოთხოვნაში „დანარჩენი მსოფლიოს“ ქვეყნებში გამოფრქვეული ნახშირჟანგის კვალის მოცულობასაც. ასეთი მიდგომით სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ საფრანგეთში ნახშირჟანგის კვალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით

⁷⁴ Клер Плато(INSEE Франции). Что нового в статистическом измерении благосостояния и устойчивого развития общества ? Вопросы статистики, 11/2011

ერთი მესამედით მეტი აღმოჩნდა ვიდრე ისინი ვარაუდობდნენ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ უფრო აქტუალური ხდება იდეა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი განაკვეთის ეკოლოგიური კვალის გადასახადის შემოღების შესახებ. ასეთი პროცედურების ჩატარების შემდეგ, უკვე შესაძარისი გახდება ქვეყნის დონეზე საგადასახადო ტვირთის ურთიერთშესაძარბელი მაჩვენებლები და იგი იქნება ოპტიმალური მათი შემადგენელი დეტერმინანტების ურთიერთშესაძარბისობის მხრივ. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მუშაობას ამთავითვე უნდა შეუდგნენ საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოები მეცნიერ-ეკონომისტების მონაწილეობით.

მაკრო დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიღწევის ღონისძიებებზე უფრო ნათელი წარმოდგენისათვის ავაგოთ ლაფერის დინამიკური მრუდი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე 1996-2012 წლების მიხედვით. დინამიკური ლაფერის მრუდი ბალაცკისეული ინტერპრეტაციით ჩაიწერება შემდეგი ფორმულით:

$$x = a \cdot q + b \cdot q^2, (1) \text{ სადაც } a \text{ და } b \text{ შეფასებადი პარამეტრებია.}^{75}$$

(1) მოდელი, ერთდროულად, სამი ინდიკატორის მიღების საშუალებას გვაძლევს. ესენია, დინამიკური ლაფერის წერტილი (q^*), სტატიკური ლაფერის წერტილი (q^{**}) და ეკონომიკის მაქსიმალური ზრდის ტემპი (x^*).

მოდელი (1) გვიჩვენებს დამოკიდებულებას მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპსა და საგადასახადო განაკვეთს შორის.

$$x = \frac{x_t - x_{t-1}}{x_{t-1}} - \text{არის მთლიანი შიდა პროდუქტის მატების ტემპი;}$$

$$q = \frac{T}{X} - \text{არის საგადასახადო ტვირთი, რომელიც მოცემული წლისთვის იანგარიშება როგორც საგადასახადო შემოსავლების ჯამის ამავე წლის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობით.}^{76}$$

⁷⁵ Е. В. Балацкий, Н. А. Екимова, Налогово-бюджетная политика и Экономический рост, «Общество и экономика», N4-5, 2011

ობიექტური საგადასახადო ტვირთის შესაფასებლად გავანალიზოთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. (იხ. ცხრილი N27)

ცხრილი N27

მშპ და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა საქართველოში 1996-2012 წლებში⁷⁷

წელი	მოლიანი შიდა პროდუქტი - 1996 წლის ფასებში	საგადასახადო შემოსავლები 1996 წლის ფასებში
1996	3868,475	386,2
1997	4275,402	727,877
1998	4408,149	663,025
1999	4534,630	736,916
2000	4617,992	753,051
2001	4839,907	833,985
2002	5104,836	887,175
2003	5669,334	890,768
2004	6001,536	964,341
2005	6577,269	975,769
2006	7194,477	1043,549
2007	8082,121	1223,581
2008	8269,145	1230,448
2009	7956,921	1209,150
2010	8454,469	1224,518
2011	9060,955	1349,158
2012	9615,026	1450,578

Excel-ში ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

⁷⁶ მოცემულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით უურნალ „ეკონომიკასა და ბიზნესის“, N4, 2012 აღნიშნულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერების იური ანანიაშვილის და ვლადიმერ პაპავას დამსახურება.

⁷⁷ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

SUMMARY OUTPUT								
Regression Statistics								
Multiple R	0,998816							
R Square	0,997634							
Adjusted R Square	0,930809							
Standard Error	0,055063							
Observations	17							
ANOVA								
	<i>df</i>	<i>SS</i>	<i>MS</i>	<i>F</i>	<i>Significance F</i>			
Regression	2	19,17362	9,586811	3161,945	2,57E-19			
Residual	15	0,045479	0,003032					
Total	17	19,2191						
Coefficients								
	<i>Coefficients</i>	<i>Standard Error</i>	<i>t Stat</i>	<i>P-value</i>	<i>Lower 95%</i>	<i>Upper 95%</i>	<i>Lower 95,0%</i>	<i>Upper 95,0%</i>
Intercept	0	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A	#N/A
X Variable 1	16,01418	1,039874	15,40011	1,34E-10	13,79774	18,23062	13,79774	18,23062
X Variable 2	-58,671	6,643468	-8,83138	2,5E-07	-72,8312	-44,5108	-72,8312	-44,5108

თავისუფლების 17 ხარისხისთვის და მნიშვნელოვნების 5%-იანი დონისთვის სტიუდენტის განაწილების კრიტიკული დონეა 2,110, $|t| > t_{კრ}$ ორივე კოეფიციენტისთვის. ანუ, მიიღება ალტერნატიული ჰიპოთეზა და ხდება ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა, ეს კი ნიშნავს, რომ მიღებული განტოლების ორივე კოეფიციენტი მნიშვნელოვანია.

ამასვე ადასტურებს ნდობის ინტერვალი, რომელშიც ნული არ ჩაეარდა არც ერთი კოეფიციენტის შემთხვევაში, რაც გვაძლევს ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის და ალტერნატიული ჰიპოთეზის მიღების საშუალებას კოეფიციენტების მნიშვნელოვნების დასტურად.

რაც შეეხება თვითონ განტოლების მნიშვნელობას, პირველ რიგში შევხედოთ დეტერმინაციის კოეფიციენტს, რომელიც არის შედეგობრივი ცვლადის მოტიან გაფანტულობაში რეგრესიით ახსნილი გაფანტულობის წილი. რაც უფრო ახლოს არის ეს კოეფიციენტი ერთთან, ეს ნიშნავს, რომ დაკვირვების წერტილები მით უფრო ახლოს არის განლაგებული რეგრესიის წრფესთან. ცხრილში დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,99-ის ტოლია, რაც მიგვითითებს რეგრესიის

მოდელის მნიშვნელოვნებაზე. ამაზე მეტყველებს, ასევე, მაღალი კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობაც.

განტოლების მიშვნელოვნების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე, F სტატისტიკაც, რომელიც ბევრად აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას თავისუფლების 2 და 14 ხარისხებისთვის.

როგორც აღნიშნულიდან ვხედავთ, მოდელი აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ სტატისტიკური შეფასების პარამეტრებს. ლაფერის მრუდი საქართველოს ეკონომიკისათვის შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$x = 16,014 q - 58,671q^2$$

პარაბოლის ამოხსნით მივიღებთ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი, ანუ დინამიკური ლაფერის წერტილი, $q = 13,6\%$ -ს, ხოლო ეკონომიკის შესაბამისი ოპტიმალური ზრდა არის $9,3\%$, სტატიკური ლაფერის წერტილის მნიშვნელობა ტოლია $17,6\%$ -ის.თუ გადავხედავთ ეკონომიკის რეალური ზრდის მონაცემებს (ცხრილი N24) და ასევე, საგადასახადო ტვირთის მონაცემებს, შეგვიძლია თითოეული წლისთვის შევაფასოთ ამ მაჩვენებლების ოპტიმალური დონიდან გადახრის სიდიდე.

ცხრილი N28

საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდა (%-ობით წინა წელთან შედარებით) და საგადასახადო ტვირთი 1996–2012 წლებში⁷⁸


წლები	ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპები	საგადასახადო ტვირთი
1996	1,113	0,099
1997	1,1053	0,170
1998	1,0313	0,150
1999	1,029	0,163
2000	1,018	0,163
2001	1,048	0,172
2002	1,055	0,174
2003	1,111	0,157

⁷⁸ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

2004	1,059	0,160
2005	1,096	0,148
2006	1,094	0,145
2007	1,123	0,151
2008	1,023	0,149
2009	0,962	0,152
2010	1,062	0,145
2011	1,072	0,149
2012	1,061	0,151

გრაფიკი N5

დინამიკური და სტატიკური ლაფერის მრუდები⁷⁹



სტატიკური ლაფერის მრუდის წერტილები აღნიშნავს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მშპ ინარჩუნებს ზრდის მუდმივ ტემპს, რომელიც ტოლია ერთის. ამ წერტილებს შორის მოქცეულია ფისკალური პოლიტიკის სამოქმედო


⁷⁹ გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

დიაპაზონი. ამ შუალედს მიღმა გადაცდენა ქვეყანას ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანს. სტატისტიკური ლაფერის წერტილების შეფასებული მნიშვნელობები საქართველოს ეკონომიკისთვის არის, შესაბამისად – 9,6% და 17,6%. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის დაწევა 9,6%-ის ქვემოთ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ვარდნას, ასევე, საგადასახადო ტვირთის გაზრდა 17,6%-ის ზემოთ, ქვეყნის ეკონომიკის რეცესიულ მდგომარეობაში შეყვანას ნიშნავს.

ოპტიმალურობის თვალსაზრისით, რაციონალურია თუ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობა მიუახლოვდება 13,6%-ს მარცხნიდან, თუმცა, აუცილებელი საბიუჯეტო ხარჯების გაწევისათვის, ფისკალური პოლიტიკის შედგენით დაკავებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები, ალბათ, საგადასახადო ტვირთის პარამეტრებად 13,6% - 17,6%-იან შუალედს აირჩევენ. ასეთ პირობებში, გარდა იმისა, რომ მაღალია ბიუჯეტის შემოსავლები, ეკონომიკაც შესაბამისად იზრდება. ამრიგად, საგადასახადო ტვირთის 13,6%-17,6%-იანი ინტერვალი საკონტროლო და საპროგნოზო, საორიენტაციო პარამეტრია.

ახლა ავაგოთ იგივე მრუდები მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების მიხედვით მიმდინარე ფასებში.

გრაფიკი N6⁸⁰



⁸⁰ გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ლაფერის მრუდების (დინამიკური და სტატიკური) გრაფიკები N4 და N5 აგებულია პირველ შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტის და საგადასახადო შემოსავლების მუდმივ ფასებში გამოსახვით, ხოლო მეორე შემთხვევაში მიმდინარე ფასებში. ისმის კითხვა, რატომ მოვიტანეთ ორი დიაგრამა მუდმივ და მიმდინარე ფასებში? იმიტომ, რომ მუდმივ ფასებში უფრო მართებულია ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის დადგენა, ხოლო მიმდინარე ფასებში ასეთივე დიაგრამა მხოლოდ ფისკალური ეფექტის მატარებელია.

მაკრო დონეზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მიმართულებად გვესახება ევროკავშირის წევრ ახალ და ძველ სახელმწიფოებთან საქართველოს საგადასახადო ტვირთის შემდგომი დაახლოება. ამ იდეის განხილვისათვის საჭიროა მიმოვიხილოთ საგადასახადო ტვირთის ტენდენციები ევროკავშირსა და მასში შემაჯავალ სახელმწიფოებში.⁸¹

საგადასახადო ტვირთმა ევროკავშირის 27 ქვეყნის მიხედვით (EU 27) 2011 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 38,8% შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების ძირითად წყაროს საშემოსავლო გადასახადები წარმოადგენენ. გადასახადებმა და სოციალურმა შენატანებმა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2011 წელს ევროკავშირის 27 ქვეყნის მიხედვით (EU 27) შეადგინეს 38,8%, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2010 წელს 38,3%, ხოლო 2009 წელს 38,4% შეადგინა. საგადასახადო ტვირთმა ევრო ზონაში (EA 17)⁸² 2011 წელს მოიმატა წინა წლებთან შედარებით და შეადგინა 39,5%, მაშინ როცა 2010 წელს 39,0%, ხოლო 2009 წელს 39,1% იყო.

საგადასახადო ტვირთი განსხვავდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით, 2011 წელს 30%-ზე ნაკლები დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში: ლიტვა 26,0%; ბულგარეთი 27,2%; რუმინეთი 28,2%; სლოვაკეთი 28,5%; ირლანდია 28,9%; 40%-ზე მეტი დაფიქსირდა დანიაში 47,7%; შვედეთში 44,3%; ბელგიაში 44,1%; საფრანგეთში 43,9%; ფინეთში 43,4%; იტალიასა 42,5% და ავსტრიაში 42,0%.

საგადასახადო ტვირთის მაჩვენებლის ზრდა დაფიქსირდა 2011 წელს წინა წელთან შედარებით პორტუგალიაში (31,5%-დან 33,2%-მდე); რუმინეთში (26,7%-დან 28,2%-მდე) და საფრანგეთში (42,5%-დან 43,9%-მდე); ხოლო შემცირება ესტონეთში

⁸¹ მოცემულ ქვეთავში ციფრობრივი მასალა აღებულია <http://ec.europa.eu>

⁸² ევრო ზონა (EA 17) – ბელგია, გერმანია, ესტონეთი, ირლანდია, საბერძნეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, კვიპროსი, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია, სლოვენია, სლოვაკეთი, ფინეთი.

(34,1%-დან 32,8%-მდე); შვედეთსა (45,4%-დან 44,3%-მდე) და ლიტვაში (27,0%-დან 26,0%-მდე).

ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის საშემოსავლო გადასახადებზე (შრომაზე გადასახადებზე), რომელსაც მოსდევს გადასახადები მოხმარებაზე (შემოსავლების ერთი მესამედი) და გადასახადები კაპიტალზე (შემოსავლების ერთი მეხუთედი).

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ შრომაზე EU 27 -ში 2010 წლიდან 2011 წლამდე 35,4%-დან 35,8%-მდე მოიმატა. 2011 წელს მალტაში საგადასახადო ტვირთი შრომაზე დაფიქსირდა 22,7%; ბულგარეთში 24,6%; პორტუგალიაში 25,5%; დიდ ბრიტანეთში 26,0%; ბელგიაში 42,3% და ავსტრიაში 40,8%.

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ მოხმარებაზე EU 27-ში 2010 წლიდან 2011 წლამდე 19,7%-დან 20,1%-მდე მოიმატა. ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთი მოხმარებაზე დაფიქსირდა 2011 წელს ესპანეთში (14,0%); საბერძნეთში (16,3%); ლატვიაში (17,2%); იტალიაში (17,4%). ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი აღინიშნა დანიაში (31,4%); შვედეთში (27,3%); ლუქსემბურგში (27,2%); უნგრეთში (26,8%) და ფინეთში (26,4%).

საგადასახადო ტვირთის მოცულობამ კაპიტალზე 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 10 წევრი ქვეყნის მიხედვით დაიკლო, ხოლო 9 ქვეყანაში მოიმატა. მისმა მოცულობა ლიტვაში 5,5%, ხოლო საფრანგეთში 44,4 % შეადგინა.⁸³

ცხრილი N 29

საგადასახადო შემოსავალი და საგადასახადო ტვირთი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით⁸⁴

	საგად.შემოს			საგადასახადო ტვირთის %-ული მაჩვენებელი:								
	% მშპ.			შრომა			მოხმარება			კაპიტალი		
	2000	2010	2011	2000	2010	2011	2000	2010	2011	2000	2010	2011
EU27**	40.4	38.3	38.8	36.4	35.4	35.8	20.1	19.7	20.1	:	:	:
EA17**	40.9	39.0	39.5	38.3	37.4	37.7	19.8	19.3	19.4	29.9	27.2	28.9
ბელგია	45.1	43.8	44.1	43.6	42.7	42.8	21.8	21.2	21.0	29.5	28.7	30.3
ბულგარეთი	31.5	27.5	27.2	38.1	23.5	24.6	18.5	21.4	22.4	:	:	:
ჩეხეთი	33.8	33.5	34.4	41.2	38.5	39.0	18.8	20.8	21.4	18.7	16.6	17.6
დანია	49.4	47.4	47.7	41.0	34.6	34.6	33.4	31.3	31.4	36.0	:	:
გერმანია	41.3	37.9	38.7	39.1	36.8	37.1	19.2	19.7	20.1	27.0	19.7	22.0
ესტონეთი	31.0	34.1	32.8	37.8	36.8	36.2	19.5	25.4	26.1	6.4	9.8	7.9

⁸³ <http://ec.europa.eu/>

⁸⁴ <http://ec.europa.eu/>

ირლანდია	31.3	28.3	28.9	28.7	26.2	28.0	25.5	22.3	22.1	:	:	:
საბერძნეთი	34.6	31.7	32.4	33.8	31.5	30.9	16.5	16.4	16.3	:	:	:
ესპანეთი	34.1	32.1	31.4	30.5	32.7	33.2	15.8	14.7	14.0	29.3	:	:
საფრანგეთი	44.2	42.5	43.9	39.4	38.1	38.6	21.2	19.4	19.9	40.1	39.7	44.4
იტალია	41.5	42.5	42.5	42.0	42.7	42.3	18.3	17.4	17.4	28.1	33.0	33.6
კვიპროსი	30.0	35.6	35.2	21.6	26.9	26.7	12.6	19.0	17.7	24.8	30.6	24.7
ლატვია	29.7	27.2	27.6	36.7	33.1	32.0	18.4	16.9	17.2	12.3	7.9	9.9
ლიტვა	30.0	27.0	26.0	41.1	31.7	32.0	18.0	17.6	17.5	6.8	7.1	5.5
ლუქსემბურგი	39.2	37.5	37.2	29.9	31.5	32.8	23.0	27.1	27.2	:	:	:
უნგრეთი	39.8	37.9	37.0	41.4	38.4	38.4	27.2	27.5	26.8	18.5	19.9	17.3
მალტა	27.3	32.6	33.5	20.5	21.7	22.7	15.6	18.7	19.0	:	:	:
ნიდერლანდები	39.9	38.8	38.4	35.0	37.0	37.5	23.8	26.9	26.3	20.0	13.0	12.9
აესტრია	43.0	41.9	42.0	40.1	40.5	40.8	22.2	21.3	21.2	27.2	23.3	23.6
პოლონეთი	32.6	31.8	32.4	33.6	30.3	32.2	17.8	20.5	20.8	20.5	18.6	18.3
პორტუგალია	31.1	31.5	33.2	22.3	24.0	25.5	18.3	17.6	18.0	31.1	28.4	31.6
რუმინეთი	30.2	26.7	28.2	:	30.0	31.4	17.0	18.1	21.6	:	:	:
სლოვენია	37.3	37.8	37.2	37.6	35.0	35.2	23.3	23.6	23.0	17.3	21.9	20.5
სლოვაკეთი	34.1	28.1	28.5	36.3	32.2	31.9	21.7	17.7	18.7	21.5	14.3	14.8
ფინეთი	47.2	42.5	43.4	44.0	39.0	39.6	28.5	25.1	26.4	38.1	28.7	27.4
შვედეთი	51.5	45.4	44.3	46.8	39.1	39.4	26.3	27.9	27.3	42.7	29.2	27.0
გაერთიან.სამეფო	36.8	35.4	36.1	25.9	25.8	26.0	19.0	18.3	19.5	44.0	35.7	34.9
ნორვეგია	42.6	42.6	42.5	37.1	36.3	36.2	31.2	29.1	:	42.2	41.9	41.9
ისლანდია	37.1	35.0	35.9	:	:	:	25.6	22.8	22.8	:	:	:

ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU27) საშემოსავლო გადასახადის საშუალო მაჩვენებელი 2013 წელს 38,7% შეადგინა, ხოლო 2012 წელს 38,1%. ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა შვედეთში (56,6%); დანიაში (55,6%); ბელგიაში (53,7%); პორტუგალიაში (53,0%); ესპანეთსა და ნიდერლანდებში (52,0%); ყველაზე დაბალი განაკვეთი აღინიშნა ბულგარეთში (10,0%); ლიტვაში (15,0%); უნგრეთსა და რუმინეთში (16,0%).

მოგების გადასახადის საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანაში (EU27) 2013 წელს შეადგინა 23,0%. ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი მოგებაზე დაფიქსირდა საფრანგეთში (36,1%); მალტაში (35,0%); ბელგიაში (34,4%); ხოლო ყველაზე დაბალი განაკვეთი აღინიშნა ბულგარეთში, კვიპროსსა (10%) და ირლანდიაში (12,5%).

დღგ-ს საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 27 წევრ ქვეყანაში (EU 27) 2013 წელს 21,3% შეადგინა. 2012 წელთან შედარებით ექვსმა წევრმა ქვეყანამ გაზარდა საპროცენტო განაკვეთი დღგ-ზე, მხოლოდ და მხოლოდ ლიტვაში შემცირდა აღნიშნულ გადასახადზე საპროცენტო განაკვეთი. 2013 წელს, დღგ-ზე განაკვეთი

განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით 15% დაფიქსირდა ლუქსემბურგში, 18% კვიპროსსა და მალტაში, 27,0% უნგრეთში და 25% დანიასა და შვედეთში.⁸⁵

ცხრილი N 30

საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ს საპროცენტო განაკვეთები⁸⁶

	საშემოსავლო გადასახადი			მოგების გადასახადი			დღგ		
	2000	2012	2013***	2000	2012	2013***	2000	2012	2013***
EU27*	44.8	38.1	38.7	31.9	23.0	23.0	19.2	21.0	21.3
EA17*	47.1	43.1	44.3	34.4	25.4	25.7	18.1	20.0	20.4
ბელგია	60.6	53.7	53.7	40.2	34.0	34.0	21.0	21.0	21.0
ბულგარეთი	40.0	10.0	10.0	32.5	10.0	10.0	20.0	20.0	20.0
ჩეხეთი	32.0	15.0	22.0	31.0	19.0	19.0	22.0	20.0	21.0
დანია	62.9	55.4	55.6	32.0	25.0	25.0	25.0	25.0	25.0
გერმანია	53.8	47.5	47.5	51.6	29.8	29.8	16.0	19.0	19.0
ესტონეთი	26.0	21.0	21.0	26.0	21.0	21.0	18.0	20.0	20.0
ირლანდია	44.0	41.0	41.0	24.0	12.5	12.5	21.0	23.0	23.0
საბერძნეთი	45.0	49.0	46.0	40.0	20.0	26.0	18.0	23.0	23.0
ესპანეთი	48.0	52.0	52.0	35.0	30.0	30.0	16.0	18.0	21.0
საფრანგეთი	59.0	46.8	50.2	37.8	36.1	36.1	19.6	19.6	19.6
იტალია	45.9	47.3	43.0	41.3	31.4	27.5	20.0	21.0	22.0
კვიპროსი	40.0	38.5	38.5	29.0	10.0	10.0	10.0	17.0	18.0
ლატვია	25.0	25.0	24.0	25.0	15.0	15.0	18.0	22.0	21.0
ლიტვა	33.0	15.0	15.0	24.0	15.0	15.0	18.0	21.0	21.0
ლუქსემბურგი	47.2	41.3	43.6	37.5	28.8	29.2	15.0	15.0	15.0
უნგრეთი	44.0	20.3	16.0	19.6	20.6	20.6	25.0	27.0	27.0
მალტა	35.0	35.0	35.0	35.0	35.0	35.0	15.0	18.0	18.0
ნიდერლანდები	60.0	52.0	52.0	35.0	25.0	25.0	17.5	19.0	21.0
ავსტრია	50.0	50.0	50.0	34.0	25.0	25.0	20.0	20.0	20.0
პოლონეთი	40.0	32.0	32.0	30.0	19.0	19.0	22.0	23.0	23.0
პორტუგალია	40.0	49.0	53.0	35.2	31.5	31.5	17.0	23.0	23.0
რუმინეთი	40.0	16.0	16.0	25.0	16.0	16.0	19.0	24.0	24.0

⁸⁵ <http://ec.europa.eu/>

⁸⁶ <http://ec.europa.eu/>

სლოვენია	50.0	41.0	50.0	25.0	18.0	17.0	19.0	20.0	20.0
სლოვაკეთი	42.0	19.0	25.0	29.0	19.0	23.0	23.0	20.0	20.0
ფინეთი	54.0	49.0	51.1	29.0	24.5	24.5	22.0	23.0	24.0
შვედეთი	51.5	56.6	56.6	28.0	26.3	22.0	25.0	25.0	25.0
გაერთიან.სამეფო	40.0	50.0	45.0	30.0	24.0	23.0	17.5	20.0	20.0
ნორვეგია	47.5	40.0	40.0	28.0	28.0	28.0	:	:	:
ისლანდია	:	31.8	31.8	30.0	20.0	20.0	:	:	:

როგორც მოტანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში ცალკეული სახის გადასახადების საპროცენტო განაკვეთები დაბალია როგორც მთლიანად ევროკავშირის, ისე მის ცალკეულ როგორც ძველ ისე ახალ წევრ სახელმწიფოებთან შედარებით.

მანამ, სანამ შეუდგებით საწარმოს დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის კვლევის პრობლემებს, საჭიროა გავეცნოთ ისეთ ძირითად ტერმინებს, როგორცაა დამატებული ღირებულება, მთლიანი გამოშვება (წარმოება) და შუალედური მოხმარება. მოცემული დეფინიციები განვიხილოთ ისეთი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

წარმოება ზოგადად შეიძლება განვმარტოთ როგორც საქმიანობა რომლის დროსაც საწარმო ეწევა დანახარჯებს პროდუქციის გამოშვებისათვის. წარმოება ისეთი სახის საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციური ერთეულის მმართველობით, პასუხისმგებლობითა და კონტროლით. წარმოების ანგარიში (ეას-ის) მიხედვით გვიჩვენებს წარმოებული პროდუქციის გამოშვებას და წარმოებაზე გაწეულ სხვადასხვა დანახარჯებს. ეას-ში წარმოებას სამი სახის კონცეფციით განიხილავენ. პირველი ეძღვნება წარმოების საზღვრების დადგენას. ეს კონცეფცია არკვევს წარმოებული პროდუქცია გამოიყენება გასაყიდად საკუთარი მოხმარებისათვის თუ მიეწოდება სხვა ერთეულს დაბალ ფასებში. მეორე კონცეფცია არკვევს გამოშვების შეფასების მეთოდებს. აქ ძირითადი საკითხი უკავშირდება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ პროდუქტებზე და საწარმოო საქმიანობაზე გადასახადებისა და სუბსიდიების დაწესების წესს. მესამე კონცეფციის თანახმად განიმარტება საკითხი თუ როგორ ხდება წარმოების პროცესში საქონლისა და მომსახურების ღირებულებაზე საქონლისა და მომსახურების ღირებულების დამატება და შემოსავლის მიღება. ამდენად, ამ კონცეფციის თანახმად, საჭიროა დავადგინოთ ამ საქონლისა და მომსახურების

ღირებულებას ემატება თუ არა შრომისა და კაპიტალის დანახარჯები და ასევე საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ კაპიტალის ღირებულება მცირდება იმ დოზით, რა დოზითაც ხდება მისი გამოყენება წარმოებაში.

როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ, მთლიანი დამატებული ღირებულება ტოლია გამოშვების ღირებულებას გამოკლებული შუალედური მოხმარების ღირებულება. ეკონომისტები ანგარიშობენ აგრეთვე წმინდა დამატებულ ღირებულებას, რომელიც იანგარიშება როგორც მთლიან გამოშვებას გამოკლებული შუალედური მოხმარება და ძირითადი კაპიტალის მოხმარება.

პროდუქციის გამოშვებისას მნიშვნელოვანია მისი ორი სახით შესწავლა, ესაა: საქონელი და მომსახურება. ასეთი დაყოფა საშუალებას გვაძლევს საქმიანობის სახეები დავყოთ საწარმოო საქმიანობად ეკონომიკური თვალსაზრისით და სხვა სახის საქმიანობად. საქონელი და მომსახურება ერთად აღებული იწოდება პროდუქტებად, თუმცა რომელია მათ შორის საქონელი და რომელი მომსახურება, ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

საქონელი – მატერიალურ-ნივთობრივი სახით წარმოებული ობიექტებია, რომლებზედაც არსებობს მოთხოვნა და რომელთა მიმართაც შესაძლებელია დადგინდეს საკუთრების უფლება. ისინი ბაზრებზე შესაბამის ოპერაციებში მონაწილეობით, ერთი ინსტიტუციური ერთეულისაგან შეიძლება გადაეცეს მეორეს.

მომსახურება წარმოადგენს საწარმოო საქმიანობის შედეგს, რომელიც ცვლის მომსახურების მიმღები ერთეულის მდგომარეობას, ან ხელს უწყობს პროდუქტებით ან ფინანსური აქტივებით გაცვლის პროცესს. მომსახურების ეს სახეები შეიძლება იწოდოს მომსახურებად, რომელიც ცვლის მომსახურების მომხმარებლის მდგომარეობას და მომსახურებად, რომელიც ხელს უწყობს გაცვლის პროცესს.

მომსახურება, რომელიც მოქმედებს მისი მიმღების მდგომარეობაზე შეიძლება იყოს დაკავშირებული ისეთ სახეებთან, როგორიც არის:

- საქონლის ტრანსპორტირება, წმენდა, რემონტი და ტრანსფორმაციის სხვა სახეები;
- ცვლილებები დაკავშირებული ცალკეული პირების ფიზიკურ მდგომარეობასთან (მომსახურების შემთავაზებელს გადაჰყავს ცალკეული პირები, სთავაზობს საცხოვრებელ ადგილს, უზრუნველყოფს მათ სამედიცინო მომსახურებით, აუმჯობესებს გარეგნულ სახეს).

- ცალკეული პირების ინტელექტუალური მდგომარეობის გაუმჯობესება (მომსახურების შემთავაზებელი სთავაზობს: განათლებას, ინფორმაციას, კონსულტაციებს, გართობას და სხვა).

მომსახურების შეთავაზებით გამოწვეული ცვლილებები შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. ასე მაგალითად, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებისაგან მიღებული სარგებელი შეიძლება გაგრძელდეს რამოდენიმე წელს. მეორეს მხრივ, ფეხბურთის ან კალათბურთის მატჩებზე დასწრება მოკლევადიანი მოვლენაა.

ცალკეული პროცესების შედეგად მომსახურება შეიძლება შეთავაზებული იქნეს მოქალაქეთა ჯგუფებისათვის ერთდროულად. ასე მაგალითად, ადამიანთა ჯგუფები ან მათი ტვირთი, რომელიც მიეკუთვნება სხვადასხვა ინსტიტუციურ ერთეულს შეიძლება გადაადგილონ ერთი და იგივე თვითმფრინავით, მატარებლით ან საზღვაო ხომალდით. ზოგიერთი სახის მომსახურება შეიძლება შესთავაზონ მთლიანად საზოგადოებას კოლექტიურ საფუძველზე. ასე მაგალითად, მოსახლეობის თავდაცვისუნარიანობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ.

ეას-ის მიხედვით წარმოების სფეროს საზღვრები მოიცავს შემდეგი სახის საქმიანობას:

- ყველა საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა, რომელიც მწარმოებლის მიერ წარედგინება სხვა ინსტიტუციურ ერთეულს იმ პროდუქციისა და მომსახურების ჩათვლით, რომელიც გამოყენებული იყო მწარმოებლის მიერ იგივე საქონლისა და მომსახურების წარმოებისას;
- ყველა სახის საქონლის წარმოება, რომელიც გამოყენებული იყო საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის ან მთლიანი დაგროვებისათვის;
- საბინაო მომსახურების გაწევა შინამეურნეობებში მცხოვრები შინამეურნეობების მესაკუთრეებისათვის;
- საშინაო და პირადი მომსახურების გაწევა დაქირავებული, ანაზღაურებადი მოსამსახურისადმი.

ახლა უფრო დეტალურად შევხერდეთ შინამეურნეობებში წარმოების საზღვრებზე, რამეთუ საქართველო ამჟამად განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და ეას-ით ასეთი ქვეყნებისათვის გათვალისწინებულია მათი შინამეურნეობებში წარმოების საზღვრების სპეციფიკა, რითაც ისინი განსხვავდებიან განვითარებული ქვეყნებისაგან.

შინამეურნეობების წევრების მიერ თავიანთი საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის მომსახურების გაწევა არ შედის წარმოების მოცულობაში. ასეთი სახის მომსახურების სახეებია:

- საბინაო ნაგებობის ტექნიკური მომსახურების, მოწყობისა და სისუფთავის შენარჩუნებისათვის გაწეული მომსახურება;
- შინამეურნეობების მიზნებისათვის საკუთარი ავტომობილის და სხვა ხანგრძლივი სარგებლობის საგნების წმენდა, რემონტი და მომსახურება;
- საჭმლის მომზადება და შეთავაზება;
- ბავშვების მოვლა, მათი აღზრდისა და სწავლების მომსახურება;
- მოხუცების, მიუსაფრებისა და ავადმყოფების მოვლა;
- ოჯახის წევრების გადაყვანა სატრანსპორტო საშუალებით და მათი ნივთების გადატანა.

ქვეყნების უმრავლესობაში შრომითი დანახარჯების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ზემოაღნიშნული მომსახურების სახეების გაწევასთან და მათი მოხმარება მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ეკონომიკურ კეთილდღეობას. ამასთან ერთად, როგორც ვიცით, ეროვნული ანგარიშები გამოიყენება სხვადასხვა ანალიზური მიზნებისათვის. ჩვენს, მოცემულ შემთხვევაში საგადასახადო ტვირთის დადგენაში კონკრეტულ მიზანს არ წარმოადგენს კეთილდღეობის მაჩვენებლის ანალიზი. მიზეზები, რომელთა გამო არაანაზღაურებადი საშინაო და პირადი მომსახურება გაწეული იგივე შინამეურნეობის ფარგლებში არ შედის წარმოების საზღვრებში არის შემდეგი:

- მომსახურების გაწევა შინამეურნეობის ფარგლებში იზოლირებული საქმიანობის სახეა და შეზღუდულად მოქმედებს ეკონომიკის დანარჩენ ნაწილზე. შინამეურნეობის გადაწყვეტილებაა მომსახურების შინამეურნეობის წევრებზე შეთავაზებისას, ერთდროულად მოახდინოს მისი მოხმარება. ეს არ ეხება საქონლის წარმოებას. ასე მაგალითად, ქართველი გლეხი როდესაც გადაწყვეტს მოიყვანოს ყურძენი, არ ფიქრობს, რომ მთლიანად აღებულ მოსავალს თავად საკუთარი შინამეურნეობის ფარგლებში მოიხმარს. იგი ფიქრობს რამდენი მოიხმაროს საკუთარი საჭიროებისათვის, რამდენი ჩააბაროს ღვინის ქარხანას ან გაყიდოს ბაზარზე. ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს მომსახურებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად გასწიო მომსახურება და შემდეგ გადაწყვიტო შეინახო, თუ გაყიდო იგი.

- იმდენად, რამდენადაც შინამეურნეობების ფარგლებში გაწეული მომსახურების უმეტეს სახეობაზე არაა დადგენილი ფასები, ძნელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით შემოსავლებისა და ხარჯების დადგენა და სათანადო შეფასებების გაკეთება.
- შინამეურნეობების ფარგლებში გაწეული მომსახურება არ ახდენს ზემოქმედებას არც მოზიდული გადასახადების ზომაზე და არც ვალუტის გაცვლით კურსზე.

ჩვენს მიერ ეას-ის შედგენის მეთოდოლოგიიდან მოტანილი არგუმენტების გამონაკლისს წარმოადგენს შინამეურნეობების წევრების მიერ საკუთარი საშინაო მომსახურების მიღება საკუთარივე საცხოვრისიდან. ასეთი მომსახურების პირობითი გაანგარიშების მოცულობა შეიტანება შინამეურნეობების ფარგლებში შექმნილ მომსახურებაში და შესაბამისად მშპ-ში. მართალია, ეას-ის მეთოდოლოგიის შედგენით დაკავებული ეკონომისტები თვლიან, რომ ასეთი პირობითი გათვლები არ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რადგან ისინი არ არის ფულადი ნაკადების ექვივალენტური. ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, საქართველოს სინამდვილეში შინამეურნეობების ფარგლებში მოსახლეობის საკუთარ საცხოვრისში ცხოვრების მომსახურების პირობითი ღირებულება 2012 წლის მანჩენებლით შეადგენს 730,5 მლნ ლარს. ეს კი გამოდის, რომ ხელოვნურად ამცირებს ქვეყნის მიხედვით გაანგარიშებულ საგადასახადო ტვირთს.

შინამეურნეობების ფარგლებში საკუთარი საჭიროებისათვის გაწეული მომსახურების წარმოების საზღვრებიდან ამოღების მიუხედავად, განვითარებადი ქვეყნებისათვის, იმისდა მიუხედავად შინამეურნეობების ფარგლებში ქვემოთ მოტანილი წარმოების სახეები გამოიყენება თუ არა საბოლოო საკუთარი მოხმარებისათვის, მაინც შეიტანება წარმოების საზღვრებში. ესენია:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, ტყის ნარგავებისა და ნაყოფის შეგროვება, ხის ჭრა, შეშის შეგროვება, ნადირობა და თევზჭერა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, მარცვლეულის დაფქვა, ფქვილის წარმოება წისკვილში, ხორცისა და თევზის პროდუქტების წარმოება და შენახვა, ტყავის გამოყვანა და წარმოება, პროდუქტების დაკონსერვება, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, ყველის, კარაქის, ღვინის, ლუდის და სხვა სპირტიანი სასმელების წარმოება;

- ქსოვილების და ტანსაცმლის წარმოება, ჭურჭლის, ავეჯის და სხვა ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა;
- საბინაო მომსახურების გაწევა ბინის მესაკუთრეების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის;
- საშინაო და პირადი მომსახურების გაწევა დაქირავებული, ანაზღაურებადი შინამოსამსახურის მიერ;
- დაუკვირვებადი ეკონომიკა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის არსებობას განაპირობებს ისეთი მიზეზები, როგორცაა: ასეთი სახის საქმიანობის არაფორმალური ხასიათი (ე.ი. არ არის მოცული ფორმალური ეკონომიკის კვლევებით), იურიდიულად ნებადართული საქმიანობის დამალვა, უკანონო საქმიანობა. სახელმწიფო მართვის ორგანოებისათვის კანონიერი საქმიანობის დამალვა შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- გადასახადებისაგან თავის არიდება;
- საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნების შეუსრულებლობა.

დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოსავლენად ოფიციალური სტატისტიკური ორგანოები სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ, რომლებიც არაპირდაპირი გზით აფასებს ამ არასასურველ ეკონომიკურ მოვლენას და მის მოცულობებს ითვალისწინებენ ქვეყნის მაკრომაჩვენებლებში.

საქართველოში დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოვლენის ძირითადად ორი ფორმა არსებობს. ეკონომიკური სუბიექტები ცდილობენ საერთოდ დაემალონ სახელმწიფო აღრიცხვას, ან განგებ შეამცირონ თავიანთი ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები.

წარმოების დეფინიციის განმარტების შემდეგ, საწარმოს დონეზე სქემატურად გამოვსახოთ თუ როგორ განისაზღვრება გამოშვებული პროდუქციის ღირებულება.

გამოშვებული პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად:⁸⁷

⁸⁷ Glossary of business statistics, Methodology for business statistics, European Communities, Luxembourg, page 215, 1999.

ბრუნვა

– საქონლისა და მომსახურების შექმნა უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის

+/- მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგების ცვლილებები

+/- გადაყიდვისათვის შექმნილი საქონლის მარაგების ცვლილებები

+ კაპიტალიზირებული პროდუქცია (ანუ საკუთარი სარგებლობისათვის წარმოებული პროდუქცია)

= გამოშვებული პროდუქცია

შუალედური მოხმარება განისაზღვრება როგორც იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობა, რომელიც მოხმარებულია დანახარჯების სახით წარმოების პროცესში. შუალედური მოხმარება სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:⁸⁸

საქონლისა და მომსახურების შექმნა

– საქონლისა და მომსახურების შექმნა უცვლელ მდგომარეობაში გადაყიდვისათვის

+/- ნედლეულისა და მასალების, სხვა შრომის საგნების მარაგების ცვლილება

= შუალედური მოხმარება

გამოშვებული პროდუქციისა და შუალედური მოხმარების დეფინიციებისა და მათი გაანგარიშების სქემის აღწერის შემდეგ, განვსაზღვროთ დამატებული ღირებულების დეფინიცია. სწორედ ეს მაჩვენებელი წარმოადგენს ჩვენი კვლევისათვის საჭირო მახასიათებელს საწარმოს დონეზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის დადგენისათვის. დამატებული ღირებულება ასახავს წარმოებაში შრომისა და კაპიტალის წვლილს. მას შემდეგ რაც წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები გამოაკლდება დამატებულ ღირებულებას და სუბსიდიების ღირებულება (თუ ასეთს ადგილი აქვს) დაემატება, შეიძლება ავსახოთ შრომისა და კაპიტალის ანაზღაურების წილი. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ კაპიტალს (ძირითადი კაპიტალის სახით) გააჩნია განსაზღვრული

⁸⁸ Glossary of business statistics, Methodology for business statistics, European Communities, Luxembourg, page 311, 1999.

მომსახურების ვადა. ამდენად, დამატებული ღირებულების გარკვეული ნაწილი წარმოების პროცესში მონაწილეობის ხარჯზე მცირდება და სწორედ იგი იწოდება ძირითადი კაპიტალის მოხმარებად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დამატებული ღირებულების შეფასება როგორც მთლიან, ისე წმინდა საფუძველზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთლიან საფუძველზე დამატებული ღირებულება გაცილებით მარტივი დასათვლელია ვიდრე წმინდა საფუძველზე, თუმცა, ეს უკანასკნელი ანალიზური მიზნებისათვის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე პირველი.

უუქმდებლური დეფინიციების განხილვის შემდეგ დავუბრუნდეთ უშუალოდ კვლევას.

საწარმოს დონეზე მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება **ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის ფორმირება**. ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი ტვირთის განსაზღვრისაგან განსხვავებით ოპტიმალური ზომა განისაზღვრება როგორც საწარმოს მასშტაბით დარიცხული საგადასახადო შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი, შეფარდებული დამატებულ ღირებულებასთან.⁸⁹

ამრიგად, საწარმოს მიხედვით ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი იანგარიშება შემდეგნაირად: (მოგების გადასახადს + ქონების გადასახადი + იმპორტის გადასახადი + საშემოსავლო გადასახადი) / დამატებულ ღირებულებასთან. დამატებული ღირებულება ნებისმიერი ტიპის საწარმოსათვის იანგარიშება, როგორც მთლიან გამოშვებას გამოკლებული შუალედური მოხმარება.

საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისათვის გამოვიკვლიეთ 7781 მომუშავე საწარმო.

ზემოთ შემოთავაზებული სქემის მიხედვით თითოეული საწარმოსათვის გავიანგარიშეთ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი და საწარმოთა ტიპების ჭრილში შემდეგი სურათი მივიღეთ:

⁸⁹ თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე „გადასახადები და დაბეგვრა“, გვ 106, თბილისი, 2011

საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი საწარმოთა ტიპების (სიდიდის) მიხედვით⁹⁰

საწარმოთა ტიპები	საწარმოთა რაოდენობა	საშუალო ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი %-ში
მსხვილი	2492	1,11
საშუალო	2013	1,07
მცირე	2676	0,68
სულ	7181	0,94

ახლა განვიხილოთ საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

საწარმოს ტვირთი საქმიანობის სახეების მიხედვით 2011 წლ⁹¹

სექცია	საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობა	საშუალო ოპტიმალური ტვირთი %-ში
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	0,689
B	თევზჭერა, მეთევზეობა	0,466
C	სამთომოპოვებითი მრეწველობა	0,727
D	დამამუშავებელი მრეწველობა	0,819
E	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის მომარაგება	0,987
F	მშენებლობა	0,802
G	ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი	1,515
H	სასტუმროები და რესტორნები	0,695

⁹⁰ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

⁹¹ ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,454
K	ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	0,503
L	განათლება	0,289
M	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	0,253
N	კომუნალური მომსახურება	0,517
სულ	გამოკვლეული საწარმოები	0,940

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი საქონელმწარმოებელ საწარმოებში გაცილებით მაღალია, ვიდრე მომსახურების გაწევით დაკავებულ საწარმოებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ სამთომოპოვებითი მრეწველობით დაკავებული საწარმოები მათგან აკრეფილ გადასახადებს უკანვე ღებულობენ.

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი განსხვავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების და საწარმოთა ტიპების მიხედვით, ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე უფრო ობიექტურ წარმოდგენას გვაძლევს ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ (di) ჯგუფებად.

დეცილების გაანგარიშება მოვახდინეთ ისე, როგორც ანგარიშობენ მედიანას და ამის შესახებ მე-2 თავშიც იყო საუბარი. გამოკვლევაში მყოფი საწარმოები დავეყთ 10 ნაწილად.

ცხრილი N33

საწარმოების განაწილება დეცილურ ჯგუფებად ტვირთის ოპტიმალური ზომის მიხედვით⁹²

ჯგუფის ნომერი	ტვირთის მინიმუმი	ტვირთის მაქსიმუმი	საწარმოთა რაოდენობა
1	0,010	0,994	4954
2	0,994	1,979	1243
3	1,978	2,963	520
4	2,963	3,947	265

⁹² ავტორისეული გათვლები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

5	3,947	4,932	167
6	4,931	4,916	74
7	5,916	6,901	50
8	6,900	7,885	43
9	7,884	8,869	27
10	8,869	9,854	35

პირველი დეცილური ჯგუფის

$$ND_1 = (\sum F) \times 1/10 = 7377/10 = 737,7$$

$$D_1 = 0,010 + 0,985 \times (737,7 - 0)/4954 = 0.1566$$

მე-9 დეცილური ჯგუფის ნომერი

$$ND_9 = (\sum F) \times 9/10 = 6639,3$$

$$D_9 = 1,978 + 0,985 \frac{\left(\frac{9}{10}\right) \cdot 7377 - 6197}{520} = 2,82$$

ზემოთ ჩატარებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიხედვით საწარმოების მინიმალურ 10%-ს აქვს ტვირთის 1,5%, ხოლო უდიდესი ტვირთის მქონე 10%-ს კი-2,8%, რაც 1,9-ჯერ მეტია უმცირესზე. ამდენად, ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის დიფერენციაციის მაჩვენებელი მაღალია.

საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი მეორე გზითაც ვიანგარიშეთ. კერძოდ, თუ წინა გაანგარიშებიდან, უფრო სწორად ტვირთის გასაანგარიშებელი ფორმულის მრიცხველში არ შევიტანეთ დღე, რომელსაც, როგორც წესი, საბოლოო ანგარიშში მომხმარებელი საწარმოები იხდიან, ამჟამინდელ გაანგარიშებაში გადასახადების ჯამში შევიტანეთ დღე, რადგანაც მისი დანაწილება ოფიციალურ ანგარიშგებაში შექნილ ნედლეულზე და მომხმარებელ საწარმოებზე რთულია. საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო

ტვირთის გასაანგარიშებლად ვისარგებლეთ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული ინფორმაციული ბაზით. საწარმოთა ჩვეულებრივი საგადასახადო ტვირთისაგან (იანგარიშება თითოეული საწარმოს დონეზე გადასახადების ჯამის შეფარდებით საწარმოს საერთო შემოსავალთან) განსხვავებით ტვირთის ზომა ვიანგარიშეთ თითოეული საწარმოს გადასახადების ჯამობრივი მაჩვენებლის შეფარდებით დამატებულ ღირებულებასთან. საწარმოდან მოწოდებული ინფორმაციული რესურსის ხარისხის გათვალისწინებით გამოკვლევას დაუქვემდებარეთ 3754 საწარმო. მათ შორის მსხვილი საწარმოა - 1021, საშუალო - 868 და მცირე 1865.

ობიექტალური საგადასახადო ტვირთის სიდიდე საწარმოთა ტიპების მიხედვით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ცხრილი N 34

საწარმოთა ობიექტალური საგადასახადო ტვირთი პროცენტობით, 2011 წლის მონაცემები⁹³

საწარმოთა ტიპები	საწარმოთა რაოდენობა	საშუალო ობიექტალური საგადასახადო ტვირთი
მსხვილი	1021	45,7
საშუალო	868	49,6
მცირე	1865	33,1
სულ	3754	40,4

ახლა განვიხილოთ საწარმოთა ობიექტალური საგადასახადო ტვირთი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

⁹³ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საწარმოთა ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი საქმიანობის სახეების მიხედვით
2011 წლის მონაცემებით⁹⁴

საქმიანობის სახე		საწარმოთა რაოდენობა	ტვირთი,%
A	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	68	42,6
B	თევზჭერა, მეთევზეობა	13	33,6
C	სამთომოპოვებითი მრეწველობა	59	51,8
D	დამამუშავებელი მრეწველობა	639	43,1
E	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის მომარაგება	28	36,3
F	მშენებლობა	338	62,5
G	ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი	606	37,5
H	სასტუმროები და რესტორნები	131	45,3
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	455	38,1
J	ოპერაციები უძრავი ქონებით და იჯარა	745	41,4
K	განათლება	165	23,5
L	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	307	20,9
M	კომუნალური მომსახურება	200	41,9
	სულ	3754	40,4

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი მაღალია ისეთი სახის ეკონომიკური საქმიანობის სახეებში, როგორიცაა მშენებლობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა, თუმცა ამ უკანასკნელი

⁹⁴ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

საქმიანობის სახის საწარმოები მათგან აკრეფილ გადასახადებს უკანვე ღებულობენ. ტვირთის საშუალო მაჩვენებელზე (40,4%) მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება საქმიანობის ისეთ სახეებში, როგორცაა: სასტუმროები და რესტორნები, დამამუშავებელი მრეწველობა. საშუალო მაჩვენებელზე დაბალი მახასიათებლებით ხასიათდება: განათლების, ჯანდაცვის, ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმის და პირადი მოხმარების საგნების რემონტის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოები. ამასთან, განათლებისა და ჯანდაცვის საწარმოში საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ოპტიმალური საგადასახადო ტვირთი განსხვავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების და საწარმოთა ტიპების მიხედვით, ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქეზე უფრო ობიექტურ წარმოდგენას გვაძლევს ტვირთის მიხედვით საწარმოთა განაწილება დეცილურ (di) ჯგუფებად.

დეცილების გაანგარიშება მოვახდინეთ ისე, როგორც ანგარიშობენ მედიანას და ამის შესახებ მე-2 თავშიც იყო საუბარი. გამოკვლევაში მყოფი საწარმოები დაეყოთ 10 ნაწილად.

ცხრილი N36

საწარმოების განაწილება დეცილურ ჯგუფებად ტვირთის ოპტიმალური ზომის მიხედვით⁹⁵

ჯგუფის ნომერი	ტვირთის მინიმუმი	ტვირთის მაქსიმუმი	საწარმოთა რაოდენობა	დეცილური ჯგუფების ხვედრითი წილი
1	0,02	10,01	251	6,7
2	10,01	20,01	1054	28,1
3	20,01	30,00	612	16,3
4	30,00	39,99	270	7,2
5	39,99	49,98	226	6,0
6	49,98	59,98	282	7,5

⁹⁵ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

7	59,98	69,97	326	8,7
8	69,97	79,96	259	6,9
9	79,96	89,96	241	6,4
10	89,96	99,95	233	6,2
სულ			3754	

პირველი დეცილური ჯგუფის

$$ND_1 = (\sum F) \cdot \frac{1}{10} = \frac{3754}{10} = 375,4$$

$$d_1 = X_{d_1} + i \cdot \frac{\left(\frac{1}{10} \cdot \sum F - S_{d_1} - 1\right)}{fd_9} = 0,02 + 0,999 \cdot \frac{\left(\frac{1}{10}\right) \cdot 3754 - 0}{251} = 0,1695$$

მე-9 დეცილური ჯგუფის ნომერი

$$ND_9 = (\sum F) \cdot \frac{9}{10} = 3754 \cdot \frac{9}{10} = 3378$$

$$d_9 = X_{d_9} + i \cdot \frac{\left(\frac{9}{10} \cdot \sum F - S_{d_9} - 1\right)}{fd_9} = 79,96 + 0,999 \cdot \frac{\left(\frac{9}{10}\right) \cdot 3754 - 3378}{241} = 80$$

ზემოთ ჩატარებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიხედვით მთელი ტვირთიდან ყველაზე მაღალი ტვირთის მქონე საწარმოთა 10%-ს 472-ჯერ მეტი ტვირთი აქვს ყველაზე დაბალი ტვირთის მქონე საწარმოთა 10%-თან შედარებით, რაც ოპტიმალური ტვირთის არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს .

3.2 პირდაპირი გადასახადის განაკვეთის გაანგარიშების ალგორითმი და მისი გამოცდა არაფინანსურ კორპორაციებში (მოგების გადასახადის მაგალითზე)

ჩვენი საკვლევი თემის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია საწარმოთა დონეზე ამა თუ იმ გადასახადის საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური ზომის დადგენა. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პრობლემა დაუმუშავებელია მსოფლიოს მასშტაბით. ანუ სხვადასხვა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილების გაცნობამ გვიჩვენა, რომ ასეთი სახის მეთოდოლოგია, თუ რატომ იხდიან მეწარმეები, მაგალითად, მოგების გადასახადის 15%-ს და არა 20%-ს ან 10%-ს დღემდე მეცნიერულად და პრაქტიკულად შეუსწავლელია. მოცემული პრობლემის მოგვარება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად დადებითად იმოქმედებს საწარმოს საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურობაზეც.

ჩვენი აზრით, გადასახადის ორადი ბუნებიდან გამომდინარე, ვთქვათ ავიღოთ მოგების გადასახადი, მისი განაკვეთის სიდიდე უნდა გამომდინარეობდეს იმ პროცენტული პროპორციით, რაც საწარმოს წლიური საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგებით საწარმოს მოგებას (გადასახადების გადახდამდე) უჭირავს საწარმოს საერთო წლიურ შემოსავალში. 2011 წლის შედეგებით ქვეყნის საწარმოების მიხედვით მოცემული საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 11%-ს და არა 15%-ს, როგორც ეს ქვეყნის საგადასახადო კოდექსით არის გათვალისწინებული. მოცემულ 11%-ს დავარქვათ *საწარმოს სავალდებულო ბეგარა საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის*. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი თითოეული საწარმოსათვის იქნება განსხვავებული საკუთარი საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე. რაც შეეხება საგადასახადო განაკვეთის მეორე ნაწილის 4 პროცენტს, მას დავარქვათ *თითოეული საწარმოს, შინამეურნეობის და მოქალაქეთა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, სოციალური უზრუნველყოფის, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურების მიღებისათვის გაცემული ბეგარა*. რაც შეეხება გადასახადის ზედა ზღვარის დადგენას, მის განსაზღვრაში მეწარმეებთან ერთად უნდა გამოიკითხოს მთავრობის, პარლამენტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოგების გადასახადის განაკვეთის ზედა ზღვარის განსაზღვრის მეორე საშუალებად გვესახება

მსოფლიოს სახელმწიფოთა დიდი ოცეულის (G20) განცხადება მოგების გადასახადზე საგადასახადო გათანაბრების ერთიან სტანდარტთან დაკავშირებით. უფრო სწორად, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის წინადადებით იხილავენ კორპორაციებისათვის მოგებაზე ერთიანი საგადასახადო განაკვეთის შემოღების საკითხს. მოცემული წინადადების ავტორები ფიქრობენ, რომ ევროზონის და არამარტო ევროზონის სახელმწიფოებში ასეთი ერთიანი გადასახადის შემოღებით შემცირდება კაპიტალის გადაადგილება მაღალი განაკვეთის მქონე ქვეყნებიდან დაბალი განაკვეთის მქონე ქვეყნების მიმართულებით. ეს გარკვეულწილად დაეხმარება ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემების მოგვარებასაც. მოცემული პრობლემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მსოფლიოს 2008 წლის ფინანსური კრიზისის დადგომის შემდეგ, სწორედ ამიტომ იყო დასმული საკითხი ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. სტიგლიცის მოხსენებაში იმის თაობაზე, რომ ფინანსური კრიზისის დადგომის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მახასიათებლად განისაზღვროს ქვეყნის ინსტიტუციურ სექტორებს შორის ურთიერთდავალიანებებზე სათანადო ინფორმაციის არსებობა. აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, კომპანიებმა მოგების გადასახადი გადაიხადონ იქ, სადაც ხდება მათი შემოსავლების გენერირება. ასეთი ღონიძიების გატარებით ქვეყნები თავს აარიდებენ ოფშორულ ზონებში ამჟამად არსებულ გაუმართლებელ შეღავათებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ G20-ის ერთადერთ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მოგების გადასახადის განაკვეთის გათანაბრება სამომავლოდ მოხდეს არამარტო ევროზონის სახელმწიფოებზე, არამედ უფრო დიდი მასშტაბით.

ახლა ვაჩვენოთ, თუ როგორი წესით გავანაწილოთ საგადასახადო განაკვეთის ის 4 პროცენტი, რომელიც სხვაობის სახით საწარმოთა სავალდებულო ბეგარას (განაკვეთის ქვედა ზღვარი) და მოგების გადასახადის ზედა ზღვარს (15%) შორის არსებობს. მოცემული ამოცანის შესასრულებლად მივმართეთ მეწარმეებს და ჩავატარეთ მათი გამოკითხვა. გამოკითხვის ჩასატარებლად თხოვნით მივმართეთ მეწარმეებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით 10 ქულიანი სისტემით ყველაზე მეტი 10 ქულა მიენიჭებინათ ხარჯების იმ სახეობისთვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვან ხარჯად მიაჩნიათ. დანარჩენი ქულები რანჟირების მიხედვით (9,8,7,6,5,4,3,2,1) მეწარმეთა შეხედულებით მიენიჭოს ქვემოთ ჩამოთვლილი მუხლების მიხედვით.

1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
2. თავდაცვა
3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
4. ეკონომიკური საქმიანობა
5. გარემოს დაცვა
6. საბინაო კომუნალური მეურნეობა
7. ჯანმრთელობის დაცვა
8. დასვენება, კულტურა და რელიგია
9. განათლება
10. სოციალური დაცვა

მიღებული მასალის განზოგადებით შესაძლებელი იქნება განვსაზღვროთ მოგების ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი, ასევე წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პრიორიტეტებზე, რომელთაც მეწარმეები უპირატესობას ანიჭებენ საბიუჯეტო ხარჯების ფუნქციონალური განაწილებისას.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის ვარგისიანობა გამოვცადეთ საქართველოს სხვადასხვა სახის საქმიანობით დაკავებული 70 მსხვილ და საშუალო საწარმოში. კვლევის შედეგები გამოვსახოთ ცხრილის სახით.

ცხრილი N37

70 საწარმოს გამოკითხვის შედეგი

N	კითხვები	ქულები	დაკავებული ადგილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	338	IX
2	თავდაცვა	354	VIII
3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	401	III
4	ეკონომიკური საქმიანობა	326	X
5	გარემოს დაცვა	356	VII
6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	399	IV
7	ჯანმრთელობის დაცვა	398	V
8	დასვენება, კულტურა და რელიგია	474	I
9	განათლება	438	II

10	სოციალური დაცვა	366	VI
----	-----------------	-----	----

ამრიგად, როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს მეწარმეები მათგან აკრებილი მოგების 4 პროცენტის განაწილებაში პრიორიტეტებს ანიჭებენ: რელიგიის, დასვენების, აგრეთვე განათლების, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებს.

3.3. საბიუჯეტო გადასახადების მიმოხილვა საქართველოში

საქართველოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბა-ფორმირების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია საგადასახადო სისტემა. საქართველოს საგადასახადო სისტემამ დღიდან ჩამოყალიბებისა მრავალი ცვლილება განიცადა, თუმცა მისი ფუნქციონირება შედარებით სტაბილური გახდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის (1997წ) მიღების შემდეგ. კოდექსმა და საგადასახადო სისტემამ მრავალი ცვლილება განიცადა და ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მოქმედი გადასახადები მათი რაოდენობის, გადასახადების გამოანგარიშების წესის სიმარტივისა და გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მხრივ ერთ-ერთი მიმზიდველი და შთამბეჭდავია პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში.

ამასთან, საქართველოში მოქმედ გადასახადებთან დაკავშირებულია რიგი პრობლემები.

დამატებული ღირებულების გადასახადი არის საქონლის (მომსახურების) წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული (ახლად შექმნილი) ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა. დამატებული ღირებულება ისეთი საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემა იანგარიშება, როგორც მთლიან გამოშვებასა და შუალედურ მოხმარებას შორის სხვაობა. საქართველოში დამატებული ღირებულება განისაზღვრება, როგორც სხვაობა რეალიზებული საქონლის (მომსახურების) ღირებულებასა და იმ მატერიალური დანახარჯების ღირებულებას შორის, რომელიც მიეკუთვნება წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯებს. ამრიგად, შინაარსობრივად საქართველოში დღგ-ის დეფინიცია იდენტურია მსოფლიოში მიღებული დეფინიციის. მოცემული გადასახადი პირველად საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში შემოიღეს 1958 წელს. ამჟამად, დღგ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების საგადასახადო სისტემაში მოქმედებს როგორც არაპირდაპირი გადასახადი. საქართველოში დღგ შემოღებულია 1992 წლიდან.

დღგ-ს გადამხდელად ითვლება ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, გატარებულია რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად და მისი ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება

100 000 ლარს.⁹⁶ აგრეთვე პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე. ასეთ შემთხვევაში დღგ გადაიხდება იმპორტირებული საქონლის განბაჟების დროს.

დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია:

- დასაბეგრი ოპერაცია;
- იმპორტი;
- ექსპორტი, რეექსპორტი;
- დროებითი შემოტანა

საქონლის მიწოდების ადგილია:

- საქონლის გადაცემის ადგილი;
- საქონლის მიღებს ადგილი ელექტრო, თბოენერჯის, გაზის ან წყლის მიწოდებისას;
- საქართველო, თუ ხდება იგივე საქონლის საქართველოდან ექსპორტი.

მომსახურების გაწევის ადგილია:

- უძრავი ქონების ადგილმდებარეობა, თუ მომსახურება უკავშირდება ამ ქონებას;
- მომსახურების ფაქტობრივად გაწევის ადგილი, თუ იგი ხორციელდება კულტურის, ხელოვნების, განათლების, დასვენების, ფიზკულტურის და სპორტის სფეროებში.

დასაბეგრი ოპერაციების თანხა განისაზღვრება საქონლის (მომსახურების) საბაზრო ფასით (გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების ჩათვლით) დღგ-ის გარეშე.

გადასახადისაგან თავისუფლდება:

- ეროვნული ან/და უცხოური ვალუტის, ფასიანი ქაღალდების მიწოდება ან/და ექსპორტი;
- ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროსა და ოქროს ზოდების იმპორტი;

⁹⁶ დღგ-ს დეფინიცია და მასთან დაკავშირებული დაბეგვრის საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. რაც შეეხება წინადადებებს მოცემული გადასახადით დაბეგვრის სრულყოფასთან დაკავშირებით ავტორისეულია. იხ. გვ. 147

- სამეცნიერო ლიტერატურის, სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მიწოდება და იმპორტი;
- რელიგიური, ღვთის სამსახურო საგნების მიწოდება რელიგიური მიზნებით;
- სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის ქონების მიხედვით;
- სამედიცინო მომსახურების გაწევა;
- ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშებით მომსახურების გაწევა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიერ გაწეული განათლების მომსახურება;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ზოგიერთ კოდებში მითითებული საქონლის იმპორტი.

დღგ-ის განაკვეთები საქართველოში აღნიშნული გადასახადის შემოღებიდან რამოდენიმეჯერ შეიცვალა. საწყის ეტაპზე იგი შეადგენდა 28%-ს, შემდეგ 14%-ს, შემდეგ 20%-ს, ხოლო ამჟამად იგი დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის 18%-ს შეადგენს.

დამატებული ღირებულების გადასახადზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

ცხრილი N38

დღგ-ს სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში 2003-2012 წლებში⁹⁷

დღგ	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1.დღგ-ს ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების ჯამობრივ										

⁹⁷ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მაჩვენებელთან %-ით	40,4	43,2	50,0	50,3	54,0	43,5	46,7	45,2	45,3	45,6
2.დღგ-ს ზრდის მაჩვენებელი %-ით წინა წელთან	101	162	149	135	148	105	99	107	126	109

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, დამატებული ღირებულების გადასახადს ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში. საშუალოდ მოცემული გადასახადი 2003-2012 წლებში საშუალოდ წელიწადში 1,13 –ჯერ გაიზარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაგვაჩნია შემდეგი წინადადებები:

- დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა მართალია გაიზარდა 100 000 ლარამდე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ზღვრული თანხა განისაზღვროს 200 000 ლარით.
- დღგ-ის განაკვეთი მართალია 20%-დან შემცირდა და იგი ამჟამად შეადგენს 18%-ს, მაგრამ ერთიანი გადასახადი საჭიროა შეიცვალოს გარდამავალი ეკონომიკის მდგომარეობის მქონე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კერძოდ, მოხდეს მისი დიფერენციაცია და ხელი შეეწყოს ინვესტიციების მაღალი ტემპებით შემოდინებას და აგრეთვე ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებას.
- საკმაოდ მაღალი გვეჩვენება და უნდა შემცირდეს იმ ოპერაციათა ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებისას დღგ-ს გადამხდელს შეუძლია მიიღოს ჩათვლა, აგრეთვე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-საგან გათავისუფლებული საქონლის მიწოდება და იმპორტი;

აქციზის გადამხდელია:⁹⁸ პირი, რომელიც:

- აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;
- ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;
- ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

აქციზის დაბეგვრის ობიექტია:

- დასაბეგრი ოპერაცია;
- აქციზური საქონლის იმპორტი;
- აქციზური საქონლის ექსპორტი

აქციზით დასაბეგრი ოპერაციები და დასაბეგრი ოპერაციების განხორციელების მომენტი:

- მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდების ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანის მომენტი;
- მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემის მომენტი;
- საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენების დაწყების მომენტი;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდების მომენტი;
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტად ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის თანხა განისაზღვრება:

- ალკოჰოლური სასმელისათვის ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;
- თამბაქოს ნაწარმისათვის დ თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით;

⁹⁸ აქციზის დაბეგვრასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. წინადადებები მოცემული გადასახადის დაბეგვრასთან დაკავშირებით ავტორისეულია. გვ. 155 – 156

- ნავთობპროდუქტისათვის დ ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);
- მსუბუქი ავტომობილისათვის დ მსუბუქი ავტომობილის წლოვანებით ან ძრავის მოცულობით;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსანტისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის და აირის მოცულობით;
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში და მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით.

ცხრილი N 39

აქციზური საქონლის დაბეგვრის განაკვეთები: (ძირითადად ალკოჰოლური სასმელებისათვის)⁹⁹

№	კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი (ლარი)
1	ლუდი			
	2203 00	ალაოს ლუდი	1 ლ	0.4
2	ეთილის სპირტი და ალკოჰოლური სასმელები			
	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	1 ლ	2.5
	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. % ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	1 ლ	2.6
	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით (გამოხდით)	1 ლ	4.6
	2208 30	– ვისკი	1 ლ	5
	2208 40	– რომი და ტაფია	1 ლ	5
	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1 ლ	5
	2208 60	– არაყი	1 ლ	3
	2208 70	– ლიქიორები	1 ლ	4.6
	2208 90 110 00	– – – არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	2.5
	2208 90 190 00	– – – არაკი (arrack) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	2.5
	2208 90 330 00	– – – ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	3

⁹⁹ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010

	2208 90 380 00	--- ქლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა) ჭურჭელში ტევადობით 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	3
	2208 90 410 00	---- უზო	1 ლ	3.5
	2208 90 450 00	----- კალვადოსი	1 ლ	4
	2208 90 480 00	----- დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 520 00	----- კორნი	1 ლ	4
	2208 90 540 00	----- ტეკილა	1 ლ	4
	2208 90 560 00	----- დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 690 01	----- სპირტის ფაქტობრივი კონცენტრაციით არა უმეტეს 7 მას.%-ისა	1 ლ	1
	2208 90 690 09	----- დანარჩენი	1 ლ	3
		--- 2 ლ-ზე მეტი ტევადობის ჭურჭელში		
	2208 90 710 00	----- ხილისაგან გამოხდილი	1 ლ	3.5
	2208 90 750 00	----- ტეკილა	1 ლ	4
	2208 90 770 00	----- დანარჩენი	1 ლ	3
	2208 90 780 00	----- დანარჩენი სპირტიანი სასმელები	1 ლ	3
		--- ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, ჭურჭელში ტევადობით		
	2208 90 910 00	--- 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები	1 ლ	3
	2208 90 990 00	--- 2 ლ-ზე მეტი	1 ლ	3
3	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა)			
(30.0 7.201 3 N 906 ამოქ მედ დეს 2013 წლი ს 1 სექტ ემბრ იდა ნ	2402 10 000 01	--- სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით	1 ღერი	0.9
	2402 10 000 02	--- სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	1
	2402 20	ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	20 ღერი	0.2
	2403 11 000 00*	--- ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად	1 კგ	20
	2403 19 000 00*	--- დანარჩენი	1 კგ	20
	2403 99 100 00	--- სალეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო	1 კგ	20
4	მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ³			
	8703	ა) 1 წლამდე	1 სმ ³	1.5
		ბ) 1 წლის	1 სმ ³	1.5
		გ) 2 წლის	1 სმ ³	1.4
		დ) 3 წლის	1 სმ ³	1.3
		ე) 4 წლის	1 სმ ³	1.2
		ვ) 5 წლის	1 სმ ³	1
		ზ) 6 წლის	1 სმ ³	0.7

	თ) 7 წლის	1 სმ³	0.5	
	ი) 8 წლის	1 სმ³	0.5	
	კ) 9 წლის	1 სმ³	0.5	
	ლ) 10 წლის	1 სმ³	0.5	
	მ) 11 წლის	1 სმ³	0.5	
	ნ) 12 წლის	1 სმ³	0.5	
	ო) 13 წლის	1 სმ³	0.6	
	პ) 14 წლის	1 სმ³	0.7	
	ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ³	0.8	
5	ნავთობპროდუქტების აირები და ბუნებრივი აირი (გარდა მილსადენით გადაადგილებულისა)			
	2709 00 100 00	– აირის კონდენსატი ბუნებრივი	1000 მ³	80
	2711 11 000 00	– – ბუნებრივი აირი (გათხევადებული)	1000 მ³	80
	2711 12	– – პროპანი	1 ტ	120
	2711 13	– – ბუტანები	1 ტ	120
	2711 14 000 00	– – ეთილენი, პროპილენი, ბუტილენი და ბუტადიენი	1 ტ	120
	2711 19 000 00	– – დანარჩენი	1 ტ	120
	2711 21 000 00	– – ბუნებრივი აირი (აირისებრ მდგომარეობაში)	1000 მ³	80
6	ნავთობპროდუქტები, ნავთობის დისტილატები და ნამუშევარი ნავთობპროდუქტები			
	2710 12	– – მსუბუქი დისტილატები და პროდუქტები	1 ტ	250
	2710 19 110 00	– – – – – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	220
	2710 19 150 00	– – – – – ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 110 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	220
	2710 19 210 00	– – – – – რეაქტიული სათბობი	1 ტ	220
	2710 19 250 00	– – – – – დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 290 00	– – – – – დანარჩენი	1 ტ	220
	2710 19 310 00	– – – – – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	150
	2710 19 350 00	– – – – – ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 310 00 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	150
	2710 19 410 00	– – – – – გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 450 00	– – – – – გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 19 490 00	– – – – – გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 19 710 00	– – – – – გადამუშავების სპეციფიკური პროცესებისათვის	1 ტ	400
	2710 19 750 00	– – – – – ქიმიური გარდაქმნებისათვის პროცესებში, 2710 19 710 ქვესუბპოზიციაში მითითებულის გარდა	1 ტ	400
	2710 19 810 00	– – – – – მრავალ ზეთები, კომპრესორის საპოხი ზეთი, ტურბინის საპოხი ზეთი	1 ტ	400
	2710 19 830 00	– – – – – სითხეები ჰიდრავლიკური მიწებისათვის	1 ტ	400
	2710 19 850 00	– – – – – ღია ფერის ზეთები, ვაზელინის ზეთი	1 ტ	400
2710 19 870 00	– – – – – ზეთი კბილანებისათვის და ზეთი	1 ტ	400	

		რედუქტორებისათვის		
	2710 19 910 00	----- ლითონების დასამუშავებელი შედგენილობები, ფორმების გასაპოხი ზეთები, ანტიკოროზიული ზეთები	1 ტ	400
	2710 19 930 00	----- ელექტრული საიზოლაციო ზეთები	1 ტ	400
	2710 19 990 00	----- დანარჩენი საპოხი ზეთები და ზეთები დანარჩენი	1 ტ	400
	2710 20 110 00	----- გოგირდის შემცველობით არა უმეტეს 0,05 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 20 150 00	----- გოგირდის შემცველობით 0,05 მას.%-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 0,2 მას.%-ისა	1 ტ	150
	2710 20 190 00	----- გოგირდის შემცველობით 0,2 მას.%-ზე მეტი	1 ტ	150
	2710 20 390 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
	2710 91 000 00	-- პოლიქლორბიფენილების, პოლიქლორტრიფენილების ან პოლიბრომბიფენილების შემცველობით	1 ტ	400
	2710 99 000 00	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები - ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარევი	1 ტ	50
		ნამუშევარი ნავთობპროდუქტები დანარჩენი	1 ტ	400
7	ბიოდიზელი			
	3826 00 000 00	ბიოდიზელი და მისი ნარევი, რომლებიც შეიცავს ან არ შეიცავს მასის 70 მას.%-ზე ნაკლები ოდენობით ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებულ ნავთობს ან ნავთობპროდუქტებს	1 ტ	150
8	პიროლიზის თხევადი პროდუქტი			
	3911 90	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	1 ტ	400
9	ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები			
	2707 99 110 00	--- გაუწმენდავი მსუბუქი ზეთები, რომელთა 90 მოც.% ან 90 მოც.-%ზე მეტი გამოიხდება 200° C ტემპერატურამდე	1 ტ	350
	2707 99 190 00	---- დანარჩენი	1 ტ	350
	2707 99 300 00	--- დაგოგირდებული მსუბუქი ზეთები	1 ტ	350
	2707 99 500 00	--- ძირითადი პროდუქტები	1 ტ	350
	2707 99 700 00	--- ანთრაცენი	1 ტ	350
	2707 99 990 00	---- დანარჩენი	1 ტ	350
10	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი			
	2707 10 100 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 10 900 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 20 100 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 20 900 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 30 100 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 30 900 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 50 100 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2707 50 900 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2707 99 800 00	--- ფენოლები	1 ტ	400

	2712 20 100 00	-- სინთეზური პარაფინი მოლეკულური მასით 460 ან 460-ზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 1560-ისა	1 ტ	400
	2712 20 900 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
	2902 11 100 00	--- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 11 900 00	--- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2902 19 100 00	--- ციკლოტერპენები	1 ტ	400
	2902 19 800 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
	2902 20 000 00	- ბენზოლი	1 ტ	400
	2902 30 100 00	-- სათბობად გამოსაყენებელი	1 ტ	400
	2902 30 900 00	-- სხვა მიზნებისათვის	1 ტ	400
	2905 11 000 00	-- მეთანოლი (მეთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 12 000 00	-- პროპან-1-ოლი (პროპილის სპირტი) და პროპან-2-ოლი (იზოპროპილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 13 000 00	-- ბუტან-1-ოლი (ნ-ბუთილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 100 00	--- 2-მეთილპროპან-2-ოლი (ტრეტბუტილის სპირტი)	1 ტ	400
	2905 14 900 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
	2905 16 100 00	--- 2-ეთილჰექსან-1-ოლი	1 ტ	400
	2905 16 200 00	--- ოქტან-2-ოლი	1 ტ	400
	2905 16 800 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
	3811 11 100 00	--- ტეტრაეთილტყვიის ფუძეზე	1 ტ	400
	3811 11 900 00	--- დანარჩენი	1 ტ	400
	3811 19 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
	3811 21 000 00	-- ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების შემცველობით	1 ტ	400
	3811 29 000 00	-- დანარჩენი	1 ტ	400
	3811 90 000 00	- დანარჩენი	1 ტ	400
	3814 00 100 00	- ბუტილაცეტატის ფუძეზე	1 ტ	400
	3814 00 900 00	- დანარჩენი	1 ტ	400
11	საპოხი მასალები და საშუალებები			
	3403 11 000 00	- - ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 100 00	- - - ნავთობისაგან ან ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობპროდუქტების არამირითადი კომპონენტის სახით შემცველობით 70 მას.% ან 70 მას.%-ზე მეტი	1 ტ	400
	3403 19 910 00	- - - - მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 19 990 00	---- დანარჩენი	1 ტ	400
	3403 91 000 00	- - ტექსტილის მასალების, ტყავის, ბეწვეულის ან დანარჩენი მასალების დამამუშავებელი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 100 00	- - - მანქანების, მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საპოხი საშუალებები	1 ტ	400
	3403 99 900 00	--- დანარჩენი	1 ტ	400

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10%-ს. აქციზისაგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე.

ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისგან გათავისუფლებულია:

- ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელები;
- ფიზიკური პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანილი 4 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 194 დე მუხლის მე-5 პოზიციით განსაზღვრული სიგარეტისა და თამბაქოს სხვა ნაწარმი დადგენილ წონებში;
- საერთაშორისო საავიაციო და საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების იმპორტი;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.

აქციზზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე, განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

ცხრილი N40

აქციზის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში 2003-2012 წლებში¹⁰⁰

აქციზი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1. აქციზის ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის										

¹⁰⁰ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელთან %-ით	19,3	14,0	15,4	13,8	11,7	11,0	10,1	11,5	10,0	9,9
2.აქციზის ზრდის მაჩვენებელი %-ით წინა წელთან	112	109	144	119	118	121	85	127	110	107

აქციზის გადასახადს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ჯამობრივ მაჩვენებელში მე-4 ადგილი უჭირავს. ამასთან, მოცემული გადასახადი 2003-2012 წლებში საშუალოდ წელიწადში 1,1-ჯერ გაიზარდა.

აქციზის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაგვანია შემდეგი წინადადებები:

აქციზური საქონელი, როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ იბეგრება ზომის ერთეულის (ლიტრი, კგ, სმ³, 100 მ³, ტონა) აქციზის განაკვეთით (ლარი). მოცემული პრაქტიკა გამოიყენება ალკოჰოლური სასმელების, სიგარეტისა და სიგარეტის პროდუქტების, ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების და რიგი სხვა საქონლის წარმოებისა და შემოტანა-გატანის ოპერაციებისას. თუმცა მაგალითად, თუ ავიღებთ საწვავს, ან სპირტიან სასმელებს მათი ტონებისა და ლიტრების მიხედვით აქციზის განაკვეთების დაწესება ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს საწვავის სითბური წვის სიმძლავრეს და ალკოჰოლური სასმელების სიმძლავრეს სპირტიანობის მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვანია ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და სხვა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გავიანგარიშოთ მათი წარმოება და/ან შემოტანა და გატანა პირობით ნატურალურ ზომის ერთეულებში. ასე მაგალითად, სხვადასხვა სახის ორგანული საწვავი შეიძლება გადავიყვანოთ პირობით საწვავში წვის თბოუნარიანობით 29,3 მეგაჯოული (7 000 კილოკალორია/კგ).

პირობით ნატურალურ ზომის ერთეულებში გადაყვანა შესაძლებელია სპეციალური კოეფიციენტებით, რომლებიც იანგარიშება ცალკეული სამომხმარებლო თვისების მქონე პროდუქტების ეტალონურ მნიშვნელობასთან შეფარდებით. მაგალითად, ავიღოთ 100 ტონა ნავთობი 45 მეგაჯოული/კგ წვის

თბოუნარიანობით, იგი პირობით საწვავზე გადაყვანით ტოლი იქნება 153,6 ტონა პირობითი საწვავის (100X45/29,3) და ა.შ.¹⁰¹

ასეთივე პირობითი ნატურალური ზომის ერთეულებით შეიძლება შევადაროთ ძლიერი, საშუალო და მსუბუქი სპირტიანობის შემცველი სასმელები; სხვადასხვა დანიშნულების ზეთები და ა.შ. ამის შემდეგ როდესაც ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე მივიღებთ პირობითი ზომის ერთეულებს, შემდეგ მოვახდინოთ მათზე აქციზის განაკვეთის (ლარებში) დაწესება. აქციზის განაკვეთის გამოანგარიშების შემოთავაზებული მეთოდი უფრო სამართლიანი იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით მეწარმეებისათვის.

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.¹⁰²

მოცემული გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით დიფერენცირებულია იმპორტის საგადასახადო განაკვეთები. უმეტესი საქონლის საბაჟო ღირებულება იბეგრება 12%-იანი განაკვეთით. ასეთი საქონლის გამსხვილებული ჯგუფებია: ფრინველი, სხვადასხვა ნაირსახეობის ხორცი, ხილი, ბოსტნეული, ბურღუღეული, სხვადასხვაგვაროვანი წვენები, ყავა, ჩაი, სამშენებლო პროდუქცია, ღუმელები. 5%-იანი განაკვეთით იბეგრება ისეთი საქონლის საბაჟო ღირებულება, როგორცაა: ღორის ხორცი, ყველი და ხაჭო, პლასტმასის სხვადასხვაგვაროვანი ნაწარმი, საკანცელარიო საქონელი.

ალკოჰოლის შემცველი საქონელი იბეგრება ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე). გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,5 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

¹⁰¹ Теория статистики под редакцией проф.Р.А. Шмоиловой, М.2007, стр.191

¹⁰² იმპორტის გადასახადთან დაკავშირებული საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. რაც შეეხება მოცემული გადასახადის დაბეგვრასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ წინადადებებს, იგი ავტორისეულია. გვ.158-159

იმპორტის გადასახადისაგან თავისუფლდება:

- საქონლის იმპორტი დაკავშირებული სტიქიური უბედურების და კატასტროფის ლიკვიდაციის, ასევე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით;
- საქონლის იმპორტი გრანტის ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
- ფიზიკური პირის მიერ კალენდარულ დღეში ერთჯერ შესაბამის სასაქონლო ნომენკლატურის, კოდექსის 199-ე მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნომენკლატურისა და ჯგუფების 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი;
- კოდექსის 199-ე მუხლის დ.გ) პოზიციით საჰაერო ტრანსპორტით შემოტანილი სიგარეტის და თამბაქოს სხვა ნაწარმის რაოდენობა და 4 ლიტრი ყველა სახის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი;
- საზღვარგარეთ ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ 15 ათასი ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის. როტაციის წესით, სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული, დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან თანამდებობის პირისათვის დამატებით ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის იმპორტი.
- ბავშვთა კვებისა და დიაბეტური კვების პროდუქტების იმპორტი;
- საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საქონლის იმპორტი;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან იმპორტი.

იმპორტის გადასახადზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე, განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

იმპორტის გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში
2003-2012 წლებში ¹⁰³

იმპორტის გადასახადი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1.იმპორტის გადასახადის ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელთან %-ით	8,0	9,4	6,2	5,0	1,4	1,1	0,8	1,4	1,5	1,3
2.იმპორტის გადასახადის ზრდის მაჩვენებელი %-ით წინა წელთან	136	179	86	107	39	99	69	196	132	97

იმპორტის გადასახადი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით ბოლო ადგილზეა. ამასთან, მოცემული გადასახადი 2003-2012 წლებში საშუალოდ წელიწადში 0,7-ჯერ გაიზარდა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით გაგვაჩნია შემდეგი წინადადებები: საქართველოსათვის, როგორც საბზრო ურთიერთობების პირობებში მოღვაწე ქვეყნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ოპტიმალური საგადასახადო

¹⁰³ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

განაკვეთების დაწესებით უზრუნველყოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და ცხოვრებაში გატარება. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმპორტის გადასახადს, რადგანაც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან ქვეყნის საქონლისა და მომსახურების იმპორტი ჯერადობით ჭარბობს ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვების ძირითად პროდუქტებზე იმპორტის გადასახადების განაკვეთების დაწესებისას გამოყენებული იქნას ცალკეული პროდუქტების სასურსათო ბალანსების (წარმოება, მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი) მონაცემები ქვეყნის სამამულო წარმოების მხარდაჭერისა და აღორძინების მიზნით. გარდა ამისა, იმპორტირებული საქონლისა და განსაკუთრებით ნავთობპროდუქტების იმპორტის განაკვეთების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას არა მარტო ქვეყნის ფისკალური ეფექტი, არამედ შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობა, რისთვისაც საჭიროა დავიწყეთ ეკოლოგიური კვალის მაჩვენებლის გაანგარიშება არა მარტო საქართველოში წარმოებული პროდუქციის, არამედ იმპორტირებული პროდუქციის მიხედვითაც.

საშემოსავლო გადასახადის გადაამხდელია:¹⁰⁴

- რეზიდენტი ფიზიკური პირი
- არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის დაბეგვრის ობიექტია საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა წლის მანძილზე მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

¹⁰⁴ საშემოსავლო გადასახადის საპროცენტო განაკვეთების, ადმინისტრირების და სხვა მსგავსი საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. საშემოსავლო გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული წინადადებები ავტორისეულია. (გვ. 165, 166, 167).

ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6 000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარი.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

- არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;
- მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, სახელმწიფო სტიპენდია, დახმარებები და ერთჯერადი გასაცემლები ბიუჯეტიდან ან/და სარეზერვო ფონდებიდან;
- ალიმენტი, განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);
- ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწის რეალიზაციით მიღებული ნამეტი, აგრეთვე საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება. აგრეთვე III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;
- 2014 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს.

მოცემული გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება ასევე: პრივატიზაციის, მიწისძვრებითა და სტიქიური უბედურებების შედეგად ბინების უსასყიდლოდ მიღების სარგებელი, დევნილებისათვის გადაცემული ქონების ღირებულება ან ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი, საერთაშორისო კომპანიების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, სახელმწიფოს ან ეროვნული ბანკის სასესხო ფასიანი

ქაღალდებიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რეზიდენტი ფიზიკური პირის შემოსავალი საქართველოს გარეთ არსებული წყაროდან, შსს ან სამხედრო სამსახურისათვის დასახიჩრებული ან/და დაინვალიდებულ თანამშრომელთა, აგრეთვე დაღუპული პირის ოჯახზე დამქირავებლის მიერ მიცემული დახმარება, ლატარიიდან მიღებული მოგება, რომელიც არ აღემატება 1 000 ლარს, ახარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, ტოტალიზატორის მომწოდებელი პირების აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწოდებდან მიღებული შემოსავლებისა, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული ან დაღუპული პირის ოჯახისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება, ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს ფუნქციონირებისათვის მოწვეული პირისათვის 60 დღის ვადით სასტუმროს მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შედეგად მიღებული სარგებელი. საშემოსავლო გადასახადით აგრეთვე არ იბეგრება წლის განმავლობაში 3000 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავალი: ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობების, აგრეთვე მკვეთრად გამოსატული შესაძლებლობების მქონე პირების, მეორე მსოფლიო ომის და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეების, ქართველის დედის საპატიო წოდების მქონე პირების, მარტოხელა დედის, პირის რომელმაც იშვილა ბავშვი, მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლების, რომელთა კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის 3 ან მეტი შვილი, წლის მანძილზე მიღებული შემოსავალი, ხოლო იმ პირებს რომელთა კმაყოფაზეა 2 შვილი და წლიური შემოსავალი აქვთ 3000 ლარამდე საშემოსავლო გადასახადი უნახევრდებათ.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
- მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირებზე;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მისი წლიური ჯამური შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს. მოცემული 30 000 ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას შეუძლია აკრძალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება, რომლის ფარგლებში მიკრო ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს. საქართველოს პარლამენტის იმავე კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში.

მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭებაზე სერტიფიკატს გასცემს საგადასახადო ორგანო. მოცემული სტატუსი უქმდება იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციით სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთი აღემატება 45 000 ლარს ან ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას უფლება აქვს:

- აკრძალოს ცალკეული სახის საქმიანობის განხორციელება რომელთა ფარგლებში არ შეიძლება მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება;
- განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და რომელიც არ გაითვალისწინება ერთობლივ შემოსავალში.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება ხდება საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით.

მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება:

- თუ ასეთი თხოვნით საგადასახადო ორგანოს მიმართა მეწარმე ფიზიკურმა პირმა,
- მეწარმე ფიზიკური პირი დარეგისტრირდა დღგ-ს გადამხდელად,
- საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთი აღემატება 150 000 ლარს.

დაბეგვრის სპეციალური რეჟიმიდან გამოსვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საკონტროლო-საღარო აპარატების გამოყენებლობისათვის სანქციის წლის განმავლობაში 3- ჯერ დაკისრება.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5 პროცენტით. დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით იმ შემთხვევაში თუ მოცემული სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირს უფლება აქვს არ აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები. თუ ამ სტატუსის ფიზიკური პირი გადაწყვეტს დარეგისტრირდეს დღგ-ს გადამხდელად, ასეთ შემთხვევაში რეგისტრაციაზე დადგომის მომენტიდან ვალდებულია აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები.

მცირე და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირების მიმართ შეიძლება განახორციელონ საგადასახადო კონტროლის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: საქონლის (მომსახურების) საკონტროლო შესყიდვა, დათვალიერება, საკონტროლო-საღარო აპარატების გამოყენების წესების დაცვა, ქრონომეტრაჟი, ინვენტარიზაცია.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის სახეებს, დაბეგვრის ობიექტს საქმიანობის სახეების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის სახეების მიხედვით შეიძლება იყოს:

- ა) დაბეგვრის ობიექტზე – 1 ლარიდან 2 000 ლარის ფარგლებში;
- ბ) დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის 3 პროცენტი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელად სურვილის არსებობის შემთხვევაში საჭიროა სათანადო სტატუსის მინიჭება, რასაც სჭირდება მსურველის განცხადება და საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი.

ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაითვლება ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი უქმდება, თუ: პირი წყვეტს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას, თუ სურს შესაბამისი სტატუსის გაუქმება, ახორციელებს მთავრობის მიერ ფიქსირებული გადასახადით გადამხდელისათვის ნებადართული დამატებითი საქმიანობისაგან განსხვავებულ საქმიანობას, თუ ნებაყოფლობით გატარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციაში.

საშემოსავლო გადასახადზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე, განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

ცხრილი N 42

საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში 2003-2012 წლებში¹⁰⁵

საშემოსავლო გადასახადი	2003	2004	2005	2006	2007	2008 ¹⁰⁶	2009	2010	2011	2012
1.საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელთან %-ით	15,2	17,6	14,7	14,6	14,4	27,3	25,5	24,7	25,3	26,5
2.საშემოსავლო გადასახადის ზრდის მაჩვენებელი										

¹⁰⁵ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე
¹⁰⁶ 2008 წლიდან საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლის ზრდა გამოწვეულია საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 12%-დან 25%-მდე. ამჟამად, მოცემული განაკვეთი 20%-ია.

%-ით წინა წელთან	107,0	175,0	108,0	133,0	137,0	246,0	86,0	107	129	114
---------------------	-------	-------	-------	-------	-------	-------	------	-----	-----	-----

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა საშემოსავლო გადასახადის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია (26,5%) ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებში. ამავე დროს მისი ზრდის მახასიათებლები ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

საშემოსავლო გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი წინადადებები.

- საგადასახადო კოდექსით განმარტებული ერთობლივი შემოსავლის დეფინიციას კერძოდ, ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალს, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, საჭიროა დაემატოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირის გამგებლობაში არსებული სიმდიდრე. მით უფრო, როცა თანამედროვე ინტერაქტიულ მსოფლიოში მოსახლეობის კეთილდღეობის დახასიათებისას მეტ ყურადღებას უთმობენ შემოსავალს და მოხმარებას სიმდიდრესთან ერთად, ვიდრე წარმოებას. მართალია, შემოსავალი განსაზღვრულ როლს თამაშობს ხალხის ცხოვრების დახასიათებისას, მაგრამ საბოლოო ანგარიშში იგი შეიძლება სწორად გაიზომოს მხოლოდ სიმდიდრესთან ინფორმაციის კონტექსტში. შეიძლება, მაგალითად შინამეურნეობებს ვისაც აქვს დაბალი შემოსავალი და სიმდიდრის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი, არ იქნება უფრო ცუდად მაცხოვრებელი ისეთ შინამეურნეობებთან შედარებით, ვისაც შემოსავლების მაჩვენებლები მეტი აქვთ, მაგრამ სიმდიდრე არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, სიმდიდრის საშუალოზე მაღალი მაჩვენებელის მქონე შინამეურნეობები ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ აქციონ თავიანთი სიმდიდრე სტაბილური შემოსავლის წყაროდ. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირის არა მხოლოდ შემოსავალზე, არამედ სიმდიდრეზე, რომელიც სტაბილური შემოსავლის წყაროა. ამ უკანასკნელის რეალური სურათის ასახვა წელიწადში ერთხელ ყველა კატეგორიის ფიზიკური პირის ქონების დეკლარაციაში უნდა მოხდეს და ჩაბარდეს საგადასახადო ორგანოებს საშემოსავლო გადასახადით

დაბეგერის მიზნით. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს, ფიზიკურ პირებზე პროგრესული საგადასახადო განაკვეთის შემოდებისათვის პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა, როდესაც საარსებო მინიმუმის (150 ლარი) მქონე შემოსავლების მოსახლეობა განთავისუფლდა საშემოსავლო გადასახადისაგან. როგორც ჩვენს მიერ 49 111 ფიზიკური პირის საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის კვლევამ გვიჩვენა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარია დისერტაციის II თავში) პროგრესული საგადასახადო განაკვეთის შემოდებისათვის კარგ საანალიზო მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ კვლევით დადგენილი ტვირთის საშუალო, მედიანური, მოდალური და დეცილური მაჩვენებლები.

- საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლში, იქ სადაც საუბარია საშემოსავლო გადასახადით დაბეგერისაგან განთავისუფლებულ ფიზიკურ პირთა შემოსავლების სახეებზე, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებულ შემოსავალზე, აგრეთვე სოციალურად დაუცველ, სტიქიით, მიწისძვრით მიყენებული ზარალის და ლტოლვილი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების ღირებულების და ამ ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებულ შემოსავალზე. საშემოსავლო გადასახადით განთავისუფლებული საკმაოდ დიდი ჩამონათვალიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამოვიღოთ ისეთი საქმიანობის სახით მიღებული შემოსავალი როგორცაა ლატარიიდან მიღებული მოგება.
- კოდექსის ის მუხლი, სადაც საუბარია საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგერის რეჟიმებზე, საკმაოდ ვრცელია და უნდა შემცირდეს იმ საქმიანობათა შემოსავალი, რომლებზეც არ ვრცელდება 30 000 ლარიანი ზღვარი.
- საშემოსავლო გადასახადის სპეციალური დაბეგერის განხორციელების ღონისძიებებიდან ვფიქრობთ ამოსადგებია საქართველოს პარლამენტის საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტთან მთელი რიგი დაკავშირებული საკითხების შეთანხმება და ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს საქართველოს მთავრობამ.
- მოცემული თავიდან ვფიქრობთ უნდა ამოვიღოთ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი. გადასახადების აკრების მოცემული ფორმა

საქართველოში ადრე უკვე არსებობდა და მისი განმეორებით შემოღება არაპროგრესულ ნაბიჯად მიგვაჩნია.

მოგების გადასახადის გადამხდელია:¹⁰⁷

- რეზიდენტი საწარმო;
- არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

მოგებით დაბეგვრის ობიექტია:

- რეზიდენტი საწარმოს დასაბეგრი მოგება
- არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ამ უკანასკნელის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლის მიხედვით;
- არარეზიდენტი საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, აგრეთვე არარეზიდენტი საწარმოს ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. ამ უკანასკნელს განეკუთვნება:
 - რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამატი;
 - აქტივებით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
 - სხვადასხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15 პროცენტით. ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება: საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის I კარით გათვალისწინებული ა) დან (ვ) პუნქტების ჩათვლით ჩამოთვლილი მოგების ან სარგებლის თანხები. მოცემულ ჩამონათვალში ძირითადია:

საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, გარდა ეკონომიკური საქმიანობისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება, საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით რეალიზებული

¹⁰⁷ მოგების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. მოგების გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული წინადადებები ავტორისეულია. (გვ.169).

პროდუქციით მიღებული მოგება, სასოფლო-სამეურნეო სფეროში მოღვაწე პირის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება თუ ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს, საერთაშორისო ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული მოგება, ფასიანი ქაღალდის რეალიზაციით მიღებული მოგება. ამავე ჩამონათვალში შედის: სამედიცინო დაწესებულებების, ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტების მიერ მიღებული მოგება, აზარტული კლუბების, სათამაშო აპარატების სალონების, ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება.

მოგების გადასახადზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე, განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

ცხრილი N 43

**მოგების გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში
2003-2012 წლებში¹⁰⁸**

მოგების გადასახადი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1. მოგების გადასახადის ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელთან %-ით	10,0	10,6	10,7	13,0	15,1	12,4	11,8	12,0	13,6	12,7
2. მოგების გადასახადის ზრდის										

¹⁰⁸ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

მაჩვენებელი	122	159	130	162	163	107	87	111	144	102
%-ით წინა										
წელთან										

მოგების გადასახადი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით მე-3 ადგილზეა. ამასთან, მოცემული გადასახადი 2003-2012 წლებში საშუალოდ წელიწადში 1,14-ჯერ გაიზარდა.

მოგების გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი წინადადებები:

- მოგების გადასახადის, როგორც პირდაპირი გადასახადის განაკვეთის ოპტიმალური ზომის დადგენის მეთოდოლოგია ჩვენი საკვლევი თემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია აღწერილია ჩვენი ნაშრომის მესამე თავში.
- მოცემული გადასახადით დაბეგვრისაგან ამა თუ იმ კუთხით თავისუფლდება ეკონომიკის ისეთი საქმიანობათა სახეები, რომლებიც პრიორიტეტულია ჩვენი ქვეყნისათვის. კერძოდ, ესენია: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სამედიცინო დაწესებულებები, საჯარო სკოლების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული მოგება და ა.შ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ასეთი სიიდან ამოღებულ იქნეს ახარტული კლუბების, სათამაშო აპარატის სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირების მიერ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება.

ქონების გადასახადი მოიცავს დასაბეგრ ქონებას და მიწას.¹⁰⁹

ქონების გადასახადის გადამხდელია: რეზიდენტი საწარმო ან ორგანიზაცია – მზის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობაზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე ლიზინგით გაცემულ ქონებაზე. არარეზიდენტი საწარმო – იგივე ჩამონათვალზე რაზედაც რეზიდენტი საწარმო (მათ შორის, იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ასეთი ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემულ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე), ფიზიკური პირი – საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებულ ქონებაზე, თუ ფიზიკური პირი ეწევა

¹⁰⁹ ქონების გადასახადთან დაკავშირებული საკითხები აღებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან. ამასთან, ამ სახის გადასახადთან დაკავშირებული წინადადებები ავტორისეულია. გვ. 174

ეკონომიკურ საქმიანობას მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობაზე, აგრეთვე ლიზინგით გაცემულ ქონებაზე.

ქონებაზე გადასახადის განაკვეთი იანგარიშება:

- საწარმოებისათვის არაუმეტეს წლიური დასაბეგრი ქონების 1 პროცენტისა. დასაბეგრი ქონების ღირებულება იანგარიშება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებით, რომელიც უნდა გაიზარდოს უძრავ ქონებასთან მიმართებით;

2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

2000 წლიდან – 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ

2000 წელს მიღებულ აქტივებზე – 1,5-ჯერ, იმ აქტივებზე რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

დასაბეგრი ქონების მოტანილი აფასება არ ვრცელდება ისეთ საწარმოებზე, რომლებიც თავიანთ ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. საწარმოსათვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური ნარჩენი ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლებით:

- 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არაუმეტეს 0,2 პროცენტისა;
- 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,8 პროცენტისა და არაუმეტეს 1 პროცენტისა.

ფიზიკური პირის შემოსავლებში შეიტანება: ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირისთვის სპეცრეჟიმით დასაბეგრი შემოსავლის 25%, ხოლო სხვა შემოსავალი-სრულად. ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, დარიცხული ხელფასი.

შემოსავლებში არ შეიტანება: ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება, ფიზიკური პირის მიერ ორ წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის რეალიზაციით) მიღებული შემოსავალი, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისა და მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შემოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

მიწაზე ქონების გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან ფლობს;
- მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული პირის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზურფუქტის ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე.

მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი სახნავისათვის და საკარმიდამოსათვის დიფერენცირებულია ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. საბაზისო განაკვეთი ყველაზე მაღალია თბილისში (100 ლარი/ჰა) და ყველაზე მცირე შუახევში, ხარაგაულში, ჭიათურაში, ლენტეხში, ონში, ჩოხატაურში, მესტიაში, სტეფანწმინდასა და ჯავაში (56 ლარი/ჰა), დაწვრილებითი ინფორმაცია ასახულია კოდექსის 204 მუხლის 1 ა) ნაწილში, ხოლო სათიბებისა და საძოვრებისათვის კოდექსის ამავე მუხლის 1 ბ) ნაწილში.

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

- გადასახადის საბაზისო განაკვეთი ღვინდობა წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი;

- ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არა უმეტეს 3 ლარით.

საწარმო/ორგანიზაცია ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს. დეკლარაციაში დასაბეგრი ქონების მონაცემები შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში წარადგენს კალენდარული წლის არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. დასაბეგრი ქონების მონაცემები დეკლარაციაში შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ – მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

მოცემული გადასახადისაგან თავისუფლდება: ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა) თუ ამ ოჯახის წინა წლის მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს; მიმოსვლის გზები, ელექტროგადამცემი ხაზები, საკომუნიკაციო ქსელების საკაბელო ხაზები, ორგანიზაციის ქონება გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა; ნავთობისა და გაზის საწარმოებლად გამოყენებული ქონება (შესაბამისი კანონის საფუძველზე); საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა; სახელმწიფოს მიერ განლაგებული ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის; ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, სასაფლაოებით და სხვა ამ დანიშნულებით გამოყენებული ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობით გამოყენებული ნაკვეთებისა; ქალაქის წყალსაცავები, სასმელი წყლით წყალსაცავებით დაკავებული მიწები; სტიქიის შედეგად სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენა სანახევროდ ან მეტად არის დაზიანებული სტიქიის შედეგად; „ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ტერიტორიების ქონება და მიწა, რომლითაც ვერ სარგებლობს მისი მფლობელი; ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები–მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები პრივატიზების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე; კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რიონის და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების თემებისა და დაბების მცხოვრებნი. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებლებს მიწის ნაკვეთებზე ქონების გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით; სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება და სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები; ტურისტული ზონების მეწარმე სუბიექტებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირის სასტუმრო მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება და მოძრავი ქონება; საჯარო სკოლების ზოგადსაგანმანათლებლო მიზნით გამოყენებული ქონება (მათ შორის მიწის ნაკვეთები).

ქონების გადასახადზე ჩვენი წინადადებების გადმოცემამდე, განვიხილოთ ამ გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები 2003-2012 წლებში.

ცხრილი N44

ქონების გადასახადის სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლები საქართველოში 2003-2012 წლებში¹¹⁰

ქონების გადასახადი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1.ქონების გადასახადის ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების ჯამობრივ მაჩვენებელთან %-ით	7,0	4,0	3,0	3,2	2,9	2,8	3,6	3,9	3,6	3,4
2.ქონების გადასახადის										

¹¹⁰ ავტორისეული გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ზრდის მაჩვენებელი %-ით წინა წელთან	228	87	97	142	126	122	121	120	115	104
---	-----	----	----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

ქონების გადასახადი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ხვედრითი წილის მიხედვით მე-5 ადგილზეა. ამასთან, მოცემული გადასახადი 2003-2012 წლებში საშუალოდ წელიწადში 1,1-ჯერ გაიზარდა.

ქონების გადასახადთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი წინადადებები:

- მართალია ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს არცერთი გადასახადი არ მოსწონთ, მაგრამ ყველაზე უფრო არასასურველ გადასახადად მიიჩნევენ ქონების გადასახადს. მოცემული გადასახადის განაკვეთი არ არის დამოკიდებული საწარმოს კარგ ან ცუდ მუშაობაზე. უფრო მეტიც, რაც უფრო დიდია საწარმოში ახალი ინვესტიციების დაბანდება, მით უფრო იზრდება მოცემული გადასახადის თანხა. მართალია, ჩვენი ქვეყნის საგადასახადო კოდექსით გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჯანდაცვა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების დაბანდება, განსაკუთრებით საქონელმწარმოებელ დარგებში, პირველი სამი წლის მანძილზე არ დაიბეგროს ქონების გადასახადით;
- „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა -გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე, სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებნი მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავისუფლდნენ ქონების გადასახადისაგან;

ჩვენს მიერ შემოთავაზებული წინადადებები შეიძლება გამოყენებულ იქნას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონოს საკითხის განხილვისას.

დასკვნა

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ეროვნული ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გაჭიანურებულ გარდამავალ პერიოდს თან დაერთო მსოფლიო გლობალიზაციის მაღალი ტემპები. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების დღის წესრიგში, ისე როგორც არასდროს, დადგა ეკონომიკის მდგრადი განვითარების აუცილებლობა, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს თითოეული ოჯახის კეთილდღეობაზე. ყოველივე ზემო აღნიშნულში დიდი როლის შესრულება შეუძლია ოპტიმალურად განსაზღვრულ გადასახადებს. წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომი სწორედ მაკრო და მიკრო დონეზე ოპტიმალურად განსაზღვრული გადასახადების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიის განსაზღვრას ეძღვნება. მასში გამოკვლეულ-გაანალიზებულია ტვირთის სიმძიმე-სიმსუბუქის მდგომარეობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით, რომლისკენაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სწრაფვა ცალსახაა.

სადოქტორო ნაშრომში კრიტიკულადაა შეფასებული ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელი მაჩვენებლები და მხარდაჭერილია მსოფლიოს ცნობილი მეცნიერების (ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. სტიგლიცის მოხსენება) წინადადებები ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის ინოვაციური ინდიკატორების შემოღების შესახებ. აქვე პასუხი აქვს გაცემული ერთ ტრივიალურ კითხვას, ეკონომიკის მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საგადასახადო შემოსავლების სტაბილური ზრდა თუ პირიქით, სტაბილურმა და მოქნილმა საგადასახადო სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის მდგრადი განვითარება? პასუხი შემდეგში მდგომარეობს: ორივე ფაქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებული და სასურველი საბოლოო შედეგების მიღება შესაძლებელია მათი მჭიდრო კორელაციის პირობებში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2005-2012 წლების მშპ-სა და საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის შესწავლამ გვიჩვენა, რომ კორელაციის კოეფიციენტი $r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = 0,99$. აღნიშნული საკმაოდ

მაღალია, რაც ხაზს უსვამს საქართველოში ეკონომიკის ზრდის პირდაპირ კავშირს შემოსავლების ზრდასთან.

მდგრადი განვითარების ახალ, ინოვაციურ კრიტერიუმებზე მსჯელობისას და კონკრეტულად ცხოვრების დონის დახასიათებისას წმინდა შიდა პროდუქტს (მშპ – ძირითადი კაპიტალის მოხმარება) მეტი უპირატესობა ენიჭება ვიდრე მშპ-ს. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია მშპ-სა და წმინდა შიდა პროდუქტის ურთიერთკავშირი. ამ შემთხვევაშიც დადგენილია, რომ 2005-2011 წლების განმავლობაში კორელაციის კოეფიციენტი (r), საკმაოდ მაღალია და 0,89 შეადგენს.

მდგრადი განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მაჩვენებელთა ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვის მიზნით აგებულია მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსი, რომელიც შედგება სამი კომპონენტისაგან.

მთლიან შიდა პროდუქტთან ერთად მატერიალური ცხოვრების დონის დახასიათებისათვის უპირატესობა ენიჭება შემოსავლის, მოხმარებისა და სიმდიდრის მაჩვენებლებს. მეორე რიგის მაჩვენებელთა ნუსხას მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხის მახასიათებელი ინდიკატორები. კერძოდ, ისეთი ინდიკატორები, როგორცაა:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განათლების მიღების შესაძლებლობა;
- საბინაო და სხვა საყოფაცხოვრებო პირობები;
- ფინანსური პრობლემები;
- სტაბილური სამუშაო და შრომითი პირობები;
- ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- ფიზიკური უსაფრთხოება;
- ნათესავებთან, კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობები.

მესამე რიგის მაჩვენებლებს უნდა მივაკუთვნოთ ეკოლოგიური კვალის მაჩვენებლები, რომელიც წარმოადგენს საერთო სივრცეს და აუცილებელია კვების პროდუქტების და სხვა საქონლის წარმოებისა და მოხმარებისათვის, ნარჩენების უტილიზაციისა და ტერიტორიების ინფრასტრუქტურის ელემენტებით (განაშენიანების ზონები) უზრუნველყოფისათვის.

მდგრადი განვითარების ერთ განზოგადებულ მაჩვენებელში გამოსახვის მიზნით შემოთავაზებულია წინადადება ასეთი ინდექსის აგებისათვის, რომელსაც შემდეგი სახე ექნება:

$$ESD = \sqrt[3]{E_{EC} \times E_S \times E_{EN}}$$

სადაც:

E_{EC} - ეკონომიკური განვითარების ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_S - სოციალური ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{EN} - გარემოს მახასიათებელი ინდიკატორების ნაერთი სუბინდექსია,

E_{SD} - მდგრადი განვითარების ნაერთი ინდექსია.

ნაშრომის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია გადასახადების კავშირის შესწავლა შემოსავლების, მოხმარებისა და კეთილდღეობის მდგომარეობასთან. მოცემული პრობლემის გასაშუქებლად გამოყენებულია ისეთი საერთაშორისო სტანდარტი, როგორცაა ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

ამდენად, მოცემული სისტემის გამოყენებით ნაშრომში განმარტებულია თუ ეკონომიკური წარმოების ციკლის რომელ ეტაპზე ხდება შემოსავლის ჩამოყალიბება, მისი განაწილება და გადანაწილება. ჩვენი კვლევისათვის ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორ მონაწილეობს გადასახადები ეას-ის თითოეული ანგარიშის მახალანსებელი მუხლის ფორმირებაში.

საქართველოს მისწრაფებაა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. სხვა ინსტიტუციების მსგავსად, სახელმწიფო საგადასახადო სისტემაც ევროკავშირის რეალიზებთან მისადაგებას მოითხოვს. ასეთი ჰარმონიზების მიზანია ევროკავშირთან მიმართებით მოიხსნას ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი მოძრაობის ყოველგვარი ბარიერი, რომელიც დაუკავშირდება ერთიან ევროპულ სივრცეში შრომითი რესურსების, კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას. იმისთვის, რომ საქართველო, საგადასახადო სისტემის რეფორმირების მხრივ, დაუახლოვდეს ევროპული ოჯახის წევრი სახელმწიფოების საგადასახადო სისტემას, საჭიროა ეროვნული საგადასახადო სისტემის სტრუქტურის სრულყოფა,

საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო ბაზის გაანგარიშების მეთოდის შემდგომი დაახლოება და კონვერგენცია ევროპულ სივრცესთან.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ფინანსების მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია რამდენიმე პრინციპული დასკვნა:

პირველი, ევროკავშირის 15 ტრადიციული ქვეყნიდან, სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, დანია, ბელგია, ფინეთი) მშპ-ის ნახევარზე მეტი მოდის სახელმწიფო დანახარჯებსა და შემოსავლებზე, ე.ი ამ ქვეყნებში მაღალია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. მსგავსი ტენდენციები ახასიათებს საფრანგეთსა და ავსტრიას;

მეორე, ევროკავშირის ძველი ქვეყნები – ირლანდია და დიდი ბრიტანეთი ეკონომიკაში სახელმწიფოს საკმაოდ მოკრძალებული წვლილით გამოირჩევა, უკანასკნელი წლების განმავლობაში მოცემული ქვეყნების სახელმწიფო დანახარჯებს მშპ-ში ეკავა 35-დან 42%-მდე;

მესამე, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით ლიტვა და ესტონეთი, ცდილობენ გადმოიღონ ნეოლიბერალური განვითარების მოდელი. მთლიანად ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები ცდილობენ სტიმული მისცენ სამეწარმეო აქტივობას. ასეთი ორიენტაციის ქვეყანაა საქართველოც, რომლის სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების წილი მშპ-ში ბოლო წლებში, 24-26%-ის ფარგლებშია.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო სისტემების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალური პროფილის გადასახადების საშუალო საპროცენტო განაკვეთი ევროკავშირის ძველ ქვეყნებში მაღალია ევროკავშირის ახალ ქვეყნებთან შედარებით. რაც შეეხება გადასახადებს საქონელსა და მომსახურებაზე, აქ საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ახალი ქვეყნების მიხედვით მოცემული გადასახადი რამდენიმე პროცენტული პუნქტით მაღალია ძველი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი ევროკავშირის ახალ წევრ სახელმწიფოებში გაცილებით დაბალია ძველ წევრ სახელმწიფოებთან შედარებით. აღნიშნული აშკარად წარმოაჩენს ფიზიკური პირების ფისკალურ მიმზიდველობას ევროკავშირის ახალ ქვეყნებში. სხვა გადასახადების განაკვეთებისგან განსხვავებით, დღგ-ს განაკვეთების მიხედვით, ევროკავშირის ძველ და ახალ ქვეყნებს შორის განსხვავება თითქმის არ არის.

ევროკავშირის ძველი და ახალი წევრი ქვეყნების მიხედვით კორპორაციების მოგების გადასახადის განაკვეთები საკმაოდ განსხვავებულია. კერძოდ, ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების მიხედვით, აღნიშნული გადასახადი საშუალოდ 10 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ევროკავშირის ძველი ქვეყნების გადასახადზე. საქართველოში ამჟამად მოგების საგადასახადო განაკვეთი 15%-ს შეადგენს და იგი ემთხვევა ლატვიის, ლიტვისა და კვიპროსის ანალოგიურ მაჩვენებელს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ არსებითმა განსხვავებებმა საგადასახადო განაკვეთებში შეიძლება გამოიწვიოს მაღალგანაკვეთებიანი ქვეყნებიდან საწარმოთა გადაადგილება დაბალგანაკვეთებიან ქვეყნებში.

ნაშრომში განხილული აშშ-ს, რიგი ევროპული სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი, ერმანია, შვედეთი, ესტონეთი), ჩინეთისა და ინდონეზიის საგადასახადო სისტემები ყველა მიმზიდველია სხვადასხვა ასპექტით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბევრი სასარგებლოს აღება შეიძლება თითოეული ქვეყნის საგადასახადო სისტემიდან, თუმცა მთლიანობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ესტონეთის საგადასახადო სისტემა, მოსახლეობის სოციალური დაცვის მხრივ შვედეთის, პროგრესული საგადასახადო საგანაკვეთო სისტემის არსებობის მხრივ ჩინეთის და განსაკუთრებით ინდონეზიის საგადასახადო სისტემები. ეს უკანასკნელი ეფუძნება ურთიერთდახმარების ეთიკას, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეძლებული ხალხი ასრულებს მორალურ ვალდებულებას – ზიდონ შედარებით მძიმე საგადასახადო ტვირთი.

სადოქტორო ნაშრომში შემოთავაზებულია წინადადება ქვეყნის მაკრო და მიკრო დონეებზე ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის აგების ახალი კონსტრუქციისა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ.

სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში არსებული 2011 წლის შედეგებით 7781 საწარმოს ოპტიმალური ტვირთის ანალიზის საფუძველზე პირველად არის გამოკვლეულ-გაანალიზებული საგადასახადო ტვირთის სიმძიმე დეცილური ჯგუფების მიხედვით. დადგენილია, რომ ყველაზე დაბალი და ყველაზე მაღალი საგადასახადო ტვირთის მქონე 10-10 პროცენტის განსხვავება 2-ჯერადია. ეს მაშინ, როდესაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ტვირთის სიმძიმის მაჩვენებლის მიხედვით არ არის გამოიწვეული საგადასახადო ტვირთი და საწარმოები განურჩევლად მათი სიდიდისა და საქმიანობის სახისა, იხდიან ერთი და იმავე ზომის გადასახადებს.

ასევე, საქსტატის და ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული რესურსების საფუძველზე პირველად არის გამოკვლეული 49 ათასზე მეტი ფიზიკური პირის საშემოსავლო საგადასახადო ტვირთის სიმძიმე დეცილური ჯგუფების მიხედვით. აქაც ყველაზე მაღალი ტვირთის მქონე ფიზიკური პირების 10% 13,6- ჯერ აჭარბებს ყველაზე დაბალი ტვირთის მქონე ფიზიკური პირების ტვირთის დონეს;

ზემოაღნიშნული კვლევებისა და სტატისტიკური მეთოდების ფართოდ გამოყენებით გაკეთებულია დასკვნა, რომ საგადასახადო განაკვეთები და მთლიანად საგადასახადო ტვირთი საწარმოების ზომების, მოსახლეობის შემოსავლებისა და რიგი სხვა ნიშნების მიხედვით უნდა იყოს დიფერენცირებული. ყოველივე აღნიშნულის მიზანია ცხოვრებაში გატარდეს სამართლიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „ღარიბი იხდის ნაკლებს, ვიდრე მდიდარი“.

ქვეყნის დონეზე საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის დადგენისათვის აგებულია ლაფერის მრუდები საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე, რომლის თანახმადაც საგადასახადო ტვირთის პარამეტრები 13,6 – 17,6% ინტერვალში მდებარეობს. ასეთი კვლევის საიმედოობას ადასტურებს მეორე ალტერნატიული გაანგარიშებაც, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის შედეგებით, საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი (საგადასახადო შემოსავლები შეფარდებული მთლიან შიდა პროდუქტთან) მუდმივ ფასებში 15% - ის ტოლია.

ქვეყნის სხვადასხვა ტიპის 70 საწარმოს ემპირიული კვლევის საფუძველზე, გადასახადის ორადი ბუნებიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია წინადადება მოგების გადასახადის ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ.

შემუშავებულია წინადადებები საქართველოში მოქმედი ძირითადი გადასახადების სრულყოფასთან დაკავშირებით:

- დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ:

დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა, მართალია, გაიზარდა 100 000 ლარამდე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ზღვრული თანხა განისაზღვროს 200 000 ლარით.

დღგ-ის განაკვეთი მართალია 20%-დან შემცირდა 18%-მდე, მაგრამ ერთიანი გადასახადი საჭიროა შეიცვალოს გარდამავალი ეკონომიკის მდგომარეობის მქონე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კერძოდ,

მოხდეს მისი დიფერენციაცია და ხელი შეეწყოს ინვესტიციების მაღალი ტემპებით შემოდინებას და აგრეთვე ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

საკმაოდ მაღალი გვერდებზე და უნდა შემცირდეს იმ ოპერაციათა ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებისას დღგ-ს გადამხდელს შეუძლია მიიღოს ჩათვლა, აგრეთვე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-საგან გათავისუფლებული საქონლის მიწოდება და იმპორტი;

- აქციზის გადასახადით დაბეგრასთან დაკავშირებით, კერძოდ:

აქციზური საქონელი, როგორც უკვე მაღლა აღვნიშნეთ იბეგრება ზომის ერთეულის (ლიტრი, კგ, სმ³, 100 მ³, ტონა) აქციზის განაკვეთით (ლარი). მოცემული პრაქტიკა გამოიყენება ალკოჰოლური სასმელების, სიგარეტისა და სიგარეტის პროდუქტების, ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების და რიგი სხვა საქონლის წარმოებისა და შემოტანა-გატანის ოპერაციებისას. თუმცა მაგალითად, თუ ავიღებთ საწვავს, ან სპირტიან სასმელებს მათი ტონებისა და ლიტრების მიხედვით აქციზის განაკვეთების დაწესება ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს საწვავის სითბური წვის სიმძლავრეს და ალკოჰოლური სასმელების სიმძლავრეს სპირტიანობის მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და სხვა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გავიანგარიშოთ მათი წარმოება და/ან შემოტანა და გატანა პირობით ნატურალურ ზომის ერთეულებში. ასე მაგალითად, სხვადასხვა სახის ორგანული საწვავი შეიძლება გადავიყვანოთ პირობით საწვავში წვის თბოუნარიანობით 29,3 მეგაჯოული (7 000 კილოკალორია/კგ).

